საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№247 (12 317)
19 ოქტომბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

საქართველო-შოტლანდიის შემდეგ

# მათ არ იციან, რა არის შიში

**რას წერენ ჩვენზე...**

**ეს გასაოცარი ტალანტები ბურთს იოლად იმორჩილებდნენ, სწრაფად უტევდნენ და შოტლანდიელი ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის პერსპექტივაში დააეჭვეს...**



5

სკუადრა აძურა და იტალია მადლობას უხდიან თავხედ ტოპმიოლერს

ტოპმიოლერმა თბილისის სტადიონზე საოცარ საღამოს უდირიჟორა

კაცებმა ბავშვების წინააღმდეგ ითამაშეს, მაგრამ ბავშვები ძალიან ძლიერები აღმოჩნდნენ



# თაობები

## შოთა არველაძე ლევან მჭედლიძეზე

- ის ტექნიკურია და მოედანზე სულ აზროვნებს.
- სირაძე და მჭედლიძე სულ ერთმანეთს უყურებდნენ და ამის მიხედვით მოქმედებდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.
- ამ ასაკში სტაბილურობა ადვილი არ არის, მაგრამ ისიცაა, რომ როცა საქართველოს ნაკრებს კალაძე, კობიაშვილი და სხვა გამოცდილი ფეხბურთელები ეყოლება, ლევანს უფრო გაუადვილდება თამაში.

## ლევან კობიაშვილი ლევან ყენიაზე

- მიხარია, რომ საქართველოს ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს.
- ის 17 წლისაა და წინ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ყენია სწორ გზაზე დგას.
- "შალკეში" უხარიათ, რომ ასეთი ფეხბურთელი აიყვანეს და არ უხარიათ, რომ ყენიას ხშირად მოუწევს საქართველოს სხვადასხვა ნაკრებში წასვლა.



4

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

U 19. ევროპის ჩემპიონატი. პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი ტური

# კაცნაკლულს, მსაჯით მოგვიგეს

**საქართველო-ჰოლანდია**

**1:2**

18.10.07 თბილისი. მ. მესხი
700 მაყურებელი

1:0 თარგამაძე (19. ივანიშვილის პასით), 1:1 დე იონგი (82), 1:2 მატიჩი (89)

საქართველო: რ. კვასხვაძე – დაუშვილი (60. შეყილაძე), ვაჩიბერაძე, სანაია, გაბუნია – ბენაშვილი (კაპ.), ჩარგეიშვილი, თარხნიშვილი (28. მაისურაძე), თარგამაძე – ივანიშვილი, ბეგლარიშვილი (80. ყენია).

*სათადარიგოები: მაკარიძე, ხუმარაშვილი, ბლაგიძე.*

ჰოლანდია: მულდერი - ჰორსტენი, ლიმა, მაგუაირი, დეტ ჰორსტი – ბლინდი (64. ვიინალდუმი), დე იონგი (კაპ.), მატიჩი, რიმერინკი, ვან დერ ბერგი (76. ჰუუტკოოპი) - ჰაგარი (64. ზეფუიკი).

*სათადარიგოები: კოეტსიერი, დროსტე, ვან დიერმანი, ლეროი.*

გაფრთხილება: ბენაშვილი (50), კვასხვაძე (59), დაუშვილი (60), დე იონგი (78), გაბუნია (90).

გაძევება: მაისურაძე (63).

არბიტრი: ი. ვადი (უნგრეთი)



ნუგზარ სუარიძის ფოტო

წაგებული მატჩის მიზეზებზე საუბრისას მსაჯების ხსენება ჩვენში უკვე ჩვეულებრივი ამბავია და ცრუპენტელასი არ იყოს (მგლები მოდიან, მგლები მოდიანო რომ იტყუებოდა და მართლა რომ მოვიდნენ, აღარ დაუჯერეს) ახლა ძნელია დააჯერო ხალხი (ვისაც გუშინდელი მატჩი არ უნახავს), რომ ჰოლანდიასთან საქართველოს დამარცხება მართლა არბიტრის ბრალი იყო. ჯერ იყო და სტუმართა ნახევარმცველი მოედანს წამოედო და ტყუილუბრალოდ დაინიშნა ჯარიმა ჩვენს კარში. მერე ვითომდა დროის გაყვანის გამო, საჯარიმოში, პენალტის ნიშნულთან ახლოს თავისუფალი დაარტყმევინა ჰოლანდიელებს. ყოველივეს დაგვირგვინება კი 63-ე წუთზე **ნიკოლოზ მაისურაძის** გაძევება გახლდათ. მოედნის ცენტრში, ჩვეულებრივი ორთაბრძოლისას არბიტრმა **იშტვან ვადიმ** მაისურაძე თავისთან იხმო და რომ გვეგონა, მაქსიმუმ ყვითელ ბარათს მისცემდა, წითელი აუფრიალა. ეს გამორჩეული ფაქტებია და არბიტრის წვრილ-წვრილ ცუღლუტობებზე აღარაფერს ვამბობთ. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე **ჰაინც ტოპმიოლერმა** უნგრელი არბიტრი სუბიექტურობაში დაადანაშაულა. როცა ჰოლანდიელთა თავკაც **ვიმ ვან ცვამს** დავეკითხეთ მაისურაძის გაძევების სამართლიანობაზე, მხრები აიჩეჩა და გვაგრძნობინა, რომ პასუხი არ ჰქონდა.

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ გუშინ ჩვენს ნაკრებში ორმა იუბილარმა ითამაშა. მე-80 წუთზე შეცვლაზე შესულ **ლევან ყენიას** 17 წელი შეუსრულდა. **გიორგი ივანიშვილი** კი, რომლის მამაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **მიხეილ ყაველაშვილია,** 18 წლისა შეიქმნა. შვეიცარიული "ციურიხის" თავდამსხმელს გუშინ არა მარტო 19-წლამდელთა, არამედ, საერთოდ ჭაბუკთა ნაკრებში ჰქონდა დებიუტი. მაისურაძის გაძევებამდე, ივანიშვილი წინ იყო გამწესებული (მერე უკან დახიეს) და აშკარად გამოჩნდა, რომ რამდენიმე თვეში მისი მოსინჯვა ეროვნულში თუ არა, 21-წლამდელთა ნაკრებში ნამდვილად შეიძლება. გამოსარჩევია მეკარე **როინ კვასხვაძე** - რომ არა მისი საიმედო თამაში, ჰოლანდიელები გაცილებით მეტ გოლს გაგვიტანდნენ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს. ჰოლანდიელებმა მატჩის სტარტზევე გამოაჩინეს კლანჭები და მასპინძლებს აგრძნობინეს, რომ იოლი თამაში არ ელოდათ. ქართველებმაც უმალ დაანახეს, რომ გამოწვევას უპასუხოდ არ დატოვებდნენ. საწყის 15 წუთში თანაბარი თამაში მიდიოდა. მე-11 წუთზე **რიმერინკი** კვასხვაძესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ **სანაიამ** იმარჯვა და ვითარება განმუხტა. ექვსიოდე წუთში კი ქართველთა მორიგი იერიში ჩინებული გოლით დასრულდა – ივანიშვილმა პირით ხაზთან ახლოს მიუსწრო ბურთს, საჯარიმოში მოუხედავად დააბრუნა, იქ კი ყველას **თარგამაძემ** დაასწრო და ძლიერი დარტყმით მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა. 1:0.

მეორე ტაიმის სტარტზე კვასხვაძემ **ჰაგარის** თავიდან ააცალა ბურთი, მე-60 წუთზე კი **მატიჩს** აულო ახლოდან დარტყმული. მაისურაძის გაძევების გამო, ჩვენი ჭაბუკები გადაეწყვნენ და კონტრშეტევაზე გააგრძელეს თამაში. ჰოლანდიელთა თავკაცმა **ვიინალდუმი** და **ზეფუიკი** შეუშვა მოედანზე. ამ ორმა ფეხბურთელმა საგრძნობლად გააძლიერა სტუმართა შემტევი პოტენციალი, რამაც კაცნაკლულად დარჩენილი ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მართალია, მე-80 წუთზე **ჰაინც ტოპმიოლერმა ლევან ყენია** ჩართო თამაშში, მაგრამ ამან ბევრი ვერაფერი შეცვალა. დიდი ჯაფა დაადგა მეკარე კვასხვაძეს. მან არაერთი რთული დ, როგორც იტყვიან, "მკვდარი ბურთი" აილო, მაგრამ სტუმართა კაპიტანმა იძალა და 82-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. მატჩის მიწურულს კი კვასხვაძემ მატიჩის დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ ბურთს კარის ხაზი უკვე გადაკვეთილი ჰქონდა.

**მატჩის რჩეული**

**როინ კვასხვაძე**

ორი გოლის გაშვების მიუხედავად როინ კვასხვაძე გამოვარჩიეთ. გაშვებულ გოლებში მას ვერ დავადანაშაულებთ. "ზესტაფონის" კიპერმა გუშინ შეუდარებლად ითამაშა.

**პრესკონფერენცია**

**ვიმ ვან ცვამი (ჰოლანდია):** "მართალია, ბოლოს 8 წუთში ორი გოლი გავიტანეთ და ამის ხარჯზე მოვიგეთ, მაგრამ თამაში ძალიან დაძაბული და საინტერესო იყო. ქართველებმა ლომებივით იბრძოლეს, მაგრამ კაცნაკლულნი დარჩნენ და დამარცხდნენ. ძნელია ახლა იმისი თქმა, მეტოქე რიცხობრივ უმცირესობაში რომ არ დარჩენილიყო, როგორ დასრულდებოდა შეხვედრა... დღეს ჩემმა თანაშემწეებმა ნახეს ნორვეგიელთა თამაში. გავაანალიზებთ და ვნახავთ, შევძლებთ თუ არა ნორვეგიელთა დამარცხებას".

**ჰაინც ტოპმიოლერი (საქართველო):** "მატჩი დაძაბული გამოდგა. მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ, ტექნიკაში დავჯაბნეთ კიდეც. არბიტრმა უსამართლოდ გააძევა მაისურაძე. დარწმუნებული ვარ, გაძევების გარეშე რომ ჩაგვემთავრებინა თამაში, მინიმუმ, არ წავაგებდით. ჩემი ფეხბურთელების მისამართით კომპლიმენტები არ მენანება. ამას განსაკუთრებით კვასხვაძე, ივანიშვილი და სანაია იმსახურებენ. მალე სხვა ნაკრებებშიც შეიძლება მათი მოსინჯვა".

**დავით ცაბაძე**

# სკანდინავიური გაკვეთილები

**ნორვეგია-ლატვია**

**2:0**

18.10.07 რუსთავი. ფოლადი.
100 მაყურებელი

1:0 ხალილი (18. ბოლდტის პასით), 2:0 ფლო (34. პენალტით)

ნორვეგია: სტუბჰაუგი - ნური, ჰოფლანდი, ბოლდტი, ფლორ - ჰოფლანდი (84. ანდერსენი), ელვესტადი, კარლსენი, ბენდიკსენი (72. ლარსენი) - აასი, ხალილი (59. კამარა)

*სათადარიგოები: ჰანსენი, ვალიო, რამსტადი, ჰენრიკსენი*

ლატვია: პორტნოისი - შმილსი, მეში, სეველოვსი, კურაკინსი - სინელნიკოვსი (87. აგაფონოვსი), ვალეგჟანინსი, კორსაკოვსი (46. დუბრა), ოსიპოვსი - პრიდენსი (61. კალნინში), გრამოვიჩი

*სათადარიგოები: ძელმე, გავრილოვსი, პოლევოისი, რაკლინსკისი*

გაფრთხილება: ბენდრიკსენი (10), კურაკინსი (25), შმილსი (65)

არბიტრი: მ. მიკოლაევსკი (პოლონეთი)

19-წლამდე ნაკრებების შესარჩევი ტურნირის პირველ დღესვე ორი ფავორიტი გამოიკვეთა - ჰოლანდიისა და ნორვეგიის ნაკრებები. ერთი შეხედვით, ამაში გასაკვირი არც არაფერია - გადავხედოთ ნორვეგიის ნაკრების შემადგენლობას და ის გუნდები ვახსენოთ, სადაც სკანდინაველი ჭაბუკები ასპარეზობენ: "ევერტონი", "გლაზგო რეინჯერსი", "რუსენბორგი", "ვალერენგა", "ვიკინგი"...

მოკლედ, ლატვიელ თანატოლებთან მატჩში ნორვეგიელები აშკარა ფავორიტად ითვლებოდნენ და ყოველივე ეს თამაშმაც დაამტკიცა. სამწუხაროდ, საერთაშორისო დონის შეხვედრას რუსთავში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია - ტრიბუნებზე ასამდე კაცს ძლივს დაითვლიდით: სამაგიეროდ, საპატიო სტუმართა ლოჟაში **კლაუს ტოპმიოლერი** ვიხილეთ **რალფ მინგეს, პეტარ სეგრტისა** და **ჰერბერტ ცანკერის** თანხლებით. ახლა კი ნორვეგია-ლატვიის შეხვედრას დავუბრუნდეთ, რომელიც ერთობ სწრაფ ტემპში და საინტერესოდ წარიმართა. საწყისი წუთებიდანვე ნორვეგიელებმა ზედიზედ რამდენი სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ იღბალი ლატვიელთა მხარეს იყო: ჯერ ცენტრალურმა მცველმა **ევენ ჰოფლანდმა** გაარტყა ბურთი ძელს, მერე კი **არამ ხალილის** დარტყმა მოიგერია **ედგარას პორტნოისმა**. ამას ლატვიელთა საპასუხო კონტრიერიში მოჰყვა და ერთწუთიან ინტერვალში **ალექსანდრ გრამოვიჩსა** და **არტიომ ოსიპოვს** გოლის გატანის ჩინებული შანსიც მიეცათ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგეს. აი, ეს იყო და ეს - "ევერტონის" 17 წლის მეკარე **ლარს სტუბჰაუგი** საქმეში აღარც ჩართულა; სამაგიეროდ მის ლატვიელ კოლეგას მატჩის ბოლომდე სამუშაო არ მოჰკლებია და პირველ ტაიმში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც იხსნა საკუთარი კარი აშკარა ხიფათისგან. თუმცა ორ ეპიზოდში პორტნოისიც უძლური იყო: ჯერ ხალილმა იყოჩაღა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა, მერე კი **პერ-ეგილ ფლომ** ეფექტურად შეასრულა პენალტი. ნორვეგიელებს ამის მერეც შეეძლოთ უპირატესობის განმტკიცება - მთელი თამაშის განმავლობაში უაღრესად მოტივირებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. განსაკუთრებით კი სტანდარტული მდგომარეობების დროს იყვნენ სახიფათონი - ყველა ჯარიმა, კუთხური თუ აუტიც კი ლატვიელთა კართან ხიფათის ტოლფასი იყო. ჰო, აუტი, შემთხვევით არ გვიხსენებია - ლამის ყოველი მეორე ნორვეგიელი ხელით ბურთს 30-40 მეტრზე გზავნიდა! მეტოქის საჯარიმოში კი სტანდარტულების დროს ორი ტანმაღალი ცენტრალური მცველი - **მარიუს ბოლდტი** და ევენ ჰოფლანდი წამდაუწუმ ხიფათს ქმნიდა; განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ჯარიმას ან კუთხურს გუნდის კაპიტანი ფლო ასრულებდა. **ტორე-ანდრე ფლოც** ვიცით, **ჰავარდ ფლოც** და **ჯასტინ ფლოც**; აი, ამ "ახალმა" და ჩვენთვის უცნობმა ფლომ არანაკლები შთაბეჭდილება დატოვა - ამპლუით მარცხენა მცველი ორი ტაიმის განმავლობაში მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო (არადა, ნორვეგიელთა 18 წლის კაპიტანი თავისი ქვეყნის პირველი დივიზიონის მოკრძალებულ "სონგდალში" ასპარეზობს). მის გარდა გამოვარჩევდით "ვალერენგას" ჭაბუკ ნახევარმცველს **ფრედრიკ კარლსენს**, მოედნის ცენტრს რომ დაეპატრონა და მთელი თამაში დაუღლელად რომ ჩაატარა.

მოკლედ, საქართველოს 19-წლამდე ნაკრებს ხვალ ძალიან მძიმე მატჩი ელის - ნორვეგიის ნაკრები მეტისმეტად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და მის ზოგიერთ ფეხბურთელს კი კოჭებშივე ეტყობა, რომ მომავალში სერიოზულ დონეს უნდა მიაღწიოს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს XIX ჩემპიონატი
www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. IX ტური. წინათქმა

# შემოდგომის ჩემპიონი მალე გაირკვევა

პირველი წრის ცენტრალური მატჩი 11 ნოემბერს გაიმართება "დინამოსა" და "ზესტაფონს" შორის, მანამდე კი დუშან უჰრინის გუნდი ლიდერობის შესანარჩუნებლად ტრადიციულ და პრინციპულ მეტოქეს შეებრძოლება. ამ ტურში სხვაც ბევრი საინტერესო მოხდება, ასე რომ, სანაკრებო პაუზის შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატზე გადავერთოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები საშემოდგომო ეტაპის დასკვნით ნაწილში.



თასზე დინამომ ვიტ ჯორჯიას 3:2 მოუგო

### 15:00 დინამო–ვიტ ჯორჯია

19 ოქტომბერი. თბილისი. ეროვნული.

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, სპასოევიჩი, ხუციშვილი, აკირემი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, კაიშაური, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე, გელაშვილი, სახოკია

დისკვალიფიკაცია: ბეჟვაია, ინჯგია

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

დინამოელები და ვეტერინარები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინათ შეხვდნენ, ოღონდ ის მატჩი თასის ჯგუფურ რაუნდში გაიმართა და გუნდებს ოპტიმალური შემადგენლობით არ უთამაშიათ. თუმცა ბრძოლა მაშინაც უშელავათო იყო (3:2 "დინამოს" სასარგებლოდ) და მასპინძლებს ახლაც უნდა გაუჭირდეთ სასურველი შედეგის მიღწევა. "დინამოს" ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, "ვიტ ჯორჯიას" რიგებში კი როგორც ხედავთ, დისკვალიფიკაციების გამო იძულებითი ცვლილებები იქნება. საინტერესოა, რა შეცვალა ორკვირიანმა პაუზამ გამორჩეულ ქართულ გუნდებში.

### 15:00 ბორჯომი–ლოკომოტივი

19 ოქტომბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, ქარქოზაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, მემარნიშვილი, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. ხანიშვილი, შ. ჯიქია

დისკვალიფიკაცია: თ. ლონლაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, გ. კვახაძე, ლალაძე, გულორდავა, ტიკურიშვილი, ბარბაქაძე, ბობოხიძე, იმედაძე

დისკვალიფიკაცია: სამხარაძე, გ. მიქაძე, მალიჩავა

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

"ბორჯომი" სტაბილურად დამკვიდრდა ლიდერების სიახლოვეს და პოზიციების შენარჩუნების შესანიშნავი შანსი აქვს. "ლოკომოტივი" ოპტიმალური შემადგენლობითაც ვერ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და ერთი შეხედვით, ძლიერ მეტოქესთან ძალიან უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ რკინიგზელებს კვლავ დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და ამის გამო, მოედანზე ამჯერადაც შეთხელებული შემადგენლობით გავლენ. ისე კი, **კიკნაძისა** და მისი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წინა ტურში "სიონს" მძიმე ბრძოლაში სძლიეს.

### 15:00 სიონი–დილა

19 ოქტომბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: სტურუა, ქურასბედიანი, სვანიძე, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ნადირაძე, ქუცურუა, ჩასემი, ქარდავა

დისკვალიფიკაცია: ბოიომო

დილა: ილურიძე, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, სამადაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

ბოლნისელებმა მშვენივრად იციან, რომ მსგავსი შინაარსის საშინაო მატჩებში უცილობელი გამარჯვება სჭირდებათ და დაგეგმილი სამი ქულის მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. თავის მხრივ, გორელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, მწირი მონაგარის მიუხედავად, "დილა" ყველა შეხვედრაში ბოლომდე იბრძვის და ვინ იცის, იქნებ დღეს შინ ხელცარიელი არც დაბრუნდეს.



ამერში, შესაძლოა, გამოჯანმრთელებული ხვადაგიანი დაბრუნდეს

### 15:00 სპარტაკი–მესხეთი

20 ოქტომბერი. გორი. თ. ბურჯანაძე

**სავარაუდო შემადგენლობები**

სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი, მამუკაშვილი, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, ძარია, ჩირიკაშვილი, გოგოხია, ბახტურიძე, კუპრეიშვილი, ხიდეშელი

მესხეთი: ძამუნაშვილი, ჟვანია, გ. ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

დისკვალიფიკაცია: სომხიშვილი

არბიტრი: ლ. სილაგავა

გორში უშელავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ. უმაღლესი ლიგის ორივე დებიუტანტმა ჩემპიონატის განვლილ მატჩებში რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა, "მესხეთს" ზურგს უფრო მაღალი ადგილი უმაგრებს, "სპარტაკს" კი საკუთარი კედლების ფაქტორი (თუმც მის თამაშებზე ცოტა ხალხი დადის). მასპინძლებს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული **თორნიკე თარხნიშვილი** აკლიათ, სტუმრებს კი ძირითადი მეკარე **გიორგი სომხიშვილი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

### 15:00 ოლიმპი–მგლები

21 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, სილაგაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი, ქებაძე, კახელიშვილი, გენაძე, რ. ჯიქია

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, ნარსია, ქირია, ხუბუა, კრასოვსკი, ვართაგავა, ზ. ჯანაშია, ჭედია

დისკვალიფიკაცია: ჯოჯუა

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ტურის მეორე ცენტრალურ დაპირისპირებას რუსთავი უმასპინძლებს. ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი "ოლიმპი" ყოჩაღ დებიუტანტს დაუხვდება და ქულათა არცთუ სოლიდური მარაგის გაზრდას შეეცდება. რუსთაველთა არასტაბილური ასპარეზობა კი ზუგდიდელებს კვირის მატჩში წარმატების იმედებს ულვივებს. ამ შეხვედრაში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

### 15:00 ბათუმი–ამერი

19 ოქტომბერი. ბათუმი. ადელი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, კუნჭულია, ცანავა, კ. მახარაძე, ზ. ჭელიძე, ლ. მახარაძე, გ. მოდებაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე

დისკვალიფიკაცია: კანტიძე (მწვრთნელი)

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (ჩიკვილაძე), დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე (ტატანაშვილი)

არბიტრი: მ. ურუშაძე

ჯერჯერობით, "ბათუმის" თამაშში უკეთესობა არ შეინიშნება და გასაჭირში ჩავარდნილი აჭარული კლუბი დღესვე შეგვიძლია მივიჩნიოთ გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს პრეტენდენტად. "ამერი" კი საჩემპიონო რბოლას ჩამოსცილდა, თუმცა ცხადია, ამის მიუხედავად, გლდანელთათვის ბათუმში ფრის გარდა, სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. "ამერს" გამოცდილი ცენტრალური მცველი **ვახტანგ ხვადაგიანი** გამოუჯანმრთელდა და სავარაუდოდ, დღეს ძირითად შემადგენლობაში გაამწესებენ.

### 15:00 მერანი–ზესტაფონი

21 ოქტომბერი. თბილისი. მერანი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: სეფიაშვილი (თევდორაძე), გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ა. კალაძე, ჯანგიძე, ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, ტყეშელაშვილი, ზ. ავალიანი, გოჩაშვილი

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ამ სეზონში "ზესტაფონი" დაგეგმილ ქულებს სტაბილურად აგროვებს და თუ სრული მობილიზებით ითამაშა, ალბათ, არც აუტსაიდერის დამარცხება გაუჭირდება. ერთი შეხედვით, ფეროელებს ხარვეზები ნაკლებად აქვთ, მაშინ როცა "მერანს" სხვადასხვა სახის პრობლემები არ აკლია. თუმცა ამ გუნდების უკანასკნელი შეხვედრაც უნდა გავიხსენოთ - წინა სეზონის მეორე წრეში "ზესტაფონმა" "მერანს" შინ ვერ მოუგო, რაც საჩემპიონო შანსის დაკარგვად დაუჯდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 24-2 | 24 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 0 | 17-3 | 22 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 11-7 | 16 |
| 4. მგლები | 8 | 5 | 0 | 3 | 9-6 | 15 |
| 5. ბორჯომი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-5 | 14 |
| 6. მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 |
| 7. ამერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-10 | 12 |
| 8. ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-7 | 11 |
| 9. ლოკომოტივი | 8 | 3 | 0 | 5 | 6-12 | 9 |
| 10. სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3-7 | 8 |
| 11. სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| 12. დილა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-13 | 4 |
| 13. მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-19 | 3 |
| 14. ბათუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-15 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 5 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 4 |
| ჭედია (მგლები) | 4 |

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

საქართველო-შოტლანდია. ძველები ახლებზე

# ასათიანმა ისე ითამაშა, ამაზე მაღლა არაფერია

შოთა არველაძე და ლევან კობიაშვილი - რას ფიქრობს ერთი ლევან მჭედლიძეზე, მეორე კი - ლევან ყენიაზე.

მჭედლიძემ და ყენიამ შოტლანდიასთან ფურორულად ითამაშეს და შეიძლება ითქვას, უკვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელები გახდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის. ცხადია, ინტერესმოკლებული არ არის, თუ რა აზრის არიან ამ 17 წლის ფეხბურთელებზე ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, არველაძე და კობიაშვილი რომ არიან.





ლევან მჭედლიძე

## შოთა არველაძე:

- ასაკის მიუხედავად მჭედლიძე საკმაოდ ათლეტური აღნაგობისაა, თუმცა სულაც არ ცდილობს, მაინცდამაინც ძალისმიერი მანერით ითამაშოს. ის ტექნიკურია და მოედანზე სულ აზროვნებს. მჭედლიძე კარგ პარტნიორობას უწევდა თანაგუნდელებს, ეგოისტივით არ თამაშობდა.

**- თავდასხმაში მჭედლიძე-სირაძის დუეტზე რას იტყოდი?**

- ორივემ კარგად ითამაშა, სირაძე და მჭედლიძე სულ ერთმანეთს უყურებდნენ და ამის მიხედვით მოქმედებდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისიც უნდა ითქვას, რომ სირაძემ და მჭედლიძემ ერთად პირველად ითამაშეს. ისიც ძალიან სასიამოვნოა, რომ ორივემ მოახერხა გოლის გატანა.

**- როგორ შეატყვე, მჭედლიძეს უკვე შეუძლია სტაბილურად ითამაშოს სანაკრებო დონეზე?**

- ამ ასაკში სტაბილურობა ადვილი არ არის, მაგრამ ისიცაა, რომ როცა საქართველოს ნაკრებს კალაძე, კობიაშვილი და სხვა გამოცდილი ფეხბურთელები ეყოლება, 17 წლის მჭედლიძეს უფრო გაუადვილდება თამაში. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ჯობია, უცხოეთში ითამაშონ და კარგია, რომ მჭედლიძეს აქვს ამის საშუალება.



ლევან ყენია და ლევან კობიაშვილი

## ლევან კობიაშვილი:

- შოტლანდიასთან გამარჯვება მთელი გუნდის დამსახურებაა, ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო. ჩვენი ნაკრების ყველა მოთამაშემ კარიერის საუკეთესო მატჩი ითამაშა. თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს მალხაზ ასათიანია. მან ისე ითამაშა, რომ ამაზე მაღალი არაფერი არ არის. რაც შეეხება ყენიას, მიხარია, რომ საქართველოს ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს. მან და სხვა ახალგაზრდებმა გაუძლეს იმ ზეწოლას, რასაც ეროვნულ გუნდში თამაში იწვევს.

**- ყენიას ზოგი უკვე გიორგი ქინქლაძეს ადარებს...**

- ყენია შოტლანდიასთან მართლაც აქტიური და სასარგებლო იყო, მაგრამ ის 17 წლისაა და წინ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ყენია სწორ გზაზე დგას. რაც შეეხება იმას, რომ მას ქინქლაძეს ადარებენ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. თუმცა ასეთი შედარება ჯერ ნაადრევი და ალბათ, უადგილოა. ისიც საკითხავია, როგორ გადაიტანს ასეთ აჟიოტაჟს ლევანი.

**- "შალკეში" რას ამბობენ ყენიაზე?**

- უხარიათ, რომ ასეთი ფეხბურთელი ჰყავთ და არ უხარიათ, რომ ყენიას ხშირად მოუწევს "შალკედან" საქართველოს სხვადასხვა ნაკრებში წასვლა. ყენიამ ჯერ მხოლოდ ორჯერ ივარჯიშა "შალკეში". ის ჩვენს 19-წლამდელთა გუნდში ითამაშებს. 19-წლამდელთა ბუნდესლიგა სამ რეგიონად არის დაყოფილი, დასკვნით ეტაპზე ოთხი გუნდი გადის - ერთი რეგიონიდან ორი, დანარჩენიდან თითო-თითო. საკმაოდ პრესტიჟული ტურნირია. მაგალითად, "შალკეს" პირველ გუნდს ყოველწლიურად 2-3 ფეხბურთელი აჰყავს იუგენდბუნდესლიგიდან.

**- დაბოლოს, ჯანმრთელობაზეც გკითხავ - დაახლოებით როდის შეძლებ სრული დატვირთვით ვარჯიშს?**

- ვარჯიშის დაწყება ჩემთვის ჯერ ადრეა. 2-3 კვირის მერე გამოჩნდება, თუ როდის შევძლებ თამაშს. მარცხენა ფეხზე კუნთი ძვალს არის დაშორებული და ჯერ ზუსტად ვერ მეუბნებიან, როდის დასრულდება შეხორცება.

დავით თავართქილაძე



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

შოტლანდიასთან გლაზგოში 1:2 წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ველარ ჩაებღაუჭებოდა და ამ შესარჩევში ორი მიზანი ჰქონდა - ლიტვის გადასწრება და ერთი ხმაურიანი გამარჯვების მოპოვება.

ერთი ამოცანა უკვე შესრულებულია - საქართველომ შოტლანდიას მოუგო, სქოთები ამ თამაშამდე ჯგუფის ლიდერები იყვნენ.

ასეთი გამარჯვება ყველას სჭირდებოდა - კლაუს ტოპმიოლერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ხელისუფლებას, ნაკრების ფეხბურთელებს და, რა თქმა უნდა, ქართველ გულშემატკივარს.

ტოპმიოლერს იმიტომ, რომ საკუთარ რეპუტაციას ანგარიში უნდა გაუწიოს. ის ყველა თამაშზე ვერ იტყოდა, არ გაგვიმართლა, წამყვანი ფეხბურთელები არ გვყავდა, გოლი მეკარის შეცდომის გამო გავუშვით, კაცნაკლულნი დავრჩით და ა.შ.

ფედერაციას იმიტომ, რომ ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელება ადრევე ამოიჭრა გულში და აქამდე საამისოდ მხოლოდ ერთი არგუმენტი ჰქონდა - სხვა მწვრთნელი რომ მოვიწვიოთ, მას ჯერ დრო დასჭირდება ჩვენს ნაკრებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად და ახალი გუნდის და ახალი გარემოში მუშაობის შესაგუებლად.

ხელისუფლებას იმიტომ, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქართველოს ნაკრების ამ მწვრთნელით მისი პროდუქტია და ტოპმიოლერის ჯამაგირს უმეტეს ნაწილსაც ქვეყნის ბიუჯეტი ისტუმრებს.

გულშემატკივარს იმიტომ, რომ გაითანგა ამდენი წარუმატებლობებით და გამარჯვება წყალივით სწყუროდა. ადამიანის თვისებაა, რომ მას რაღაცის უნდა სჯეროდეს და დღეს ხალხს უკვე სჯერა ლევან ყენიასი და ლევან მჭედლიძის, ალბათ არც ის არის დაუჯერებელი, რომ ტოპის შეუძლია კარგი ნაკრების ჩამოყალიბება.

შოტლანდიასთან ვიხილეთ გუნდი, რომელსაც მწვრთნელის ხელი ეტყობოდა. ეს იყო ტოპმიოლერის ნაშრომი, ეს არ იყო შემთხვევითი გამარჯვება. როგორც იქნა ტოპმიოლერმა თერთმეტი გასროლიდან თერთმეტივე მიზანში მოარტყა - ვისაც შოტლანდიასთან ენდო, ყველამ გაუმართლა.

ბურთის ამოტანა მოკლე პასებით, დინამიკა, სწორი მოძრაობა - ეს ჰაერიდან არ მოდის, ეს მოდის შრომით.

შოტლანდიამდე იტალიასთან იყო თამაში და მაშინ მჭედლიძემ თავი ვერაფრით გამოიჩინა, შოტლანდიასთან კი 17 წლის ჭაბუკმა გოლიც გაიტანა, დიდი მოცულობის სამუშაოც შეასრულა და დაგვანახა, რომ ახალი ფორმაციის, მრავალმხრივი გაქანების ფორვარდია.

თუ მწვრთნელი ყველაფერს სწორად გათვლის, ახალგაზრდა ფეხბურთელების ნდობა წმინდა საქმეა. ტოპის სჯეროდა თავის გადაწყვეტილების და ეს მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეტყობოდა - ჰერ კლაუსი ზვიადი თვითრწმენით საუბრობდა.

ბრიტანული მედია კი, ცხადია, შოტლანდიისას უფრო ჩიოდა, ვიდრე ჩვენსას, თუმცა თითქმის ყველა გამოცემამ გაჰკრა კბილი ალექს მაკლიშის შოტლანდიას - ქართველებმა სამი თინეიჯერი ათამაშეს და მოიგესო.

საქართველოს ნაკრებს აქვს ამის ტრადიცია, ყველა ჩაგდებულ შესარჩევში ერთი კარგი თამაში მაინც ითამაშოს, ეს ტრადიცია გაგრძელდა და თან ისე, რომ სამომავლოდ უფრო იმედიანად ვართ - ყენია, მჭედლიძე და იქნებ, კიდევ გამოჩნდეს ერთი თუ ორი ნიჭიერი ჭაბუკი ჩვენი უპირველესი გუნდისთვის.

ვერ გვაქვს საქმე კარგად ასაკობრივ ნაკრებებში. 21-წლამდელებმა ყაზახეთში 1:4 წააგეს, 19-წლამდელები ჰოლანდიასთან დამარცხდნენ და ვნახოთ, იქნება ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბში მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ალბათ მისთვის კაბალურ ხელშეკრულებას აღარ გაუფორმებს ტოპმიოლერს - ვიხდით ფულს და ვთხოვთ კონკრეტულ შედეგებს - ალბათ, ასეთი იქნება ახალი კონტრაქტის პრინციპი.

ზოგადად კი, არც მწვრთნელი, გუნდი თუ ფეხბურთელი ერთი მატჩით არ ფასობს. ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრებს ისევ დასჭირდება ალექსანდრე იაშვილი. რახან ტოპიმ უიაშვილოდ მოუგო შოტლანდიას, ამას ალბათ ნიშნის მოსაგებად არ გამოიყენებს.

გემრიელი გამოდგა სქოთების ძლევა. მაკლიშმა იმაზელა დაიწუწუნა, ჯეიმს მაკფადენზე 11-მეტრიანი იყო, ზურაბ ხიზანიშვილმა ის საპენალტოდ წააქციაო.

კაიზერ ფრანციივით ითამაშა მალხაზ ასათიანმა. შესაძლოა, ის სხვა დიდ ლიბეროს თუ სტოპერსაც შევადაროთ და ამაზე კამათით დავშვრეთ - ეს ის შემთხვევაა, როცა გემოვნებაზე სწორედაც რომ დავობენ.

ლონდონურმა "დეილი მეილმა" კი საქართველო-შოტლანდიის მიმოხილვა ასეთი დასკვნით დაასრულა:

Man of the match: Levan Kenia.

დავით თავართქილაძე



ხიზანიშვილი მაკფადენს: პენალტი არ იყო, შეუშვი მაგ თავში!



სქოთებმა თინეიჯერული ალიყური გიორგი მაკარიძისგანაც იწვნიეს

ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება

არგენტინაში,

დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველო-შოტლანდია. უცხოური პრესის გამოხმაურება



# ამ პატარა ბიჭებმა არც იციან, რა არის შიში

## როგორ გახდა დავით სირაძე ჭვაროსნების ბაბუა

შოტლანდიის ნაკრებთან საქართველოს გამარჯვებამ იტალიელები უზომოდ გაახარა. სხვადასხვა გამოცემები ერთმანეთს საქართველოს ნაკრების ქებაში ეჯიბრებიან.

### რეპუბლიკა (იტალია)

### ტრაპმიოლერის ბავშვებმა ბრიტანელ ვარსკვლავებს აჯობეს

დონადონის "სკუადრა აძურა" და იტალია მადლობას უხდის "თავხედ" ტრაპმიოლერს. გენუაში წაგების შემდეგ, ქართველთა მწვრთნელი "სკუადრა აძურას" შოტლანდიასთან გამარჯვებით აიმედებდა. თბილისში მისმა გუნდმა მართლაც დიდი სენსაცია გამოაცხო. ქართველმა ბავშვებმა შოტლანდია საოცარი სილაღით დაამარცხეს. ეს 17 წლის ბავშვები არიან. მეკარე მაკარიძე, ნახევარმცველი ყენია, თავდამსხმელი მჭედლიძე, რომელიც "ემპოლის" სათადარიგოებშია და შოტლანდიასთან პირველი გოლი გაიტანა.

ეს ყოველივე მოულოდნელი იყო. ჯგუფის ლიდერ შოტლანდიას ბავშვებით დაკომპლექტებულ გუნდთან მოგება არ უნდა გასჭირვებოდა."

### რადიო 19 (იტალია)

"კლაუს ტოპმიოლერმა სიტყვა შეინახა და იტალია გაახარა. მან თბილისის სტადიონზე საოცარ საღამოს უდირიჟორა. ეს იყო იტალიისადმი საქართველოს საჩუქარი, რომელშიც დიდი წვლილი "ემპოლის" ახალგაზრდა ტალანტმა ლევან მჭედლიძემ შეიტანა. მას "ემპოლის" ძირითად გუნდში გამოსვლის საშუალება დღემდე არ ჰქონია."

### GOAL.COM

"საქართველო შოტლანდიას ცხოვრებას ურთულებს. საქართველოს მოგებამ იტალიას უდიდესი სტიმული მისცა. ქართველებმა ალექს მაკლიში ძალიან გააოცეს. ერთი შეხედვით, შოტლანდიას ადვილად უნდა მოეგო, რადგან კლაუს ტოპმიოლერმა შემადგენლობაში სამი იუნიორი დააყენა. არადა, ქართველებმა სწორედ ამ ბავშვების წყალობით მოიგეს."

იტალიის ნაკრების ნახევარმცველი **დანიელე დე როსიმ** მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო-შოტლანდიის შედეგმა გაახარა, მაგრამ არ გაკვირვებია: "რა თქმა უნდა, ქართველების მოგება გვაწყობდა. მათი გამარჯვება არ მიკვირს. ეს მოსალოდნელი იყო. მეტიც, დარწმუნებული ვიყავი, რომ შოტლანდია დამარცხდებოდა და მიხარია, მართალი რომ აღმოვჩნდი. ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ევრო 2008-ზე მოვხვდებით თუ არა."

### SPORTS.RU (რუსეთი)

"ქართველები დიდი ხანია ჯგუფიდან გასვლაზე აღარ ფიქრობენ და გასაოცარი აღმაფრენა შეიძინეს. შაბათს "სკუადრა აძურას" საკმაოდ ღირსეულად დაუპირისპირდნენ, ოთხშაბათს კი თბილისში შოტლანდია დაამარცხეს, რომელმაც ჯგუფიდან გასვლა ნაადრევად იზეიმა. ტოპმიოლერის გამოუცდელი ფეხბურთელები მაკლიშის იმ კაცებს არ შეუშინდნენ, რომლებმაც საფრანგეთის ნაკრებს სკალპი ახადეს. ეტყობა, ეს ბიჭები იმდენად პატარები არიან, რომ ჯერ არც იციან, რა არის შიში. მაგალითად, 17 წლის გიორგი მაკარიძე, პირველად დადგა ნაკრების კარში და მშრალად შეინახა. ის მრისხანე მაკფადენის, მილერისა და მელოუნის წინაშე სულაც არ იყო შებოჭილი. პირველი გოლი თინეიჯერმა, 17 წლის ლევან მჭედლიძემ გაიტანა, მეორედ კი სტუმრები ახალქართული საზომით "ბაბუამ", 25 წლის დავით სირაძემ დაამწუხრა.

### სკოტსმენი (შოტლანდია)

კაცებმა ბავშვების წინააღმდეგ ითამაშეს, მაგრამ ბავშვები ძალიან ძლიერები აღმოჩნდნენ.

ქართველთა შეტევები შოტლანდიელებისთვის დამთრგუნველი გამოდგა. ევრო 2008-სკენ ალექს მაკლიშის გუნდის ძლევამოსილი სვლა შეჩერებულია.

ისინი ყველანაირად დაჩაგრეს, პირველიდან ბოლო წუთამდე. ქართველები უფრო აგრესიულები და თავდაჯერებულები იყვნენ და ამან შოტლანდიელთა ჩანაფიქრი არია. მაკლიშის ფეხბურთელები ფიქრობდნენ, რომ გამარჯვებას ყველა შემთხვევაში მიაღწევდნენ.

ტოპმიოლერმა აქცენტი იუნიორებზე გააკეთა: მაკარიძე, ყენია, მჭედლიძე 17 წლის არიან, ჯაბა კანკავა კი 20-ის. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გასაოცარი ტალანტები ბურთს იოლად იმორჩილებდნენ, სწრაფად უტევდნენ და შოტლანდიელი ფეხბურთელები საკუთარ პერსპექტივაში დააეჭვეს. ქართული მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი გვეკითხებოდა, რა დაემართა შოტლანდიას, რომელმაც საფრანგეთსა და უკრაინას აჯობა. გასაგებია, რომ მათი წარმოდგენა იაფფასიანი ილუზია აღმოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

გაძეტა დელო სპორტი ქართველ ტალანტზე ალაპარაკდა

# ემპოლიმ მჭედლიძისთვის ბაიერნს დიდი ბრძოლა მოუგო

იტალიასთან და შოტლანდიასთან შეხვედრებამდე ლევან მჭედლიძეზე ინფორმაციას ათასგვარ საძიებო საიტში ვეძებდით, მაგრამ მხოლოდ მწირ ცნობებს ვაწყდებოდით.

ახლა, 17 წლის ქართველ თავდამსხმელზე ბევრი რამ იწერება. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გენუაში იტალია-საქართველოს მატჩის შემდეგ იტალიელებმა აღმოაჩინეს, რომ მათ ქვეყანაში მხოლოდ კახა კალაძე არაა ერთადერთი ქართველი. შოტლანდიასთან გამარჯვების შემდეგ და განსაკუთრებით ამ გამარჯვებაში "ემპოლის" თავდამსხმელის შეტანილი წვლილის შემდეგ მჭედლიძით იტალიური პრესა დაინტერესდა.

ვფიქრობთ, "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული სტატია ყველას ერთად დაგვაინტერესებს და ამ ბიჭზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის.

### გოლის შემქმნელი მჭედლიძე ახალი იბრაჰიმოვიჩია

*17 წლის ლევან მჭედლიძე "ემპოლიში" თავდამსხმელია. მან საქართველოს ნაკრებში კარგი თამაშით მოწონება დაიმსახურა და ყურადღების ცენტრში მოექცა. კლუბი თვეში მას მხოლოდ სამი ათას ევროს უხდის. საინტერესოა, რომ იტალიურმა კლუბმა ქართველი ტალანტი მიუნხენის "ბაიერნის" კლანჭებიდან დაიხსნა.*

*"ემპოლის" გენერალური დირექტორი* ***ფაბრიციო კორსი*** *სიამაყით აცხადებს:"დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს მოედანზე ახალი იბრაჰიმოვიჩი თამაშობდა. ამ პატარა ბიჭმა მთელი თავისი ცოდნა და ძალა გამოაჩინა და "ემპოლის" პრეზიდენტი აღაფრთოვანა.*

*ლევან მჭედლიძის დასამატებლად ჩვენ ორი დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. პირველი ყველაზე მძიმე და რთული მოსაგები აღმოჩნდა. ჩვენ მიუნხენის "ბაიერნის" კონკურენციას გავუძელით და ვაჯობეთ. პრესტიჟის გარდა, კარლ ჰაინც რუმინეგესა და ფრანც ბეკენბაუერის მფარველობის ქვეშ მყოფი "ბაიერნი" ფინანსური სიძლიერითაც გამოირჩევა. ისინი მჭედლიძეს საუკეთესო პირობებს სთავაზობდნენ. ამის მიუხედავად, ორი წლის წინათ, ქართველმა თავდამსხმელმა ჩვენთან, იტალიაში თამაში ამჯობინა.*

*იტალიაში დამკვიდრების შემდეგ, საცხოვრებელი და ყოფითი სიძნელეები გადალახა, მაგრამ მეორე პრობლემა არანაკლებ რთული დასაძლევი გამოდგა. მას სამუშაო ვიზასა და თამაშის უფლებას არ აძლევდნენ. მთელი ორი წელიწადი ლევანი "ემპოლიში" ვარჯიშობდა, მაგრამ განაცხადში მხოლოდ წლეულს შევიყვანეთ.*

*მას თამაში ბიუროკრატიული პრობლემების გამო ეკრძალებოდა. ფორმის შესანარჩუნებლად, თავიდან ჩვენთან მხოლოდ ვარჯიშობდა, მაგრამ თამაშის საშუალება არ ჰქონდა. შეხვედრებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. ვითარება ექვსი თვის წინათ შეიცვალა. 1 ივლისს ვიზა მისცეს და განაცხადში შევიყვანეთ. ლევანი 60 ათასი ევრო ღირს და თვეში მხოლოდ 3 ათას ევროს იღებს. ის ამჟამად მონტებოროში "ემპოლის" სპორტულ ცენტრში ძმასთან ერთად ცხოვრობს.*

*ფაბრიციო კორსი მჭედლიძის ნაკრებში გამოძახების გამო წუხს, მიზეზად ლევანის ძველ ტრავმას ასახელებს.*

*"ლევანის ეროვნული ნაკრების შეკრებაზე წასვლა არ გვინდოდა. მუხლის ტრავმა მცირე ხნის წინათ მოირჩინა და ვარჯიში მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც განაახლა."*

*კორსის თქმით, მჭედლიძე ნაკრებში რომ არ წასულიყო, 20 ოქტომბერს "ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდში პირველ შეხვედრას ჩაატარებდა. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი პირველ გუნდში არ გადაიყვანდნენ."*

სამწუხაროდ, შოტლანდიასთან მატჩში ლევანს ფეხი ისევ ატკინეს, მაგრამ, იმედია, სერიოზულად არ დაშავებულა. გუშინ ის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ჯგუფურ შეხვედრაში ვერ დაეხმარა.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან მჭედლიძე და დავით კვირკველია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დროგბა: ჩელსიდან მივდივარ!

## თავდამსხმელი ამბობს, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა...

**დიდიე დროგბას** "ჩელსიდან" წასვლა სურს. თავდამსხმელს მიაჩნია, რომ **ჟოზე მოურინიოს** დათხოვნა გუნდისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. მისი აზრით, მწვრთნელის შეცვლამ ლონდონელთა სულისკვეთებაზე უარყოფითად იმოქმედა. გუნდს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა გაუჭირდებაო, ასკვნის "არისტოკრატების" საუკეთესო ბომბარდირი. გუშინ ის "ფრანს ფუტბოლს" გაესაუბრა. დროგბას ინტერვიუ დღეს გამოქვეყნდება. ჩვენ კი საშუალება გვაქვს, ყველაზე საინტერესო კომენტარები შემოგთავაზოთ. *"ჩელსიში" რაღაც მოიშალა. გასახდელში ძველებური განწყობა აღარ არის. კარგად ვიცით, რა მოხდა და რატომ წავიდა ჟოზე. ამიტომ აქ დარჩენის აზრსაც ველარ ვხედავ,"* - ამბობს დროგბა. დიდიე "ჩელსიში" 2004 წლის ივლისში გადავიდა. მარსელის "ოლიმპიკს" მის სანაცვლოდ 24 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. გასულ სეზონში დროგბამ 30 გოლი გაიტანა. 1980-იანი წლების ვარსკვლავ **კერი დიქსონის** შემდეგ "ჩელსიში" მსგავსი რამ ვერავის მოეხერხებინა. დროგბამ გუნდს პირადად მოაგებინა ასოციაციისა და ლიგის თასები. მან "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალთან" ფინალურ მატჩებში გადამწყვეტი გოლები გაიტანა.

დიდიეს ლონდონში უმძიმესი სადებიუტო სეზონი ჰქონდა. მას განუწყვეტლივ სიმულაციაში ადანაშაულებდნენ. პირველად მაშინ და მეორედ ახლა, ფეხბურთელი "ჩელსიდან" აბარგებაზე ფიქრობს. სამი წლის წინანდელისაგან განსხვავებით, ამჯერად მისი გადაწყვეტილება საბოლოოა, ყოველ შემთხვევაში, დროგბას კომენტარიდან ასე ჩანს: *"ვიცი, რომ რონალდინიო და კაკა შეიძლება შეიძინონ, მაგრამ ესეც კი ველარ შემაცვლევინებს აზრს. "ჩელსიში" დარჩენა აღარ მინდა."* დიდიეს მინიმუმ იანვრის ტრანსფერებამდე მოუწევს ლოდინი. "არისტოკრატები" ყველაფერს ილონებენ მის შესანარჩუნებლად. "ფრანს ფუტბოლს" დაინტერესებული კლუბების შესახებ არაფერი უთქვამს. ინგლისელი მიმომხილველები მოვლენების განვითარებას დაელოდებიან.



დიდიე დროგბა
ლონდონიდან აბარგებას აპირებს

ბარსელონა

# დეკუ ითხოვს თავისუფლებას

## ლამი ძამბროტას ნაცვლად, ანრი ამერიკაზე ალაპარაკდა

"ბარსელონის" ვარსკვლავი **დეკუ** საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს. საქმე ფეხბურთელების თავისუფალი დროის გატარებას ეხება. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი მშრომელებისგან განსხვავებით, საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელები მოთამაშეებს სამუშაო საათების დასრულების შემდეგაც აკონტროლებენ და მათ ღამის ცხოვრებით ტკბობას უკრძალავენ. როგორც აღმოჩნდა, დეკუ ამგვარ დამოკიდებულებას კატეგორიულად არ ეთანხმება. აი, რა განაცხადა მან: *"არ მესმის, რატომ გვიკრძალავენ ფეხბურთელებს თავისუფალი დრო ისე გავატაროთ, როგორც ჩვენ მოგვესურვება. საკითხი ხომ მარტივია, მაგალითად, რომელიმე კომერციული კომპანიის ან სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელს ხომ არავინ ეუბნება, საღამოს სახლიდან ფეხი არ გადგათო. მათ მხოლოდ ის მოეთხოვებათ, რომ დილით მივიდნენ ოფისში და დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულონ. ბუნებრივია, თუ დილით ვერ გაიღვიძებენ, დააგვიანებენ და არასრულფასოვნად იმუშავებენ, მათ არავინ გააჩერებს... მაგრამ, მე თუ ვარჯიშის ან თამაშის შემდეგ, საღამოს მეგობრებთან ერთად ბარში წავალ, კარგად გავერთობი და დილით ჩვეულებრივ ვიმუშავებ, მოედანზეც დავიხარჯები, ვისი რა საქმეა, როგორ მოვიქცევი. ცხადია, ვაცნობიერებ, რომ საკვირაო შეხვედრის წინ გვიანობამდე გარეთ ყოფნა დალს დამასვამს, მაგრამ განა პრობლემაა ოთხშაბათს დავისვენო და გავერთო? მოკლედ, ვგონებ, დროა ფეხბურთელებმა საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა დავიწყოთ."* დეკუს თამამ განცხადებას, "ბარსას" ოფისიდან ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია, თუმცა ისედაც ყველასთვის ცნობილია, რომ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელები მოთამაშეების თავისუფალ ცხოვრებას ვერასოდეს შეეგუებიან.

ამასობაში, "ბარსელონა" ბაიერნელი **ფილიპ ლამით** დაინტერესდა. კატალონიელები ამ ბიჭს **ჯანლუკა ძამბროტას** შემცვლელად განიხილავენ. ლამი 23 წლისაა. ძამბროტა 30-ის. იტალიელი მცველი დაშავებულია. მას ორი თვე გაუცდება. ძამბროტას კარიერა დასასრულს უახლოვდება. გერმანელი მის ფუნქციებს იდეალურად გაართმევდა თავს. ფილიპის მიუნხენური კონტრაქტი 2009 წელს იწურება. მისი ფასი უცნობია. იანვრის ტრანსფერებისას ძამბროტას "კამპ ნოუდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. იტალიელი მიმომხილველების აზრით, "იუვენტუსის" ყოფილი ვარსკვლავი "მილანში" ჩაირიცხება.

ბარსელონელმა ვარსკვლავმა **ტიერი ანრიმ** განაცხადა, რომ სიამოვნებით დაასრულებდა კარიერას ამერიკაში. მას "ნიუ იორკ რედ ბულსში" თამაში სურს, თუმცა აღიარებს, რომ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია: *"არასოდეს დამიმალავს ამერიკის მიმართ ჩემი სიმპათია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან მომწონს ამერიკული ცხოვრების წესი, ნიუ იორკი კი მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ქალაქად მიმაჩნია."*



დეკუ სოუზას
ბარსელონიდან აბარგება უნდა



ლუსიოს იტალიაში ელოდებიან

რომა

# ორი ფორვარდი და ლუსიო

## სპალეტიმ საიანვრო გეგმები ჩამოწერა

"რომას" პალერმოელი **ამაურის** შეძენა სურს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, 27 წლის თავდამსხმელი **ლუჩანო სპალეტის** უპირველესი სამიზნეა. გარიგება იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე იგეგმება. ფეხბურთელის აგენტი **მარიანო გრიმალდი** წინასწარმეტყველებს, რომ ამაურისა და **ფრანჩესკო ტოტის** დუეტი სერია A-ში ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე იქნება. ისინი ერთმანეთს შესანიშნავად იცნობენ. ფეხბურთელები მძიმე ტრავმებს ერთსა და იმავე კლინიკაში იშუშებდნენ. მოსალოდნელი გარიგების შესახებ კომენტარი გააკეთა "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ**. მან ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა მოითხოვა: *"ვადასტურებ, "რომამ" ოფიციალური წინადადებით მოგვმართა, მე კი ამაურის გაშვება არ მსურს. ის საკმაოდ ძვირი ღირს. მოლაპარაკებები მხოლოდ 15 მილიონიდან შეგვიძლია დავიწყოთ."* რომაელებმა კიდევ ერთი ფორვარდი ამოიღეს მიზანში. მათ **როლანდო ბიანკის** იტალიაში დაბრუნება უნდათ. სპალეტის "მანჩესტერ სიტისთან" საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ბიანკით "ტორინოც" დაინტერესდა და 7 მილიონი გირვანქა გაამზადა. ეს ის თანხაა, რომელიც ზაფხულის ტრანსფერებისას "სიტიმ" "რეჯინას" გადაუხადა. ინგლისურ კლუბს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

რომაელთა ამბიციები ამით არ ამოიწურება. სპალეტის ბაიერნელი **ლუსიოც** სურს. "ჯალოროსი" **მატეო ფერარისთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ. ფერარის აბარგების შემთხვევაში, ლუსიო იდეალური ალტერნატივა იქნებოდა. იტალიელები ამ ფეხბურთელს ლევერკუზენში მოღვაწეობის დროიდან აკვირდებიან. მისი მიუნხენური კონტრაქტი 2009 წელს იწურება. "ჯალოროსის" იმედი აქვს, რომ ბრაზილიელს 4 მილიონ გირვანქად გადაიბირებს.

ვალენსია

# ვის დარჩება დავიდ ვილია?

## რეალს ჩელსის სახით საშიში კონკურენტი გამოუჩნდა

**დავიდ ვილიასთან** დაკავშირებული მითქმა-მოთქმა არ წყდება. ცნობილია, რომ მისი გადაბირების სურვილი მადრიდის "რეალს" სურს. დაინტერესების შესახებ **რამონ კალდერონმა** დაუფარავად განაცხადა. ის ვალენსიელი კოლეგების გაღიზიანებასაც არ მოერიდა და პირდაპირ თქვა, დავიდი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეაო. "ღამურების" უმაღლესმა ხელისუფალმა, **ხუან ბაუტისტა სოლერმა** სამეფო კლუბის პრეზიდენტს ურჩია, მეტი ტაქტი გამოეჩინა და ამ თემაზე პატივისცემით ესაუბრა. გარდა ამისა, სენიორ სოლერმა მადრიდელი კოლეგის მაღალი სატრანსფერო თანხის დასახელებით შეშინება სცადა, თუმცა სანადელს აშკარად ვერ მიაღწია. კალდერონმა თემა კიდევ ერთხელ ამოატივტივა: *"გუშინ დავიდ ვილიამ "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ "რეალის" დაინტერესება მას სიამაყეს გვრის და ცხოვრების ხალისს მატებს. განა ეს ცოტაა? მთავარი სწორედ ფეხბურთელის პოზიციაა. მიატოვიჩი საქმეს მთელი სერიოზულობით შეუდგა. თუ დავიდი ჩვენთან გადმოსვლას ისურვებს, "ვალენსიას" სერიოზულ თანხას გადავუხდით. რა თქმა უნდა, იმდენს არა, რამდენსაც ისინი ითხოვენ. ყველასთვის გასაგებია, რომ ასტრონომიულ ციფრებს ვილიას შესანარჩუნებლად ასახელებენ."*

ამასობაში, "რეალს" ძალიან საშიში კონკურენტი გამოუჩნდა. დიახ, საშიში, რადგან ეს გუნდი **რომან აბრამოვიჩის** "ჩელსი" გახლავთ. სანდო წყაროებიდან გამოჟონილი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ლონდონელთა მილიარდერი მეპატრონე 60 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. ამხელა თანხის დასახელებამ მიმომხილველებში არაერთმნიშვნელოვანი შეფასება პოვა. სპეციალისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აბრამოვიჩს სწორედ ასეთი ყაიდის ფორვარდი სჭირდება და 60 მილიონი ევროც არ გაალარიბებს. მეორენი კი ფიქრობენ, რომ ვილია ამდენი უბრალოდ არ ღირს. "დიარიო ასის" კორესპონდენტი შეეცადა, "ჩელსის" დაინტერესების შესახებ **პრედრაგ მიატოვიჩის** მოსაზრებები გაეგო. დიდი თხოვნის მიუხედავად, გენერალურმა დირექტორმა ინტერვიუზე უარი განაცხადა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ "არისტოკრატთა" ვილიათი დაინტერესების შესახებ არაფერი სმენია.



დავიდ ვილია

### ბოლტონი არჩი ნოქსს ჩააბარეს

"ბოლტონს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ოთხშაბათ საღამოს **სემი ლიმ** კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და უვადო შვებულება აიღო. მის ადგილზე შოტლანდიელი სპეციალისტი **არჩი ნოქსი** მიიწვიეს. ნოქსის დებიუტი შაბათს "არსენალთან" გასვლით შეხვედრაში შედგება. 60 წლის მისტერ არჩი გამოცდილი სპეციალისტია. ის ბოლო ერთი წლის განმავლობაში შოტლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა. იქამდე "რეინჯერსსა" და "ევერტონში" **უოლტერ სმიტის** ასისტენტი იყო. უფრო ადრე "აბერდინსა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" **სერ ალექს ფერგიუსონის** თანაშემწედ მოღვაწეობდა. მისი კონტრაქტის ხანგრძლივობა და ფინანსური პირობები არ გახმაურებულა. ნოქსის მისვლისას "ბოლტონი" ბოლოდან მეორე საფეხურზე განისვენებს. მას ცხრა თამაშის შემდეგ მხოლოდ ხუთი ქულა აქვს მოპოვებული.

### G14 ფართოვდება

ბარსელონაში ევროპის ელიტურ კლუბთა გაერთიანება G 14-ის მორიგი შეკრება გაიმართა. სამიტზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. გადაწყდა, რომ G 14, რომელიც უკვე 18 კლუბს აერთიანებს, ახლო მომავალში მიწვევას გაუგზავნის "სევილიას", "რომას", "მონაკოსა" და "ვერდერს". იმავე შეკრებაზე ელიტარებმა შემდგომი გაფართოების პერსპექტივაზეც იმსჯელეს და პროექტის სახით შეიმუშავეს, რომ რამდენიმე წელიწადში გაერთიანების წარმომადგენლობა 40 კლუბამდე გაიზარდოს.

### ბენფიკა საიანვროდ ემზადება

"ბენფიკამ" სატრანსფერო გეგმა ჩამოწერა. იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე ლისაბონური კლუბი რამდენიმე მიმართულებით გააჩაღებს მოლაპარაკებას. **ხოსე ანტონიო კამაჩო** უპირველესად თავდასხმის გაძლიერებას შეეცდება. მან რეალელ **რობერტო სოლდადოსა** და სევილიელ **ერნესტო ჩევანტონს** დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელებს მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშიათ. უფრო სავარაუდოა ჩევანტონის პორტუგალიაში გადაბარგება. ხავიერის აგენტი ის **პაკო კასალია,** რომელიც ზაფხულის ლისაბონელებს **მაქსიმილიანო პერეირასა და კრისტიან როდრიგესის** ტრანსფერებში დაეხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიდიე დეშამთან

# მე რომ დომენეკი ვიყო, ტრეზეგე ითამაშებდა!

## დეშამს ევროპაზე იტალია და საფრანგეთი სურს, მაგრამ შოტლანდიაც ესიმპათიურება...

**იტალიურმა "გაძეტა დელო სპორტმა" "იუვენტუსის" ყოფილი თავკაცის, ამჟამად ტელეკომპანია "კანალ პლუსის" კომენტატორის, დიდიე დეშამის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ფრანგი სპეციალისტი საფრანგეთის ნაკრების ახალ თაობაზე, "იუვენტუსში" შექმნილ ატმოსფეროსა და მიმდინარე სეზონში ამ გუნდის შანსებზე საუბრობს.**

**- მოსიე დეშამ, ითამაშებენ საფრანგეთი და იტალია ევროპის ჩემპიონატზე?**

- ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს, რადგან ევროპის ჩემპიონატი ამ ორი გუნდის გარეშე რთული წარმოსადგენია. მართალია, შოტლანდიელებს საქართველოში ფეხი დაუცდათ, მაგრამ ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე თამაშს მაინც იმსახურებენ. თუნდაც იმის გამო, რომ საფრანგეთს ორივე თამაში მოუგეს. ჩვენ მხოლოდ უკრაინის დამარცხებაღა გვინდა და საგზურს გავინაღდებთ, აი, იტალიას კი უფრო რთულად აქვს საქმე. გლაზგოში ფრის გახერხება არც ისე ადვილია, ისეთი დიდი გუნდისთვისაც კი, როგორიც იტალიის ნაკრებია.

**- რაიმონ დომენეკი და რობერტო დონადონი, "იუვენტუსის" თავდამსხმელებს, დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს არ იძახებენ. თქვენ ორივე მათგანის თანაგუნდელიც იყავით და მწვრთნელიც და საინტერესოა, რას ფიქრობთ მათზე?**

- ყველა მწვრთნელი თავისებურია და თუ ვის უხმობენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ დონადონისა და დომენეკის გადასაწყვეტია. ალექსს დიდი ხანია, იტალიის ნაკრებში პრობლემები აქვს. დავიდს კი, დომენეკი არა და არ ენდობა, რის გამოც ტრეზეგე ძალიან ნერვიულობს. სწორედ ამიტომ, საფრანგეთის ნაკრებში ჩატარებული თითოეული მატჩი მისთვის გამოცდასავითაა. "იუვენტუსში" მას ეს პრობლემა არ აქვს, რადგან ყოველთვის ენდობიან. საფრანგეთის ნაკრებს 4-5 შესანიშნავი ფორვარდი ჰყავს, რომლებიც დღესდღეობით ჩინებულ ფორმაში არიან. მაგალითად, ბენზემა, რომელიც ბოლო წლების ერთ-ერთი უდიდესი ტალანტია და რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად მიმაჩნია. შესანიშნავია ბენ არფაც. მათთან ერთად, უდიდესი ტალანტია ნასრიც. მაგრამ მე რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაცი ვიყო, ტრეზეგე უკონკურენციო იქნებოდა, რადგან დღესდღეობით ყველა ფრანგ თავდამსხმელზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

**- იტალიურ კლუბებს ევროპაში სერიოზული პრობლემები აქვთ. რატომ?**

- ალბათ იმიტომ, რომ იტალიაში ტაქტიკურად ყველაზე ჩახლართულ ფეხბურთს თამაშობენ. რომ იცოდეთ, რას აღარ იგონებენ მწვრთნელები იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ. იტალიური ფეხბურთი მხოლოდ შედეგზეა დამოკიდებული და არა სანახაობრივ მხარეზე. იტალიელები პირველ რიგში იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ შეუქმნან მეტოქეს რაც შეიძლება მეტი პრობლემა და არა იმაზე, როგორ ითამაშონ თავისი ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგაში ასეთი ტაქტიკით თამაში არ შეიძლება. თუმცა ეს "მილანს" და "ინტერს" ნაკლებად ეხებათ.

**- ალბათ დაგვეთანხმებით, რომ "რომა" საკმაოდ სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. როგორ ფიქრობთ, ლუჩანო სპალეტის გუნდი შორს წავა?**

- ჩემი აზრით, "რომას" ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაც კი შეუძლია. ეს გუნდი შარშანაც შესანიშნავად ასპარეზობდა და ახლა კიდევ უფრო დახვეწილი კოლექტივის შთაბეჭდილებას ტოვებს. სპალეტის გუნდის თამაშის ყურება ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა - რომაელები სწრაფ ტემპში თამაშობენ და თანაც, უმეტესად დაბალი და მოკლე პასებით, რაც ძალიან ლამაზია.

**- "ინტერი" "რომასა" და "იუვენტუსს" 3 ქულით უსწრებს. თქვენი აზრით, "ნერაძურის" ამ სეზონშიც ისეთივე უპირატესობა ექნება, როგორც შარშან?**

- არა მგონია, რომ ასე მოხდეს. თუმცა "ინტერი" ახლა სწორედ იქაა, სადაც ამ გუნდის ადგილია. ხოლო ის, თუ ვინ რომელ ადგილზე იქნება სეზონის ბოლოს, "ინტერის" მეტოქეებზეა დამოკიდებული და კიდევ იმაზე, თუ როგორ გადაანაწილებს რობერტო მანჩინის გუნდი ძალებს ჩემპიონთა ლიგასა და სერია A-ში. ამიტომაც ვამბობ, რომ "ინტერს" დიდი უპირატესობა ჯერ არ მოუპოვებია. აქვე, არ შეიძლება, არ ვისაუბრო ზლატან იბრაჰიმოვიჩზე, რომელიც უკვე აღარ არის "ცუდი ბიჭი", რის გამოც გაცილებით ეფექტური და შედეგიანი გახდა. ერთი სიტყვით, დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია. მოდით, დაველოდოთ პირველი წრის დასრულებას და მერე უფრო იოლი იქნება იმის თქმა, თუ ვინ სად არის და ვის რა შეუძლია. ჯერჯერობით "ინტერის" უკან ჩამოტოვების შანსი არცერთ გრანდს არ დაუკარგავს, მათ შორის, არც "მილანს".

**- "მილანი" ახსენეთ და საინტერესოა, რას ფიქრობთ დიდას დისკვალიფიკაციაზე?**

- იმ მომენტში უპირველესი დამნაშავე გულშემატკივარი იყო, რომელიც ცხოვრების ბოლომდე დასჯილი იქნება. რაც შეეხება დიდას, ის, რაც ამ მეკარემ გააკეთა, ცხადია, არ არის მოსაწონი. მისი ქცევა უბრალოდ სასაცილო იყო და დღემდე ვერ გამიგია, რა გადაუტრიალდა თავში.

**- არ გიკვირთ, რომ "იუვენტუსი" მეორე ადგილზეა?**

- არა! "იუვემ" ყველა დაგეგმილი ქულა აიღო. "იუვენტუსი" მაინც "იუვენტუსია" - სადაც არ უნდა თამაშობდეს და ვინც არ უნდა ჰყავდეს, "ბებერი ქალბატონი" ყოველთვის კონკურენტუნარიანი იქნება.

**- და "სკუდეტოსთვის" იბრძოლებს?**

- აი, ეს კი არ ვიცი. და სხვათა შორის, ეს კითხვა ჩემთვის არ უნდა დაგესვათ. ამ კითხვაზე ყველაზე კომპეტენტურ პასუხს კლაუდიო რანიერისგან და "იუვეს" ბოსებისგან მიიღებთ. რაც მთავარია, ფეხბურთელებს სჯერათ, რომ იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურია. რაც არ უნდა იყოს, "იუვენტუსი" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა და პირადად ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ეს გუნდი სკუდეტოსთვის არ იბრძოდეს.

**- ელოდით, რომ თქვენი წასვლის შემდეგ, ჯანლუიჯი ბუფონი და სხვა ლიდერები გუნდში დარჩებოდნენ?**

- მე ყოველთვის ვამბობდი, რომ რაკი ეს ფეხბურთელები გუნდს სერია B-ში ჩაჰყვნენ, სერია A-ში ხომ მით უმეტეს არ მიატოვებენ-მეთქი. თანაც, გასულმა სეზონმა თითოეული იუვენტუსელის მორალური მდგომარეობა ათმაგად გააუმჯობესა. "იუვენტუსის" ფეხბურთელები ისე არიან მოტივირებულები, როგორც არასდროს - უნდათ, დაამტკიცონ, რომ გუნდს უსამართლოდ მოექცნენ და რომ "იუვეს" სკუდეტოსთვის ბრძოლა შეუძლია. მიხარია, რომ მეც ამ ყველაფრის ნაწილი ვიყავი და ჩემი წვლილი შევიტანე იმ დიად საქმეში, რასაც "იუვენტუსის" თავის ადგილზე დაბრუნება ჰქვია.



დიდიე დეშამი

**- ტურინულმა კლუბმა ზაფხულში 9 ახალი ფეხბურთელი გადაიბირა. ამ ტრანსფერებს როგორ შეაფასებდით?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი მაქვს სათქმელი. გუნდმა იყიდა ის ფეხბურთელები, ვინც სურდა და ვისაც შესწვდა. ხოლო რამდენად სარფიანი იყო ეს გარიგებები, ამაზე მსჯელობა მხოლოდ სეზონის ბოლოს შეგვეძლება.

**- და რანიერის მუშაობაზე რას იტყვით?**

- მწვრთნელის განსჯა მხოლოდ შედეგს შეუძლია. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში "იუვეს" თამაში თავიდან ბოლომდე ვერცერთხელ ვერ ვნახე და ამრიგად, ვერ ვიტყვი, კარგად გამოიყურებიან თუ ცუდად. ხოლო, თუ მხოლოდ სატურნირო ცხრილის მიხედვით ვიმსჯელებ, მაშინ უნდა ვთქვა, რომ "იუვეს" ყველაფერი მწყობრში აქვს.

**- ჯორჯო კიელინი დაცვის ცენტრში პირველად თქვენ გაამწესეთ...**

- შეგახსენებთ, რომ დაცვის ცენტრში ის ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდა, როცა "ლივორნოში" ირიცხებოდა. მე ამ პოზიციაზე მხოლოდ იმის გამო კი არ დავაყენე, რომ ფიზიკურად ძალიან ძლიერია და საფეხბურთო აზროვნება იმდენად აქვს განვითარებული, რომ ცენტრში ძალიან საიმედოა, არამედ, იმის გამოც, რომ საერთოდ, ცაციები დაცვის ცენტრში, კონტრიერიშების დროს, ძალიან სასარგებლონი არიან. ამას გარდა, ჩემი აზრით, ის ცენტრში უფრო საიმედოა, ვიდრე ფლანგზე, რადგან იმისათვის, რომ მთელი ფლანგი უმაღლეს დონეზე გააკონტროლოს, სისწრაფე არ ჰყოფნის.

**- რანიერი დელ პიეროს სულ უფრო და უფრო იშვიათად ენდობა. ალექსი ნელ-ნელა კარგავს ადგილს ძირითად შემადგენლობაში - ზუსტად ისე, როგორც ეს ფაბიო კაპელოს დროს დაემართა. თქვენ კი, მას მუდმივად ათამაშებდით და დელ პიეროსაც ბევრი გოლი გაჰქონდა...**

- არ ვიცი, ამაში ჩემს დამსახურებას ვერ ვხედავ. მე მჭირდებოდა დელ პიერო და ის ჩემს ნდობას 100 პროცენტით ამართლებდა. დარწმუნებული ვარ, რომ მას ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ალექსი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია, 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოექცეს ყურადღების ცენტრში, მაგრამ იმ ერთი ეპიზოდით მთელი მატჩის ბედი გადაწყვიტოს.

**- მის პოზიციაზე ახლა ვინჩენცო იაკუინტა თამაშობს...**

- იაკუინტა და დელ პიერო ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული თავდამსხმელები არიან და ამიტომაც, რანიერი ყოველი მატჩის წინ კარგად უნდა დაფიქრდეს, რომელ მათგანს ენდობა. ამ შემთხვევაში, გააჩნია, როგორი შევსება სჭირდება ტრეზეგეს. დელ პიეროს და ტრეზეგეს ერთად, ტექნიკური თვალსაზრისით, სასწაულები გამოსდიოდათ. ხოლო, როცა დავიდის მეწყვილე იაკუინტაა, მაშინ ტრეზეგოლს უფრო დიდი სივრცე რჩება, რადგან იაკუინტა მცველებს ძალიან ტვირთავს თავისი სისწრაფითა და ბრძოლისუნარიანობით.

**- ტურინიდან წასვლას არ ნანობთ?**

- არა, რადგან ეს გადაწყვეტილება თვითონ მივიღე და უნდა ვაღიარო, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა. სანანებელი არაფერი მაქვს, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს არ იყო ის, რაც მე მინდოდა.

**- ფინანსური თვალსაზრისით?**

- არა! ფული რომ მთავარი ყოფილიყო, მაშინ "იუვენტუსში" საერთოდ არ წავიდოდი, ან თუ წავიდოდი, მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს არ დავჯერდებოდი. ცხადია, ფინანსური მხარე ნებისმიერი კონტრაქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია, მაგრამ არა ისეთი კაცისთვის, რომელიც თანხმდება "იუვენტუსის" გაწვრთნას, გუნდისა, რომელიც სერია B-ში დააქვეითეს. მიზეზი სულ სხვა რამ იყო და კერძოდ ის, რომ "იუვეში" არ მომცეს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენის შანსი და ბოლო წუთამდე ბევრი რამ არ იყო გარკვეული.

**- ოდესმე იტალიაში დაბრუნდებით?**

- ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია. იტალიური ძალიან კარგად ვიცი, ისევე, როგორც იქაური ფეხბურთი, მაგრამ ეს ქვეყანა აღარ მიზიდავს.

**- ეროვნული ნაკრების თავკაცი გახდებით?**

- ჯერჯერობით ასეთი მიზანი არ მაქვს, მაგრამ ცხადია, რომ საკუთარი ქვეყნის უპირველესი გუნდის გაწვრთნაზე მეც ვოცნებობ.

გოტფრიდ ლენცი

## რონალდო: ემპოლი არა, სამპდორია

**რონალდოს** დაბრუნებას "მილანში" მოუთმენლად ელიან. ამ სეზონში მას ჯერ არ უთამაშია. "ფენომენი" იდამულებით მოცულ ვითარებაში დაშავდა. მისი დაბრუნდება რამდენჯერმე გადაიდო. ერთი კვირის წინათ თქვეს, რომ რონალდოს ამ უიქენდზე "ემპოლისთან" უნდა ეთამაშა, თუმცა "მილანის" ექიმი **ჟან-პიერ მეერსმანი** ურჩევს **კარლო ანჩელოტის**, რომ არ გარისკოს. მართალია, რონალდო გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ეტყობა, ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. საბოლოო ვერსიით, "რონის" 31 ოქტომბერს, "სამპდორიასთან" გასვლით მატჩში ვიხილავთ მოედანზე.

დანაშაული და სასჯელი

## მარსელის ყოფილი ბოსები ციხეში

**სააპელაციო** სასამართლომ "მარსელის" ყოფილ მწვრთნელ **როლან კურბისს** ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ის დამნაშავედ ცნეს 1997-99 წლებში განხორციელებული ტრანსფერებისას უკანონო შემოსავლების მიღებაში. ამჟამად მოსიე კურბისი მეორე დივიზიონის "მონპელიეს" ავარჯიშებს. პატიმრობის გარდა, მას 200 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს. ამდენივეს გადაიხდის "მარსელის" უმთავრესი აქციონერი **რობერ ლუი დრეიფუსი** და 10-თვიან პირობით პატიმრობასაც მოიხდის. პირველი ინსტანციის სასამართლომ კურბისს სამწლინახევრიანი პატიმრობა მიუსაჯა, დრეიფუსს კი სამწლიანი პირობითი სასჯელი. საქმეში ფიგურირებდა 15 ტრანსფერი, მათ შორის ისეთი ცნობილი ფეხბურთელების, როგორებიც **კრისტოფ დიუგარი** და **ფაბრიციო რავანელი** არიან. კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ საფეხბურთო აგენტებიც. ამათგან ყველაზე ცნობილი **ლისიო დონოფრიოა**, რომელიც დღესდღეობით ლიეჟის "სტანდარდის" სპორტულ დირექტორად მოღვაწეობს. მას ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. დონოფრიო 18 თვეს პირობითად მოიხდის.



როლან კურბისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

# უნდა წახვიდე, სტივ!

## სამი და კიდევ სამი: ჩეხეთი, საბერძნეთი, რუმინეთი...

ორი სათამაშო დღეც და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეთა კვოტა სრულად შეივსება. შვეიცარიას, ავსტრიასა და გერმანიას გუშინწინ ჩეხეთი, საბერძნეთი და რუმინეთი შეუერთდნენ. საგულისხმოა, რომ გრანდებიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ გერმანიამ მოიპოვა საგზური ვადაზე ადრე, ხოლო საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთსა და მეტადრე ინგლისს ჯერ კიდევ მოუწევთ ნერვიულობა. ბრიტანეთის უპირველესი კრებულის ბედი სულაც ბეწვზე ჰკიდია. ინგლისში ძალიან ცოტას თუ სჯერა, რომ რუსეთის ნაკრები დარჩენილი ორი მატჩის მოგებას, ხორვატია კი როგორმე ერთი ქულის აღებას ვერ მოახერხებს. ასეთ შემთხვევაში, ინგლის-ხორვატიის ბოლო თამაშს სატურნირო დატვირთვა მოეხსნება. რა ხდება? ხდება ის, რომ გადატვირთული საშინაო თუ საერთაშორისო საკლუბო კალენდარი ფეხბურთელებს ნაკრებისთვის ძალებს აღარ უტოვებს. თუმცა დღეს ამ თემას არ ჩავუღრმავდებით და პირდაპირ ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვაზე გადავალთ...

### A ჯგუფი

**ყაზახეთი-პორტუგალია 1:2**

**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, კარპოვიჩი (88. ნურდაულეტოვი), ლარინი (37. ლიაპკინი), სკორიხი, ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო.

**პორტუგალია:** რიკარდო, ბრუნო ალვეში, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, ლუის მიგელი, დეკუ, მანიშე (59. ნანი), მიგელ ველოზო, უგო ალმეიდა (63. მაკუკულა), კუარეშმა (85. ჟოაო მუტინიო), კრისტიანო რონალდო.

**გოლები:** 0:1 მაკუკულა (84), 0:2 კრისტიანო რონალდო (91), 1:2 ბიაკოვი (95)

**მაყურებელი:** 18 500

პორტუგალიის ნაკრებმა კინაღამ ყულფში გაჰყო თავი. ბედი, რომ **ნუნუ გომეშმა** ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად **მაკუკულა** გამოიძახეს, თორემ ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა თამაში, რომელსაც პირენეული ნაკრებისთვის ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. 84-ე წუთზე, სწორედ დებიუტანტ მაკუკულას თავურით გაიხსნა ანგარიში. მერე ყაზახები გატყდნენ, დაცვა მოაშიშვლეს და **კრისტიანო რონალდომ** თავისიანებს 3 ქულის გარანტია მისცა. თუმცა მასპინძელთა ნაკრები მოედნიდან უგოლოდ მაინც არ გავიდა. ამჯერად, პორტუგალიის დაცვა შეცდა და **ბიაკოვმა** ახლო მანძილიდან ანგარიში თავურით დაასველა.

ახლა, სრული ბედნიერებისთვის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდს დარჩენილ ორ მატჩში 4 ქულა სჭირდება. მას კალენდარიც უწყობს ხელს, რაკი ორივე თამაშს საკუთარ მოედანზე ატარებს - ჯერ სომხეთთან, მერე ფინეთთან. რაც შეეხება ყაზახეთის ეროვნულ გუნდს, ის მხოლოდ მეორე შესარჩევ ციკლს ამთავრებს და ამ მოკლე ხანში თვალსა და ხელშუა პროგრესირებს.

**აზერბაიჯანი-სერბეთი 1:6**

**აზერბაიჯანი:** ველიევი (46. ჰასანზადე), ს. აბასოვი, გულიევი, გაშიმოვი (50. ბაშიევი), რ. აბასოვი, ჩერტოგანოვი, გულიევი, ა. ყურბანოვი, იმამალიევი (67. ისმაილოვი), ს. ალიევი, შუბაშიჩი.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ბიშევაცი, ივანოვიჩი, რუკავინა, ზ. ტოშიჩი, დ. ტოშიჩი, დულიაი, იანკოვიჩი (68. ლაზოვიჩი), ნ. კოვაჩევიჩი (65. იოვანოვიჩი), კუჟმანოვიჩი, ჟიგიჩი (73. პანტელიჩი).

**გოლები:** 0:1 ტოშიჩი (4), 0:2 ჟიგიჩი (22), 1:2 ალიევი (26), 1:3 იანკოვიჩი (41), 1:4 ჟიგიჩი (42), 1:5 იოვანოვიჩი (75), 1:6 ლაზოვიჩი (84)

**მაყურებელი:** 9 000

სერბეთის ნაკრებს ამ აფეთქებამ, შეიძლება, ველარ უშველოს. კარგის სტარტის შემდეგ, **ხავიერ კლემენტეს** გუნდმა ბევრი უპატიებელი ქულა დაკარგა. ახლა ფორსმაჟორული სიტუაციაა. პორტუგალიის არ იყოს, სერბებსაც ორი საშინაო მატჩი დარჩათ გასამართი. მათ ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოუგონ ყაზახეთს და მერე პოლონეთს, ოღონდ, ამ უკანასკნელმა ბელგიასთან (საკუთარ მოედანზე) ქულები უნდა დაკარგოს. აი, ასეთია კლემენტესა და მისი რაზმის ამოცანა, მაგრამ როგორც ხედავთ, ბევრი რამ მათზეც არაა დამოკიდებული.

**ბელგია-სომხეთი 3:0**

**ბელგია:** სტიინენი, ლომბერსტი (83. ვერტონგენი), სიმონსი, ვან ბუიტენი (60. კომპანი), დეფური, ფელაინი, გერერტსი, გოორი, სვერტსი, დემბელე, მირალა (46. სონკი).

**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, დოხოიანი, ოვსეპიანი, ტადევოსიანი (82. მკრტიჩიანი), არაქელიანი, ქარამიანი, ხაჩატრიანი (57. აკობიანი), მელქონიანი (70. ზებელიანი), პაჩაიანი, ვოსკანიანი.

**გოლები:** 1:0 სონკი (63), 2:0 დემბელე (69), 3:0 გერერტსი (76)

**მაყურებელი:** 18 000

თითქმის ერთი საათის განმავლობაში სომხეთის ნაკრები მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა. მეტიც, მეორე ტაიმის დასაწყისში **ქარამიანსა** და **მელქონიანს** (ორჯერ) ბრწყინვალე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ რაკი ვერ გაიტანეს, დაუწერელი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა და 13-წუთიან მონაკვეთში 3 უპასუხო გოლი მიიღეს.




რუსეთი-ინგლისი. რუნის ეფექტური გოლი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-10 | 24 |
| 2. პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23-10 | 23 |
| 3. სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-9 | 20 |
| 4. ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11-6 | 20 |
| 5. ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13-14 | 15 |
| 6. სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4-11 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-20 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-25 | 5 |

17 ნოემბერი, შაბათი
**სერბეთი-ყაზახეთი**
**ფინეთი-აზერბაიჯანი**
**პორტუგალია-სომხეთი**
**პოლონეთი-ბელგია**

### C ჯგუფი

**თურქეთი-საბერძნეთი 0:1**

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, ჰამით ალტინთოფი, სერვეთი, გიოქან ზანი, მეჰმეთ აურელიო, ემრე (71. არდა), გიოქდენიზი (65. ჰაქან შუქური), იბრაჰიმ უზულმეზი, უმით ქარანი (46. თუმერი), თუნჯაი, გიოქან უნალი.

**საბერძნეთი:** ხალკიასი, ანცასი, დელასი, კირგიაკოსი, სეიტარიდისი, ბასინასი, კარაგუნისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი, ხარისტეასი (59. სამარასი), გეკასი (56. ლიბეროპულოსი).

**გოლი:** 0:1 ამანატიდისი (79)

**მაყურებელი:** 24 000

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასაგები მიზეზების გამო, ამ მატჩში გამარჯვებას ორივე გუნდისთვის არანაკლები პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ბერძნებისთვის კი დამატებითი მოტივაცია იყო რევანში, რომელიც ათენში წაგებული 1:4-ის გამო დადგა დღის წესრიგში. მაშინ ბევრს ეგონა, რომ საბერძნეთის ნაკრების მატარებელი უკვე ჩავლილი იყო და ევროპას ტახტზე ახალი ჩემპიონის აყვანა მოუწევდა, თუმცა **ოტო რეჰაგელი** ასე არ ფიქრობდა. შესაძლოა, რევანში ვერ იყო სრულყოფილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეფე-ოტოს სამწყსომ ვადაზე ადრე მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელინებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მატჩი მეტად დაძაბული კი იყო, მაგრამ შინაარსობრივად ღარიბი გამოდგა. საგოლე მომენტები თითქმის არ შექმნილა, ხოლო სტანდარტულები იყო თუ რიგითი იერიშები, უმრავლეს შემთხვევაში ბურთი დიდი მანძილით სცდებოდა მიზანს. ორივე გუნდის უკანა ხაზი მაქსიმალური მობილიზებით თამაშობდა, მაგრამ ერთ მომენტში თურქების დაცვას მაინც ჩაეძინა და მეკარესთან პირისპირ გასულ **ამანატადისს** მიზანმა არ უმტყუნა. ეპიზოდი საკამათოც გახლდათ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გოლის ავტორთან ერთად, თამაშგარეში იყო **ლიბეროპულოსიც**, თუმცა კარის აღება ჩაითვალა და ახლა ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. თურქებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ **არდამ** ბურთი ძელს მოარტყა...

ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონს ტიტულის დაცვის შანსი ეძლევა. თურქეთს კი მეტად სათუოდ აქვს საქმე. ერთი თვის შემდეგ მათ გადამწყვეტი გასვლითი მატჩი აქვთ უშუალო კონკურენტ ნორვეგიასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამხრეთულ ნაკრებს ამ თამაშის მოგებაც მართებს და მერე საკუთარ მოედანზე ბოსნიის ძლევაც. როგორც ხედავთ, **ფათიჰ თერიმი** უმძიმეს სიტუაციაშია. ეს ყველაფერი მის მომავალზეც იმოქმედებს. ცხადია, რომ ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრის შემთხვევაში, "იმპერატორს" (როგორც იტალიაში მუშაობისას შეარქვეს) ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს.

**ბოსნია-ნორვეგია 0:2**

**ბოსნია:** გუშო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, მერჟიჩი, ნადარევიჩი, კრუნიჩი, მალეტიჩი (78. მუარემოვიჩი), მიშიმოვიჩი, ბლატნიაკი (46. იბიშევიჩი), მუსლიმოვიჩი (46. ძეკო), სალიჰოვიჩი.

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, ი. რიისე, გრინდჰეიმი (58. რუშფელდტი), პედერსენი, ბ. რიისე (90. ბიორკოი), სოლი, სტორბეკი, ჰელსტადი (76. ბრაატენი).

**გოლები:** 0:1 ჰაგენი (5), 0:2 ბ. რიისე (74)

**მაყურებელი:** 21 000

ბოლო ხუთ მატჩში ნორვეგიის ნაკრებმა მეოთხე გამარჯვება იზეიმა და ფინალურ ეტაპს მიუახლოვდა. "ზენიტის" მცველ **ჰაგენის** მიერ მე-5 წუთზე გატანილმა გოლმა თამაშის სცენარი ვერ შეცვალა. როგორც მასპინძლის სტატუსს შეეფერებოდა, ბოსნიელები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ საკმაოდ გვიან, მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში ჩართეს დამატებითი სიჩქარეები და მომენტებიც შექმნეს. თავის მხრივ, სკანდინავიური გუნდი კონტრშეტევებზე ეძებდა კიდევ ერთ შანსს და ერთ-ერთი იერიშისას მიზანსაც ეწია. **ბიორნ რიისემ პედერსენის** ჩინებული გადაცემა გამოიყენა. მასპინძელთა მასირებული დაწოლის ფონზე, ეს გოლი ალოგიკურიც ჩანდა, მაგრამ გოლი გოლია.

საფინალო სასტვენამდე 15 წუთზე მეტი რჩებოდა. თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ორბურთიანი უპირატესობის გაბათილებისთვის ეს დრო სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ მასპინძლებმა ფარ-ხმალი ნაადრევად დაყარეს. თუმც ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ ამ შესარჩევში ბოსნიამ წინაზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, რაც პროგრესისთვის სერიოზულ წინაპირობად შეიძლება იქცეს.

**მალტა-მოლდოვა 2:3**

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი (90. ნვოკო), ბრიფა, დიმეში, საიდი, სკიკლუნა (46. სკერი), მალია, პეისი, მ. მიფსუდი, შემბრი (46. კოენი), ვუდსი.

**მოლდოვა:** პაშჩენკო, გოლოვატენკო, ლაშჩენოვი, სტროენკო, ბორდიანი, კომლენოკი (69. ნამასკო), კორნეენცოვი, გატკანი (77. ზმეუ), იოსანი, ბუგაევი, ფრუნზა (83. დოროში).

**გოლები:** 0:1 ბუგაევი (24-პენ), 0:2 ფრუნზა (31), 0:3 ფრუნზა (35), 1:3 სკერი (71), 2:3 მ. მიფსუდი (84)

**გაძევება:** გოლოვატენკო (86. მოლდოვა)

**მაყურებელი:** 10 000

მოლდოვის ნაკრებმა ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგო. შედარებისთვის, თუკი **იგორ დობროვოლსკის** შეგირდებმა პირველ 8 მატჩში მხოლოდ 2 ქულა აიღეს, ბოლო 3 შეხვედრაში ერთბაშად 7 (!) ქულას მოუყარეს თავი. ისიც უნდა ითქვას, რომ პირწმინდად მოგებული (3:0) პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში სტუმრები მოდუნდნენ და მონაპოვარი კინაღამ ქარს გაატანეს. ბოლო წამზე **პეისს** ძელისთვის რომ არ მოერტყა ბურთი, 3:3 იქნებოდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 18-9 | 25 |
| 2. ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22-8 | 20 |
| 3. თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-10 | 18 |
| 4. ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-21 | 13 |
| 5. უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10-17 | 12 |
| 6. მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9-19 | 9 |
| 7. მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9-22 | 5 |

17 ნოემბერი, შაბათი
**მოლდოვა-უნგრეთი**
**ნორვეგია-თურქეთი**
**საბერძნეთი-მალტა**

### D ჯგუფი

**გერმანია-ჩეხეთი 0:3**

**გერმანია:** ჰილდებრანდი, ა. ფრიდრიხი, მ. იანსენი, მერტეზაკერი, მეტცელდერი (46. ფრიტცი), ფრინგსი, ოდონკორი, შვაინშტაიგერი (65. გომესი), ტროხოვსკი (46. როლფესი), კურანი, პოდოლსკი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, კოვაჩი, პოსპეში, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი, მატეიოვსკი, პლაშილი, პუდილი (73. კულიჩი), ზიონკო (58. ვლჩეკი), კოლერი (79. ფენინი).

**გოლები:** 0:1 ზიონკო (2), 0:2 მატეიოვსკი (23), 0:3 პლაშილი (63)

**მაყურებელი:** 66 000

შაბათს, ირლანდიაში მიღწეული ფრის შემდეგ, გერმანიის ნაკრები პირველი და ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საგზური გაიფორმა. შესაბამისად, ეს ოთხი დღე (ჩეხეთთან მატჩამდე) მთელმა საფეხბურთო გერმანიამ ბუნდესგუნდის ქებაში გაატარა. მაგრამ ოთხშაბათს მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და რამაც ალემანები მეცხრე ციდან რეალობაში დააბრუნა. მართალია, **იოახიმ ლიოვის** სამწყსოს უკვე განაღდებული ჰქონდა ის, რისთვისაც სხვა ნაკრებები ჯერ კიდევ იბრძოდნენ და იბრძვიან, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ასეთი დავრდომაც არ შეიძლება. ამიტომაც იყო, ჩეხეთთან, მიუნხენში განცდილი მოულოდნელი კრახის შემდეგ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ლიოვსა და მის გუნდს ქოქოლა რომ დააყარეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ მეორე მარცხი გახლდათ იოგის ერაში, მაგრამ ჩეხეთთან წა-



ევროპის ჩემპიონი ფინალურ ეტაპზე ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება, თანაც დიდი ანგარიშით, იმდენად მტკივნეული გამოდგა, რომ გერმანელებს უკვე აღარ ახსოვთ, ოთხშაბათამდე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი რომ ჰყავდათ. ჩეხებმა კი, ამ მოგებით ავსტრია-შვეიცარიის ბილეთი დაჯავშნეს.

*“ყველაფერი ის, რითაც ამ ხნის განმავლობაში ვამაყობდით, დღეს სადღაც გაქრა და ხელში შემრჩა უმოტივაციო, დაბნეული და დანაყრებული გუნდი,”* - აი, ასე შეაფასა ბუნდესმწვრთნელმა თავისი სამწყსო და მართალიც იყო, რადგან ის, რომ გერმანიას **მიხაელ ბალაკის, ბერნდ შნაიდერის, მიროსლავ კლოზესა** და **ფილიპ ლამის** სახით წამყვანი ფეხბურთელები აკლდა, ალემანებს ალიბად არ გამოადგებათ. თანაც, დააკვირდით, გერმანია ჯგუფის ლიდერი აღარაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მეორე ადგილზე გავა, სავარაუდოდ, ფინალური ეტაპის წილისყრაზე მეორე კალათაში მოხვდება.

ლიოვმა **ლუკას პოდოლსკი** ამჯერად ძირითად შემადგენლობაში ათამაშდა და სასტიკად შეცდა, რადგან ჩეხეთთან მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს ბიჭი მხოლოდ “ბაიერნის” კი არა, გერმანიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში თამაშსაც არ იმსახურებს. პოდოლსკის თამაში ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა 6-იანით, ყველაზე უარესი მაჩვენებლით შეაფასეს. 6-იანები დაიმსახურეს **ბასტიან შვაინშტაიგერმა** და **დავიდ ოდონკორმაც**. გერმანული პრესა განსაკუთრებით პოდოლსკის შემოსწყრა, რომლისთვისაც ეს ფაქტობრივად ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი იყო იმისა, რომ თავისი შესაძლებლობები დაემტკიცებინა. პოლდიმ მთელი მატჩის განმავლობაში, კარში მხოლოდ ერთხელ, ისიც 85-ე წუთზე დაარტყა და მაშინაც არაზუსტად. არადა, თამაშის წინ ამბობდა, საკმაოზე მეტად ძლიერი ვარ იმისთვის, რომ ჩეხეთთან გოლი გავიტანოო. მაგრამ ოთხშაბათს, მიუნხენში მას სიძლიერის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. სამაგიეროდ, ლუკასი კვლავ გამოირჩა არასპორტული საქციელით, როცა თავისი ამაზრზენი თამაშით გაბრაზებულმა **პლასილი** სასტიკად მოცელა. მსაჯს უნდა უმადლოდეს, მხოლოდ ყვითელი ბარათი რომ აკმარა და მოედნიდან რომ არ მიაბრძანა. **სიონკოს, მატეიოვსკისა** და **პლასილის** გოლებით განბილებული და იმედგაცრუებული გერმანელი ფანები “ალიანს არენას” განრისხებულები ტოვებდნენ, ჩეხები კი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ, რაც ასეც უნდა ყოფილიყო - **კარელ ბრიუკნერის** გუნდი ირლანდიაზე ერთი თავით მაღლა დგას.

**იოახიმ ლიოვი**: *“იმედგაცრუებული ვარ. ჩემმა გუნდმა აბსოლუტურად ყველა პოზიციასა და ყველა კომპონენტში ცუდად, ძალიან ცუდად ითამაშა. ეს საშინელი დღე ძალიან მალე უნდა დავივიწყოთ.”*

**კარელ ბრიუკნერი**: *“ეს შესანიშნავია! გერმანია სტუმრად გავანადგურეთ და ევროპის ჩემპიონატის საგზური მაჟორულ ნოტაზე, დიდი გამარჯვებით მოვიპოვეთ. ჩემთვის ეს სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად და დიდხანს ვემზადებოდით. გადამწყვეტი როლი სწრაფმა გოლმა ითამაშა, საერთო ჯამში, ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ.”*

### ირლანდია-კვიპროსი 1:1

**ირლანდია**: გივენი, ფინენი, მაკშეინი, ო'ში, ჰანტი (74. დუგლასი), კილბეინი, ო'ბრაიენი (46. მილერი), რიდი, დოილი, კინი, კეფი (63. მაკგიდი).

**კვიპროსი**: გეორგალიდესი, ელია, ნიკოლაუ, ოკარიდესი, პარასკევასი, ხარალამპიდისი, გარპოცისი, მაკრიდისი (86. ტეოფილუ), საციასი (69. მარანგოსი), ოკასი, იასუმისი (73. მიხაილი).

**გოლები**: 0:1 ოკარიდესი (80), 1:1 ფინენი (90)

**გაძევება**: ელია (90. კვიპროსი)

**მაყურებელი**: 20 000

ირლანდიამ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების ყველანაირი შანსი გასულ შაბათს დაკარგა, ასე რომ, **სტივ სტონტონის** გუნდი ფაქტობრივად უმოტივაციო გახლდათ. კვიპროსს კი, სხვათა შორის, თეორიული შანსი შერჩენილი ჰქონდა, მაგრამ ჩეხეთის მოგებამ კუნძულელებიც საბოლოოდ “დაამშვიდა”. მიუხედავად ამისა, კვიპროსმა დუბლინში კარგად ითამაშა და სენსაციის გამოცხობაც შეეძლო. მე-80 წუთზე სტუმრები **ოკარიდესის** გოლით დაწინაურდნენ და ირლანდიამ, უსარგებლო ქულისა და პრესტიჟის გადარჩენა მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე, **ფინენის** გოლით მოახერხა.

### სან მარინო-უელსი 1:2

**სან მარინო**: ა. სიმონჩინი, ალბანი, ბონიფაცი (62. ბონინი), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუჩი (76. ბული), ანდრეინი, მუჩიოლი, დე ლუიჯი (80. ვიტაიოლი), სელვა.

**უელსი**: პრაისი, ბეილი, ირდლი, გაბიდონი, ნიატანგა, დევისი, ლედლი, რობინსონი, ვონი (62. რიკეტსი), ბელამი, ირნშოუ.

**გოლები**: 0:1 ირნშოუ (13), 0:2 ლედლი (36), 1:2 სელვა (73)

**გაძევება**: ალბანი (85. სან მარინო)

**მაყურებელი**: 1 182

მას მერე, რაც **რაიან გიგზმა** სანაკრებო კარიერა დაასრულა, უელსს ღირებული არაფერი გაუკეთებია. დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ეს გუნდი გრანდების გამწარებას ახერხებდა. სან მარინოს ამ შეხვედრამდე 10 თამაშში 50 გოლი ჰქონდა გაშვებული, ანუ, საშუალოდ მატჩში 5 გოლს უშვებდა, მაგრამ უელსმა ევროპის უსუსტეს ნაკრებს მხოლოდ 2 გოლი გაუტანა და ერთიც გაატანინა. აღსანიშნავია, რომ ეს სან მარინოს, მხოლოდ და მხოლოდ, მეორე გოლი გახლდათ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-4 | 23 |
| 2. გერმანია | 10 | 7 | 2 | 1 | 31-7 | 23 |
| 3. ირლანდია | 11 | 4 | 4 | 3 | 15-12 | 16 |
| 4. კვიპროსი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-18 | 14 |
| 5. სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27-20 | 13 |
| 6. უელსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-17 | 13 |
| 7. სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2-52 | 0 |

17 ნოემბერი, შაბათი

**ჩეხეთი-სლოვაკეთი**

**გერმანია-კვიპროსი**

**უელსი-ირლანდია**

## E ჯგუფი

### რუსეთი-ინგლისი 2:1

**რუსეთი**: გაბულოვი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი (46. ტორბინსკი), იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, სემშოვი, ჟირკოვი, ზირიანოვი, არშავინი (90. კოლოდინი), კერჟაკოვი (58. პავლიუჩენკო).

**ინგლისი**: რობინსონი, კემპბელი, ფერდინანდი, ლესკოტი (79. ლემპარდი), რიჩარდსი, ბერი, ჯ. კოული (80. კრაუჩი), ჯერარდი, რაიტ-ფილიპსი (80. დაუნინგი), ოუენი, რუნი.

**გოლები**: 0:1 რუნი (29), 1:1 პავლიუჩენკო (69-პენ), 2:1 პავლიუჩენკო (73)

**მაყურებელი**: 84 700

რუსეთმა ინგლისს მეორე ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში მოუგო. შეცვლაზე შესულმა **რომან პავლიუჩენკომ** დუბლი გააკეთა. 69-ე წუთზე მან პენალტით გაათანაბრა. 73-ზე კი **პოლ რობინსონის** უხეიროდ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო. “ლუჟნიკიზე” შეკრებილი მაყურებელი სიხარულის მორევში გადაეშვა. 69-ე წუთამდე ინგლისელებს ანგარიში მშვიდად მიჰყავდათ. ისინი 29-ე წუთზე **უეინ რუნის** გოლით დაწინაურდნენ. თამაშის დასრულებამდე 21 წუთით “მანჩესტერ იუნაიტედის” თავდამსხმელმა საჯარიმოს კიდეზე **კონსტანტინ ზირიანოვი** წააქცია. ამ ეპიზოდს 11-მეტრიანი მოჰყვა. ნამატჩევს ინგლისელი მიმომხილველები დაწერენ, პენალტი რომ არ არა, რუსები ვერაფერს გახდებოდნენო.

გამარჯვების შემთხვევაში ინგლისი, ფაქტობრივად, გაინაღდებდა ევროპის ჩემპიონატის საგზურს. დღეს ინგლისელთა ბედი სხვების ხელშია. თუ ხორვატები მაკედონიიდან ქულას წაიღებენ, ხოლო რუსეთი ანდორასა და ისრაელთან ორ გასვლით შეხვედრაში ექვს ქულას დააგროვებს, ავსტრიასა და შვეიცარიაში ისინი გაემგზავრებიან.

თამაშის შემდეგ მაკლარენმა პენალტის ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება: *“მსაჯი შეცდა. ეს არ იყო პენალტი. ყველაფერი საჯარიმოს გარეთ მოხდა. არბიტრმა ვერ დაინახა, ასისტენტმა კი არაფერი უთხრა. არავის არაფერს ვაბრალებ. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მცდარი გადაწყვეტილების გამო დავისაჯეთ.”*

**გუუს ჰიდინკი** კმაყოფილებას ვერ მალავდა. ხუმრობა ხომ არ არის: მან საკლუბო და სანაკრებო დონეზე ინგლისელ მეტოქესთან ცხრამატჩიან მოუგებელ სერიას დაუსვა წერტილი: *“ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით და იმით, რასაც მივაღწიეთ. პირველ ნახევარში ინგლისს ერთი შანსი ჰქონდა და გაიტანა. შესვენებისას ბიჭებს ვუთხარი: შეუტიეთ, თუ გავათანაბრებთ, მეორესაც აუცილებლად გავიტანთ მეთქი. როგორც ნახეთ, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა.”*

58-ე წუთამდე, სანამ პავლიუჩენკო **ალექსანდრ კერჟაკოვს** შეცვლიდა, მასპინძლების შეტევებს სიმწვავე აკლდა. რუსებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. 29-ე წუთზე რუნიმ ტრიბუნები დაადუმა. **მიკა რიჩარდსმა** საგოლე იერიში საკუთარი საჯარიმოდან დაიწყო. მან ბურთი ცენტრში **მაიკლ ოუენს** გადააწოდა. ოუენმა ის თავით რუნის დაუგდო. მანჩესტერელმა თავდამსხმელმა **ვასილი ბერეზუცკის** გაასწრო, ბურთი მკერდით გაიჩერა და შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. ინგლისელებს არ ჰყავდათ **ჯონ ტერი**. ის სამშაბათის ვარჯიშზე დაშავდა. ტერი **სოლ კემპბელმა** შეცვალა. **ეშლი კოულის** ნაცვლად **ჯოლეონ ლესკოტმა** ითამაშა. ევერტონელი მცველი ინგლისელთა ძირითადში პირველად დააყენეს.

პავლიუჩენკოს გამოსვლამდე მასპინძლები მეტოქის საჯარიმოშიც კი ვერ აღწევდნენ. პენალტმა ინგლისელები საგრძნობლად აანერვიულა. იყო თუ არა 11-მეტრიანი? სად იმყოფებოდნენ რუნი და ზირიანოვი წესების დარღვევისას, საჯარიმოში თუ საჯარიმოს გარეთ? ზოგიერთი მიმომხილველი მაკლარენის ვერსიას ემხრობა. ისინიც მიიჩნევენ, რომ უეინმა მეტოქეს მაისურზე საჯარიმოს გარეთ მოქაჩა, მაგრამ ესპანელმა არბიტრმა მედინა კანტალეხომ ეპიზოდი სხვაგვარად შეაფასა. მან ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი. პავლიუჩენკომ აუღელვებლად გაათანაბრა. ოთხ წუთში რობინსონმა **ალექსეი ბერეზუცკის** დარტყმა მოიგერია. ბურთი მის წინ დაეცა. პავლიუჩენკო კემპბელსა და ლესკოტს შორის გაძვრა, დაამატა და შეაგდო...

რუსულ მედიას ჰიდინკი ქებით ცაში აჰყავს. “სოვეტსკი სპორტმა” ინგლისთან გამარჯვებას ჰოლანდიელი მწვრთნელის შედევრი უწოდა, “სპორტ ექსპრესმა” კი - სახელოვანი ჰოლანდიელი მხატვრის ტილო. “როსიისკაია გაზეტას” აზრით, რუსებს ძალიან გაუმართლათ, რომ მათი დამრიგებელი გუუსია. ეს გახლდათ რუსეთის პირველი საშინაო გამარჯვება ინგლისთან 49-წლიანი პაუზის შემდეგ. ამავე დროს, პირველი გამარჯვება ევროპული ფეხბურთის გრანდთან 1999 წლის ივნისის შემდეგ. რვა წლის წინათ რუსეთმა საფრანგეთს მისსავე არენაზე 3:2 მოუგო.

ჰიდინკისგან განსხვავებით, სტივ მაკლარენს კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. “სანმა” პირველ გვერდზე დაბეჭდა კოლაჟი. ინგლისელთა მწვრთნელის თავი სარაგბო ბურთზეა გამოსახული, წარწერა კი გვეუბნება, დასცხეთ და გადააგდეთ მინდვრის კიდეზეო. ეს სათაური სარაგბო ეიფორიასაც გამოხატავს. ხვალ ინგლისელი მორაგბეები მსოფლიოს თავის ფინალში სამხრეთაფრიკელებს შეხვდებიან. იმავე “სანმა” მოსკოვურ წაგებას “მაკლარენის რკინის ფარდა” უწოდა.

“დეილი მირორის” სტატიას “სინთეტიკური ტყვია” ერქვა. მიმომხილველი მინიშნებას აკეთებდა ხელოვნურ საფარზე, რომელიც “ლუჟნიკიზეა” დაგებული. “დეილი მირორის” აზრით, ინგლისელთა გასვლის შანსი და მთავარი მწვრთნელის კარიერა ძაფზე კიდია. გაზეთის პირველ გვერდზე გამოსახული იყო პენალტის ეპიზოდი - რუნის მიერ ზირიანოვის წაქცევა. “დეილი მეილმა” 11-მეტრიანის დანიშვნას შოკისმომგვრელი გადაწყვეტილება უწოდა, მაგრამ წაგებაში მაინც მწვრთნელს დასდო ბრალი. გამოცემის აზრით, ჰიდინკმა მაკლარენს პირწმინდად აჯობა. ინგლისელთა თავკაცი იმის გამოც უნდა დაისაჯოს, რომ ჯიუტად ბოლომდე ენდო **პოლ რობინსონს**. მას კი მეორე გოლისას უკეთ თამაში მართებდა. *“შენი დრო დამთავრდა, მაკ!”* - ასკვნის “დეილი მეილი”.

მაგრამ მაკლარენი სახლში წასვლას არ აპირებს: *“სამსახურის დაკარგვაზე საერთოდ არ მიფიქრია. ყველაფერს დარჩენილი მატჩები გამოაჩენს. რუსეთმა ორი შეხვედრა უნდა ჩაატაროს, ჩვენ - ერთი. ვწუხვარ, რომ დავმარცხდით შეხვედრაში, რომელსაც ვაკონტროლებდით, მაგრამ შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ის უნდა გამოვიყენოთ.”*

გუშინდელმა “ინდეპენდენტმა” ინგლისის ნაკრების სავარაუდო მწვრთნელთა ხუთკაციანი სია ჩამოწერა. მასში **ჟოზე მოურინიოს, მარტინ ონილის, ტერი ვენეიბლზის, ლუის ფელიპე სკოლარისა** და **გუუს ჰიდინკის** სახელებს შეხვდებით. იმავე “ინდეპენდენტმა” გვაუწყა, რომ ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენის შემთხვევაში, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია 8 მილიონ გირვანქას დაკარგავს.

### მაკედონია-ანდორა 3:0

**მაკედონია**: პაკოვსკი, ლაზარევსკი, მიტრესკი, ნოვესკი, სედლოსკი, პოპოვი, სუმულიკოსკი, ტასევსკი (84. ტრაიანოვი), მაჟნოვი (62. რისტიჩი), ნაუმოსკი (75. პოლოჟანი), პანდევი.

**ანდორა**: ალვარესი, ფერნანდესი, ლიმა, სონეხე, აიალა, ესკურა, ხიმენესი (78. სომოსა), პუიოლი, რუისი (63. ანდორა), ტოსკანო (82. რიერა), ვიეირა.

**გოლები**: 1:0 ნაუმოსკი (30), 2:0 სედლოსკი (44), 3:0 პანდევი (59)

**მაყურებელი**: 18 000

მაკედონიის ნაკრებს აქამდე ზედიზედ 5 მატჩი არ ჰქონდა მოგებული. **სრეჩკო კატანეცის** გუნდმა ბოლო გამარჯვება (ესეც 3:0) სწორედ ანდორასთან, ერთი წლის წინათ მოიპოვა. როგორც ჩანს, შესარჩევის სტარტზე მაკედონიელთა მიერ ინგლისში ნათამაშები ფრე (0:0) ჩვეულებრივი სენსაცია იყო და არა ახალი მწვრთნელის ხელი. კატანეცს, ჯერჯერობით, პროგრესი არ აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25-4 | 26 |
| 2. ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-4 | 23 |
| 3. რუსეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-5 | 21 |
| 4. ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| 5. მაკედონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| 6. ესტონეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 3-21 | 4 |
| 7. ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 2-39 | 0 |

17 ნოემბერი, შაბათი

**მაკედონია-ხორვატია**

**ისრაელი-რუსეთი**

**ანდორა-ესტონეთი**

## F ჯგუფი

### შვედეთი-ჩრ.ირლანდია 1:1

**შვედეთი**: ისაქსონი, კონჩა, ედმანი, ჰანსონი, მელბერგი, კალსტრიომი (85. იოჰანსონი), ლინდეროტი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი (46. ნილსონი), ელმანდერი (73. ოლბაკი), იბრაჰიმოვიჩი.

**ჩრ.ირლანდია**: ტეილორი, კრეიგანი, ჰიუზი, მაკოლეი, მაკარტნი (87. კაპალდი), ბრანტი, კლინგენი, დევისი, ჰილი, ლაფერტი, სპრული.

**გოლები**: 1:0 მელბერგი (15), 1:1 ლაფერტი (72)

**მაყურებელი**: 33 112

ჩრდილოირლანდიურ ნაკრებს, რომელმაც შესარჩევი ტურნირი რიხით დაიწყო (გავიხსენოთ ესპანეთთან გამარჯვებაც, 3:2) და დიდხანს ითვლებოდა ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთ ძლიერ კანდიდატად, სექტემბერში ლატვიასთან და ისლანდიასთან წაგებულმა თამაშებმა ყველაფერი წყალში ჩაუყარა. სტოკჰოლმში მოგება მათ კიდევ დაუტოვებდა ევროფორუმზე მოხვედრის შანსს და ამიტომაც იყო, რომ **ნაიჯელ უორთინგტონის** შეგირდებმა თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ ფრეზე მეტს ვერ გამორჩნენ. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ჩრ. ირლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი, ფაქტობრივად, აღარ უნდა ჰქონდეს. მათთვის სასურველი სცენარი ასეთი შეიძლება იყოს: შვედეთი სტუმრად უგებს ესპანეთს, ხოლო თავად, ჯერ საკუთარ მოედანზე ამარცხებს დანიას, ბოლო ტურში კი გასვლაზე უგებს ესპანეთსაც. არადა, ამ უკანასკნელს დარჩენილ ორ მატჩში ამდენივე ქულა სჭირდება, შვედეთს კი ფრეც ჰყოფნის. არარეალურია, რომ ლიდერებმა ეს შანსი ხელიდან გაუშვან, მით უმეტეს, სკანდინავიელები ბოლო ტურში ლატვიას მასპინძლობენ...

თუმცა ისტორიას ახსოვს ჩრ. ირლანდიის მიერ ესპანეთში მოგებული მატჩიც. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრიტანულმა ნაკრებმა, **არმსტრონგის** გოლით, 1:0 გაიმარჯვა და “სელექსიონი” კინაღამ ჯგუფში ჩატოვა...

გაგრძელება მე-10 გვერდზე



შვედეთი-ჩრ. ირლანდია. იბრაჰიმოვიჩმა ვერ გაიბრწყინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლანდია-სლოვენია. ჰუნტელაარი და 2:0

მე-9 გვერდიდან

**ლიხტენშტაინი-ისლანდია 3:0**

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, ოერი, მარ. შტოკლასა, ტელსერი, ბუხელი, ბურგმაიერი, გერსტერი, ფიშერი (61. ტ. ბეკი), ფრიკი (90. დ'ელია), როერი (69. რ. ბეკი).

**ისლანდია:** არასონი, ინგიმარსონი, იონსონი (71. სკულასონი), რ. სიგურდსონი, კ-ო. სიგურდსონი, გუდიონსონი (57. ბიორნსონი), გუნარსონი (85. ასგიერსონი), ალფრედსონი, ვიდარსონი, გუდიონსენი, ტორვალდსონი.

**გოლები:** 1:0 ფრიკი (27), 2:0 ტ. ბეკი (80), 3:0 ტ. ბეკი (83)

**მაყურებელი:** 2 589

ჯუჯა ლიხტენშტაინმა ჯერ კიდევ წინა შესარჩევში გაგვაკვირვა, როცა რამდენიმე "სკანდალური" ქულა აიღო (მათ შორის, 2:2 პორტუგალიასთან). ასე რომ, "გეიზერების" ძლევა სიურპრიზად არ უნდა ჩავუთვალოთ. ისე კი, მეორე გოლამდე ისლანდიას არაერთი რეალური მომენტი ჰქონდა და მეკარე **იელეს** რომ არა ეყოჩაღა, შეიძლება, ანგარიში უფრო მოკრძალებული... ან სულაც საყაიმო ყოფილიყო.

**დანია-ლატვია 3:1**

**დანია:** სორენსენი, ჰელვეგი, მ. ლაურსენი, უ. ლაურსენი (32. ანდრეასენი), სორენსენი, დ. იენსენი, კალენბერგი, პოულსენი (71. გრონკიაერი), რომედალი, ბენდტნერი, ტომასონი.

**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, ივანოვსი, კლავა, ჟირნისი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, სოლონიცინსი, ვიშნიაკოვსკი (78. ჟიგაევსი), პაჰარსი (90. კაჩანოვსი), რიმკუსი (63. ბუტრიკსი).

**გოლები:** 1:0 ტომასონი (7-პენ), 2:0 უ. ლაურსენი (27), 2:1 გორკსი (80), 3:1 რომედალი (90)

**მაყურებელი:** 19 004

დანიაც ჩრდილოირლანდიელთა ბედს გაიზიარებს (თუ უკვე არ გაიზიარა). **მორტენ ოლსენის** გუნდს ევრო 2008-ზე მოხვედრის მიზერული შანსი დარჩა. საჭიროა ბოლო ორი მატჩის მოგება, ოღონდ იმ პირობით, რომ ესპანეთმა დასკვნითი ორი შეხვედრიდან ორივე უნდა წააგოს. სხვა ვარიანტი აქ არ არის. მაგრამ ღირს კი ილუზიებით ცხოვრება?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-5 | 23 |
| 2. ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 3. დანია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 15-12 | 17 |
| 5. ლატვია | 10 | 3 | 0 | 7 | 10-14 | 9 |
| 6. ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-28 | 7 |

17 ნოემბერი, შაბათი
**ესპანეთი-შვედეთი**
**ჩრ. ირლანდია-დანია**
**ლატვია-ლიხტენშტაინი**

**G ჯგუფი**

**ლუქსემბურგი-რუმინეთი 0:2**

**ლუქსემბურგი:** ჟილე, ჰოფმანი, კინტციგერი, ლანგი, მუტში, ვაგნერი, ბეტმერი (49. ფერეირა), პეიალი (68. ლიუეკი), პეტერსი, რემი, კიტენგე (57. და მოტა).

**რუმინეთი:** ლობონტი, გოიანი, ოგარარუ, რატი, ტამაში, კივუ (87. ო. პეტრე), მარგარიტესკუ, ფ. პეტრე, დიკა (68. კრისტეა), მარიკა, ნიკულაე (76. ბრატუ).

**გოლები:** 0:1 ფ. პეტრე (42), 0:2 მარიკა (61)

**მაყურებელი:** 3 584

რუმინეთის ნაკრებმა შაბათს ჰოლანდია რომ დაამარცხა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა მაშინვე აღნიშნა, თუმცა ეს ფაქტი იურიდიულად მხოლოდ ლუქსემბურგთან გამარჯვების შემდეგ გაფორმდა. მაგრამ კარპატელები ბოლო წუთამდე ელოდნენ ცნობებს ალბანეთიდან, სადაც ბულგარეთი თამაშობდა. ტირანაში თამაში ფრედ დასრულდა და **ვიქტორ პიცურკას** ამქარს საბოლოოდ გაეხსნა გზა.

**ჰოლანდია-სლოვენია 2:0**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ბუმა, ემანუელსონი, ჰეიტინგა, იალიენსი, დე ზეუვი, ზეედორფი, სნეიდერი, ჰუნტელაარი, ვან დერ ვაარტი (29. რობენი/63. ბაბელი), ვან პერსი (60. ოოიერი).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, სესარი, კომაჩი, კორენი, მორეცი, ბირსა (68. ნოვაკოვიჩი), კირმი (82. იოკიჩი), ლავრიჩი, ჟლოგარი, ბრეჩკო (85. ლიუბიანკიჩი), ილიჩი.

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (14), 2:0 ჰუნტელაარი (88)

**მაყურებელი:** 35 000

17 ნოემბერს ჰოლანდია საკუთარ მოედანზე ლუქსემბურგს დაამარცხებს და ავსტრია/შვეიცარიის საგზურს გაიფორმებს. როგორც იტყვიან, ამას წყალი არ გაუვა. საამისოდ, ნიადაგი სლოვენიასთან გამარჯვებამ მოამზადა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ნიდერლანდელები გაშმაგებით უტევდნენ **ჰანდაროვიჩის** კარს და მხოლოდ ორი გოლი რომ გავიდა, სლოვენიელთა კიპერისა და ძელის დამსახურებაა. მაგრამ ეს არაფერი, ნეგატიური მომენტი ის იყო, რომ **ვან დერ ვაარტმა, ვან პერსიმ** და **რობენმა** ტრავმების გამო მოედანი ნაადრევად დატოვეს.

**ალბანეთი-ბულგარეთი 1:1**

**ალბანეთი:** ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ვანგელი, დურო, ჰაქსი (46. მუკა), ლალა, შკელა, ბოგდანი, სალიჰი (73. ბულკუ).

**ბულგარეთი:** პეტკოვი, ანგელოვი, ილიევი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ლუსიო ვაგნერი, ს. პეტროვი (46. გეორგიევი), ტელკიისკი (46. იანკოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი, პოპოვი.

**გოლები:** 1:0 კიშიშევი (32-საკ. კარში), 1:1 ბერბატოვი (87)

*90-ე წუთზე შკელამ ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 8 000

ბულგარეთის ნაკრებისთვის ერთადერთი შვება გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, დღევანდელი ალბანეთი იოლად მოსაგები გუნდი რომ არის, ეს თავის თავზე ჰოლანდიამაც გამოცადა, და მეორეც: **დიმიტარ პენევის** გუნდმა გადამწყვეტი მატჩი მეტად უკბილოდ ითამაშა და კინაღამ წააგო კიდეც. უკანასკნელ წუთზე **პეტკოვმა შკელას** სამართლიანად დანიშნული პენალტი აუღო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20-5 | 26 |
| 2. ჰოლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 13-3 | 23 |
| 3. ბულგარეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 15-7 | 19 |
| 4. ალბანეთი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-8 | 11 |
| 5. სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9-14 | 11 |
| 6. ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-20 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 11 | 1 | 0 | 10 | 2-22 | 3 |

17 ნოემბერი, შაბათი
**ბულგარეთი-რუმინეთი**
**ალბანეთი-ბელარუსი**
**ჰოლანდია-ლუქსემბურგი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. სამხრეთი ამერიკის ზონა II ტური

# სელესაო მარაკანაზე ტრიუმფით დაბრუნდა

**ბოლივია-კოლუმბია 0:0**

**ბოლივია:** ვერდუგესი, სანტოსი, რეიესი, რიბეირო, მოხიკა, გუტიერესი, გალარსა, ანდავერისი (55. კაბრერა), კამპოსი (46. ბაკა), რალდესი, არსე (70. გუტიერესი).

**კოლუმბია:** ხულიო, არკო, მოსკერა, არისალა, ბალიეხო, ფერეირა (55. რამირესი), ანჩიკო (85. ბანგერო), ამაია, ვალენსია (63. კასტრილიონი), სანჩესი, რენტერია.

**ბრაზილია-ეკვადორი 5:0**

**გოლები:** 1:0. ვაგნერ ლავი (18), 2:0. რონალდინიო (71), 3:0. კაკა (76), 4:0. ელანო (82), 5:0. კაკა (84).

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, მინეირო, ჟილბერტო, კაკა (88. დიეგო), ჟილბერტო სილვა, ვაგნერ ლავი (76. ელანო), რონალდინიო, რობინიო.

**ეკვადორი:** ვიტერი, ურტადო, დე ლა კრუსი, ურუტია, ბაგი, კიროსი (46. ტენორიო), მენდესი, ბენიტესი (82. ლარა), კასტილიო, აიოვი (76. გერონი), ესპინოსა.

**ჩილე-პერუ 2:0**

**გოლები:** 1:0. სუასო (11), 2:0. ფერნანდესი (51).

**ჩილე:** ბრავო, რიფო, ფიერო (89. ფუენტესი), ვიდალი, სუასო (84. რუბიო), სალასი (88. ხიმენესი), ფერნანდესი, დროგე, იტურა, გონსალესი, პონსე.

**პერუ:** ბუტრონი, როდრიგესი, აკასიეტე, ვილჩესი (73. ბასალარი), გალიკიო, ვარგასი, სოლანო, ხაიო, პისარო, ფარფანი, დე ლა ასა (45. კინტეროსი)

**პარაგვაი-ურუგვაი 1:0**

**გოლი:** 1:0. ვალდესი (15)

**პარაგვაი:** ვილიარი, მორელი, კანისა, კასერესი, კაბანიასი (79. აჩუკარო), ბარეტო (86. სანტანა), ვერა, და სილვა, კასერესი, რივეროსი, ვალდესი (66. კარდოსო).

**ურუგვაი:** კარინი, ლუგანო, გოდინი, ფუსილე, პაბლო გარსია, სკოტი, კრისტიან როდრიგესი (79. ბუენო), სუარესი (62. ვისენტე სანჩესი), ფორლანი, პერესი (68. ალვარო გონსალესი), პერეირა.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრებმა უკიდურესად უსახურად ისპარეზა. ამით განრისხებულმა ჟურნალისტებმა **კარლოს დუნგას** დაუნდობლად შეუტიეს და ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს. "სელესაოს" თავკაცმა თავი იმით იმართლა, რომ კოლუმბიამ შეხვედრა ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე დანიშნა. გარდა ამისა, დუნგამ ფეხბურთელების შეუთამაშებლობასა და პირველ თამაშთან დაკავშირებულ ტრადიციულ პრობლემებს გაუსვა ხაზი. მან იქვე პირობა დადო, რომ ბრაზილიის ნაკრები უახლოეს მომავალში თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად გამოასწორებდა. ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა. "სელესაომ" ლეგენდარულ "მარაკანაზე" ფანტასტიკური შთაბეჭდილება დატოვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკვადორს მინიმალური შანსიც არ ჰქონდა.

მასპინძელთა უპირატესობა პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა. ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა "მარაკანაზე" შვიდწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ისპარეზა. ტრიბუნებზე 85 ათასი ადამიანი შეიკრიბა. ფეხბურთელები, რა თქმა უნდა, ვერ დაუშვებდნენ, რომ სანაკრებო ფეხბურთს მონატრებული გულშემატკივრები შინ იმედგაცრუებულები დაბრუნებულიყვნენ. მოკლედ, ვარსკვლავებმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და საუცხოო შედეგსაც მიაღწიეს. პირველი საგოლე მომენტი **ვაგნერ ლავს** შეექმნა. **ივან ურტადომ** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მასპინძელთა ბურთიანი ფორვარდი საჯარიმო მოედანში სრულიად უმეთვალყუროდ მიატოვა. ლავს ოდნავ მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინა, ანგარიშს ჯერ კიდევ მეხუთე წუთზე გახსნიდა... თუმცა ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ცსკას თავდამსხმელმა როგორც იქნა გაიტანა. მე-18 წუთზე **მაიკონმა** დრიბლინგი წამოიწყო და საჯარიმოში ჩაკიდა. ლავმა იქ ყველას დაასწრო. მეკარე უძლური აღმოჩნდა და "მარაკანამაც" იხუვლა.

ამ შეხვედრის მთავარი მოვლენები მეორე ნახევარში განვითარდა. 48-ე წუთზე **კაკამ** სახიფათოდ დაარტყა, ბურთი **ვიტერის** მკერდში მოხვდა და ეკვადორი მეორე გოლს გადაურჩა. თუმცა ყველა ხედავდა, რომ მომდევნო გოლი მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხი იყო. ასეც მოხდა, კაკამ ეფექტური კონტრშეტევა წამოიწყო და **რონალდინიო** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. "ბარსელონის" ვარსკვლავს კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია. ძალიან მალე, თავად კაკამაც შეაგდო. მან უძლიერესი დარტყმით იხეირა. მიმომხილველებმა "მილანის" ლიდერი დღის გმირად აღიარეს. ის მართლაც შეუდარებელი იყო. დაახლოებით ექვს წუთში ლონემიხდილ ეკვადორელებს კიდევ ერთი ბურთი გაუტანეს. შეცვლაზე შესულ **ელანოს** ასისტენტობა **რობინიომ** გაუწია. სულ რაღაც ორ წუთში კი გენიალურმა კაკამ დუბლი შეასრულა.

ბუნებრივია, დუნგა შედეგითა და თამაშის ხარისხით კმაყოფილი დარჩა: *"ბედნიერი ვარ, რომ "მარაკანაზე" ფანტასტიკური ფეხბურთით დავბრუნდით. დღეს მეტოქე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ. პირველ ტაიმში ისინი ცდილობდნენ, რომ მოედნის ცენტრში წინააღმდეგობა გაეწიათ. სხვათა შორის, გარკვეული დროის განმავლობაში გამოსდიოდათ კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში ძალიან დაიღალნენ და წინააღმდეგობა ვერ გაგვიწიეს. დამეთანხმებით, ბრაზილია ბევრად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, შეტევა მრავალფეროვანი გახლდათ. კომბინაციური ფეხბურთი ვითამაშეთ და გულშემატკივრები დიდად გავახარეთ. შეგირდებს თავდადებისთვის მადლობას მოვახსენებ. ლეგიონერებმა ძალიან დიდი გზა განვლეს, მაგრამ ყველა სირთულეს გაუძლეს და შესანიშნავად ისპარეზეს. დარწმუნებული ვარ, ნოემბრის საკვალიფიკაციო ორთაბრძოლებსაც მაღალ დონეზე ჩავატარებთ."*

**მარსელო ბიელსას** ჩილეს ნაკრებმა ბუენოს აირესში განცდილი მარცხის შემდეგ ძალა მოიკრიბა და პერუს ეროვნულ გუნდს დამაჯერებლად მოუგო. სამხრეთამერიკელი კორესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჩილემ არსებობის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სანახაობრივი მატჩი ჩაატარა. მასპინძელთა გამარჯვებას მექსიკური "მონტერეის" თავდამსხმელმა **უმბერტო სუასომ** ჩაუყარა საფუძველი. მე-11 წუთზე მან მცველების შეცდომით ისარგებლა და მეკარისგან დაუცველი კუთხე დალაშქრა. პირველ ტაიმში ჩილელებს კიდევ რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ცოდავდნენ. ბურთი ხან სანტიმეტრებით ცდებოდა კარს, ზოგჯერ კი მეკარე ყოჩაღობდა. გულშემატკივრები მხოლოდ 51-ე წუთზე დამშვიდნენ. "ვილიარეალის" ნახევარმცველის, **მატიას ფერნანდესის** გოლის წყალობით მასპინძელთა უპირატესობა უფრო სოლიდური გახდა. რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩილემ კიდევ ოთხი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

მარსელო ბიელსას აზრით, მისი შეგირდების მთავარი დამსახურება დაცვაში გამართული თამაში იყო: *"შეტევაში უპირატესობას თავიდანვე დავეუფლეთ. ვიცოდით, რომ პერუს ნაკრებს მწვავე კონტრიერიშების ორგანიზება ხელეწიფება. ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით. საბედნიეროდ, შუახაზი იმდენად საიმედოდ გავამაგრეთ, რომ ბურთი ჩვენს საჯარიმომდე დიდ ხანს არ მიდიოდა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ზედიზედ ორი მარცხი, ან თუნდაც ორი ქულის დაკარგვა მუნდიალის საგზურისათვის ბრძოლაში ძალიან დიდი მანძილით უკან დაგვხევდა."*

წინა ტურში, ბოლივიის გამანადგურებელმა ურუგვაის ნაკრებმა ასუნსიონში წაიფორხილა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძლებს სტუმრებზე მეტი არაფერი გაუკეთებიათ. პარაგვაის უბრალოდ გაუმართლა და მხოლოდ ამის ხარჯზე მოიგო. მართალია, დორტმუნდის "ბორუსიის" ფორვარდმა **ვალდესმა** ანგარიში მცველების მიუტევებელი შეცდომის ფასად გახსნა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უშეცდომოდ პარაგვაელებიც არ თამაშობდნენ. თავად განსაჯეთ, **ფორლანს** სულ მცირე სამჯერ შეეძლო გატანა. გასაკვირი არ არის, რომ **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი** შედეგით მეტისმეტად უკმაყოფილო დარჩა: *"მიმაჩნია, რომ მოგება შეგვეძლო, თუმცა დღევანდელ შეხვედრაში ფრე ყველაზე ლოგიკური და სამართლიანი შედეგი იქნებოდა. ძალიან მწყდება გული, რომ შინ სრულიად ხელმოცარულები ვბრუნდებით. ბიჭებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოლეს, თუმცა ერთი შეცდომის გამო სამი ქულა დავკარგეთ. რა გაეწყობა, ეს სალამო უნდა დავივიწყოთ და ნოემბრის შეხვედრებში ყველაფერი თავიდან დავიწყოთ."*



ბრაზილია გამარჯვებას ზეიმობს

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი



ზაზა ფაჩულია (27) მინესოტასთან

## ზაზა გახურდა და მგლები დააფრთხო

**ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს მეხუთე წინასასეზონო მატჩი ჩაატარა და პირველად გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. ზაზამ "მინესოტა ტიმბერვულვზთან" 20 წუთი ითამაშა, 16 ქულა, 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა. სწორედ ქართველის კარგი თამაშის წყალობით მოახერხა "ატლანტამ" პირველი პერიოდის მოგება - 31:23. მაშინ, როცა "ჰოქსი" 21:8 დაწინაურდა, ფაჩულიას ანგარიშზე 9 ქულა იყო... ზაზა მეტისმეტი აკურატულობით გამოირჩა: 6-დან 5 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო გამოიყენა.

პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა ატლანტელებს ხელიდან არ გაუშვიათ და საბოლოოდ 103:77 იმარჯვეს. ეს გახლდათ მეოთხე გამარჯვება მეხუთე წინასასეზონო მატჩში. "ჰოქსის" მთავარი მწვრთნელი მაიკ ვუდსონი იმედოვნებს, რომ გუნდი NBA-ს რეგულარულ სეზონშიც ასევე გააგრძელებს:

"საგამოფენო შეხვედრებში კარგი თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ "ატლანტა" თანაბრადაა დაბალანსებული. უკანა ხაზში ესისი ლოუს, ტაიროს ლიუსა და სპიდი კლექსტონის იმედად ვართ. მსროლელი ჯო ჯონსონი ხომ NBA-ს სუპერვარსკვლავია. ფორვარდებად ახალგაზრდა, მაგრამ ჩამოყალიბებული კალათბურთელები მერვინ უილიამსი და ჯოშ სმიტი გვყავს. არც ფარქვეშ გვაქვს პრობლემები: ელ ჰარფორდი და ზაზა ფაჩულია სხვადასხვა ტიპის მოთამაშენი არიან და ერთმანეთს უმტკივნეულოდ ენაცვლებიან."

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ატლანტა-მინესოტა 103:77**

31:23, 29:19, 20:28, 23:7

ატლანტა: ე. ჯონსონი (5 ქ, 8 პ), ჯ. ჯონსონი (13 ქ. 8 პ), ჯ. სმიტი (14 ქ), მ. უილიამსი (15 ქ),. ფაჩულია *(20 წთ, 16 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 2 შეცდომა)*, ჰარფორდი (9 ქ, 10 მ), უესტი (10 ქ), შ. უილიამსი (10 ქ), ჯონსი (9 ქ), ს. სმიტი (2 ქ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 10:03 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 9:37 | ჩაჭრა: 1 (ჯეფერსონს ჩაუჭრა) |
| 9:33 | შეცდომა: 1 |
| 8:33 | ორქულიანი ტყორცნა. 2 ქ (10:6) |
| 8:09 | საჯარიმოები: 2/2, 4 ქ (12:8) |
| 7:59 | ფოლი: 1 |
| 6:42 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:20 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (16:10) |
| 5:28 | დაფარება: 1 (სმიტს დაუფარა) |
| 4:34 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დაც:0) |
| 4:25 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (20:14) |
| 4:25 | საჯარიმო: 1/1, 9 ქ (21:14) |
| 4:10 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 3:38 | ფაჩულია: უილიამსმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 6:50 | ფაჩულიამ უილიამსი შეცვალა |
| 6:32 | ჩაჭრა: 2 (ბლაუნტს ჩაუჭრა) |
| 3:47 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (51:38) |
| 2:38 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ქ (55:40) |
| 1:38 | საჯარიმოები: 2/1, 14 ქ (58:40) |
| 1:13 | ფოლი: 2 |
| 0:51 | ჩაჭრა: 3 (მაკკანტსს ჩაუჭრა) |
| 0:27 | მოხსნა:4 (შეტ:2, დაც:2) |
| 0:23 | საჯარიმოები: 2/2, 16, (60:42) |
| **III მეოთხედი** | |
| 11:32 | ფოლი:3 |
| 11:32 | შეცდომა:2 |
| 7:29 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| 0:41 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 0:35 | ფოლი:4 |
| 0:35 | ფაჩულია ჯონსმა შეცვალა |

## მანუ მეოთხეა და ოთხეულს უახლოვდება

უკრაინაში, ჩემპიონატის პარალელურად, თასის გათამაშებაც დაიწყო. **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" პირველ მეოთხედფინალურ მატჩში "ბუდიველნიკი" სტუმრად 106:63 დაამარცხა. მართალია, ამ წყვილში ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ საპასუხო შეხვედრა "კიევის" არენა "მერიდიანზე" 23 ოქტომბერს გაიმართება.

მეოთხედფინალებში გამარჯვებულები უკრაინის თასის ფინალურ ოთხეულს შეადგენენ და თასის მფლობელის ვინაობას ერთმატჩიან დაპირისპირებაში გაარკვევენ. ვიდრე მანუჩარ მარკოიშვილის თამაშზე მოგახსენებდეთ, შეგახსენებთ, რომ უკრაინის თასის მოქმედი მფლობელი "ბკ. კიევია."

"ბუდიველნიკთან" მატჩის სნაიპერი დედაქალაქელი პუხ ჯეტერი გახდა. მან 22 ქულა ჩააგდო, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა 10 ქულას 4 ჩაჭრა მიამატა.

გუშინვე "კიევის "ოფიციალურ ვებგვერდზე დაისვა კითხვა: რომელი ახალწვეული მიგაჩნიათ გუნდისთვის ყველაზე ღირებულ შენაძენად? გამოკითხვაში ხმების 54.9 პროცენტით პუხ ჯეტერი ლიდერობს. მეორეა მაკედონელი ამერიკელი რაიან სტეკი - 16.9 პროცენტი. მესამე - მარკუს ფეისონი - 11.3, მეოთხე - მანუჩარ მარკოიშვილი-9.9 პროცენტი, მეხუთე - ვლადიმირ კრსტიჩი-5.6, მეექვსე - ჯოშ დევისი - 1.4.

საქართველოს ჩემპიონატი

## ყველანი სუპერლიგისთვის!

კვირას, 21 ოქტომბერს, დაიწყება საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი. როგორც იცით, მეორე წელიწადია, რაც ჩემპიონატი განახლებული ფორმატით ტარდება და სუპერლიგა ჰქვია. გუშინ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, სუპერლიგის პი-არ-აქცია მოაწყო. აქციაში მონაწილეობდნენ კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე **ზურაბ თალაკვაძე**, სუპერლიგის დირექტორი **გიორგი ზამბახიძე** და ლიგის ექვსივე კლუბის თითო კალათბურთელი - **ლაშა გამყრელიძე** ("ენერჯი ინვესტი"), **პლასიდე როდუმტა** ("ავიამშენი"), **მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ), **ლექსო ლაფანაშვილი** ("დინამო"), **გიორგი შერმადინი** ("მაკაბი") და **მიხეილ ბერიშვილი** ("ვითა"). მათ 55-ე საჯარო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეტრო "რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სუპერლიგის საინფორმაციო ბუკლეტები უხვად დაარიგეს და ხალხი ეროვნულ ჩემპიონატზე დაპატიჟეს.

აქცია თავიდან ბოლომდე საკმაოდ მხიარულად წარიმართა. პირველი გაჩერება იყო 55-ე სკოლა, სადაც ყველაზე მეტად გაგვახალისა "ავიამშენის" კამერუნელმა ლეგიონერმა როდუმტამ. ერთ-ერთი კლასის მასწავლებელი, სიტუაციაში ვერ გაერკვა და რამდენჯერმე გაგვამეორებინა, თუ რა აქცია ტარდებოდა. როდესაც მესამედ გავუმეორეთ, პლასიდემ წმინდა ქართულით უთხრა: "რა ვერ გაიგე ქალბატონო, ქართული არ იცი?". ისე, კამერუნელს კარგად უსწავლია ჩვენი ენა და ოდნავ აქცენტს თუ არ ჩავთვლით, საკმაოდ გამართულად საუბრობს...

55-ე სკოლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსისკენ დავეშვით. სანამ ეზოში შევიდოდით, როდუმტამ და ბერიშვილმა გაჩერებას მიაშურეს და ყვითელი ავტობუსების მგზავრებს შეაწოდეს ბუკლეტები.

უნივერსიტეტის ეზოში კალათბურთელების გამოჩენამ სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია, რომლებმაც მობილური ტელეფონები იშიშვლეს და კალათბურთელებთან სურათები გადაიღეს. მათ შორის ერთი უცხოელიც ერია, რომელმაც იკითხა, ეროვნული ნაკრების წევრები რომლები არიანო და ლაშა გამყრელიძესა და გიორგი შერმადინთან გადაიღო ფოტო.

"ჭამა მინდა, წავიდეთ მაკდონალდსში", - თქვა როდუმტამ და მართლაც, როგორც დაგეგმილი იყო, "მაკდონალდსის" მიმდებარე ტერიტორიაზე გადავინაცვლეთ, რომელიც აქციის "ბოლო გაჩერება" იყო. მეცნიერებათა აკადემიის წინ მდებარე ვაჭრობა გამოფენასთან, შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრების კილტიან გულშემატკივრებს გადავეყარეთ და კალათბურთელებმა ისინიც დაპატიჟეს სუპერლიგაზე. ორმა მოსვლა აღუთქვა, ორმა კი თავაზიანად იუარა - დღეს უკან მივფრინავთ, თორემ დიდი სიამოვნებითო.

იქვე, ერთი პატარა ბიჭუნა აედევნა 216 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე შერმადინს, გაოცებული უვლიდა გარშემო და ეკითხებოდა - როგორ გაიზარდე ამხელაო...

აქციის დასასრულ, გავესაუბრეთ გიორგი ზამბახიძესა და ლაშა გამყრელიძეს.

**გიორგი ზამბახიძე:** - 21 ოქტომბრიდან, ყოველ კვირა დღეს, ქართული კალათბურთის გულშემატკივრებს ვიწვევთ სპორტის სასახლეში, სუპერლიგის მატჩებზე. 21 ოქტომბერს, 15:30 საათზე, სუპერლიგის საზეიმო გახსნაა, რასაც პირველი ტურის შეხვედრები მოჰყვება. თითოეულ ტურში, ცენტრალური მატჩების მიმდინარეობისას, გულშემატკივრებისთვის გაიმართება შოუ პროგრამები და ვიქტორინები. მაყურებელს ბევრ სიურპრიზს ვპირდებით. დიდი იმედი მაქვს, რომ წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელზე უკეთესი იქნება. შოუ-პროგრამების გარდა, მაყურებელს ხარისხიან და ლამაზ მატჩებსაც ვპირდებით.

ამუშავდება სუპერლიგის ვებგვერდი, რომელიც კალათბურთის ქომაგებს შესთავაზებს უახლოეს ინფორმაციასა და აუდიო-ვიდეო ჰაილაითებს.

რაც შეეხება დღევანდელ პიარაქციას, ასეთი აქცია შარშანაც გვქონდა, რომელმაც გაამართლა და ვიმედოვნებ, წლეულს უფრო მეტი მაყურებელი გვეწვევა. აღსანიშნავია, რომ შარშან, სეზონი კალათბურთის სასახლეში დავიწყეთ, მაგრამ მერე იგი ახალმა ინვესტორმა შეიძინა, რეკონსტრუქცია იწყებოდა და ამიტომ სეზონი დავასრულეთ ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში. ამჯერად კი განახლებული და ბრწყინვალე მდგომარეობაში მყოფი სპორტის სასახლე მთელი წლის განმავლობაში მოგვემსახურება.

**ლაშა გამყრელიძე:** - ასეთი აქციები საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა გულშემატკივარი მოვიზიდოთ ეროვნულ ჩემპიონატზე. რაც უფრო გავაპიარებთ სუპერლიგას, მით უკეთესი. თუმცა, პიართან ერთად, სანახაობრივი მხარის ამაღლებასაც ველი. ჩემი აზრით, წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელზე გაცილებით ძლიერი იქნება.

ვიმედოვნებ, საპორტის სასახლეში სუპერლიგასაც ბევრი მაყურებელი ეყოლება და 30 ოქტომბერსაც შეივსება ტრიბუნები, როდესაც ევროთასზე "ენერჯი ინვესტი" ჰოლანდიურ "ამსტერდამს" ვუმასპინძლებთ.

## რვიანის რვიანი

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი" უქმეებზე ბალტიის ლიგაზე თამაშობს, ხოლო შუა კვირაში ესტონეთის ჩემპიონატისთვის იცლის. ადგილობრივ პირველობაზე "როკერებმა" მესამე მატჩი გამართეს და მეორე გამარჯვება მოიპოვეს - ""ველგს" სტუმრად 93:87 სძლიეს.

გიორგიმ "ველგთან" მატჩიც სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მართალია, მწვრთნელი მას 35 წუთით ენდო, მაგრამ წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, სტატისტიკს თვალისმომჭრელი ვერ გამოუვიდა: 8 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი. ცინცაძე დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ყოჩაღობდა - 5-დან 1 სამქულიანი, 2-დან 1 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. სამაგიეროდ, ტარტუელთა ლიდერობა ამერიკელმა ბრაიან კუსვორსმა იკისრა - 33 ქულა ჩააგდო.

სამი ტურის შემდეგ "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-3-4 ადგილებს "პირატასთან" იყოფს. ორივეს ორ-ორი მოგება აქვს. მეორე პოზიციაზეა "დალკია" (4 მატჩი, 3 გამარჯვება), ხოლო პირველზე "კალევი" (ხუთივე მოგება). "როკერებმა ერთადერთი მარცხი სწორედ "კალეველებისგან" იწვნიეს.



გიორგი ცინცაძე (8)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

## ტატიშვილი მერვედფინალშია

17 წლის **ანა ტატიშვილი** (280) ჯორჯიის შტატის ქალაქ ლოურენსვილში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) ასპარეზობს. ანამ ძირითადი ბადის პირველ წრეში "უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკელ **ნიკოლ ლაიმბახს** (713) მოუგო სამ სეტში - 2:6, 6:4, 6:3. მერვედფინალში ანა ტატიშვილი მე-5 ნომრად განთესილ კანადელ **სტეფანი დუბუას** (115) შეხვდება. 21 წლის დუბუას ქართველი შარშან პიტსბურგში შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილი არ მონაწილეობს. ამავე ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველივე წრეში დამარცხდა **სალომე დევიძე**.

## წყვილის იმედად

**მაკა ჩახნაშვილმა** (162) ფრანგული სან რაფაელის (50 ათასი დოლარი) ტურნირის ერთეულთა თანრიგის მერვედფინალში წააგო. მისი მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ებრაელი **ციპი ობლიზერი** (88) იყო. სამწუხაროდ, ჩვენმა პირველმა ჩოგანმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფავორიტს - 1:6, 2:6. მაკა წყვილთა თანრიგში აგრძელებს ასპარეზობას, სადაც, ბელარუს **ქსენია მილევსკაიასთან** ერთად, მეოთხედფინალშია გასული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღი

**ირმა ყიფშიძე.** დაიბადა 19.10.1970, თბილისი. მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასის გათამაშებისა (1986) და ევროპის ჩემპიონატის (1986) მეორე პრიზიორი ჯგუფურ ვარჯიშში, სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი პირად ჩათვლაში (1987). გდრ-ის, იუგოსლავიისა და ჩინეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ჭადრაკი — ევროპის გუნდური ჩემპიონატი

## ჯობავა, გელაშვილი და...

**27 ოქტომბერს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე ევროპის გუნდური ჩემპიონატი იწყება. ამ ტურნირში საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრებებიც ითამაშებენ. ორივე გუნდის შემადგენლობები ცნობილია, ისინი ახლა ინტენსიურ მზადებას გადიან მწვრთნელებთან და კონსულტანტებთან ერთად. გუშინ ვაჟთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ხვიჩა სუპატაშვილს ვესაუბრეთ.**



პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავა იქნება

- ნაკრების წევრები სრულ მზადყოფნაში არიან. რამდენიმე თვეა, გუნდის ყველა წევრთან ვმუშაობ და ამ მუშაობით კმაყოფილი ვარ. შევიმუშავე ახალი თეორიული ვარიანტები, სადებიუტო სიახლეები, რაც დაურიგდათ ნაკრების წევრებს და ამ მასალაზე დამოუკიდებლადაც მუშაობენ.

**- როგორ ფორმაში არიან ქართველი მოჭადრაკეები?**

- უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ყველა კარგ სპორტულ ფორმაშია, რაც მათ შედეგებშიც კარგად გამოჩნდა - ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე ტურნირში ითამაშეს წარმატებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თამაზ გელაშვილის წინსვლა - მან ძალიან ბევრი პარტია ითამაშა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეში დამარცხდა. მისმა რეიტინგმა საკმაოდ მოიმატა - 2623 აქვს დღეისთვის, მაგრამ ახალი მაჩვენებლები რომ გამოქვეყნდება, 1 ნოემბერს, ბევრად უნდა მოიმატოს.

როგორც ყოველთვის, კარგ ფორმაშია ბაადურ ჯობავა, არც სხვები არიან კალაპოტიდან ამოვარდნილები.

**- და მაინც, საკმარისია კი მუშაობის ასეთი ფორმატი? გუნდის წევრები ხომ ძალიან იშვიათად არიან ერთად, ეს კი საქმისთვის კარგი არ უნდა იყოს...**

- ასე კი გახლავთ, მაგრამ როცა კი ჩამოდიან თბილისში, მაშინვე ვცდილობთ დანაკარგის ანაზღაურებას. ტურნირების დროსაც ვეხმარები - თანამედროვე ტექნიკა ამის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას არ აქვს საშუალება, სრულყოფილი და ხანგრძლივი შეკრებებით უზრუნველგვყოს, ამიტომ ფონს იმით გავდივართ, რისი საშუალებაც არის.

თანხების უკმარისობის გამო ამ ტურნირზე გამგზავრებაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ საბედნიეროდ გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც მოგვცა შესაძლებლობა, ქვეყნის პრესტიჟი დაგვეცვა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელის" გენერალურ დირექტორს გიორგი გოგოლაძეს ულრმესი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის.

**- გუნდის მომზადებაში კიდევ ვინ გეხმარებათ?**

- წესის თანახმად, ნაკრებს კაპიტანიც უნდა ჰყავდეს. ეს ფუნქცია ვაჟებში დიდოსტატ გიგა ყაჭეიშვილს დაეკისრა. მზადების პროცესში ისიც აქტიურად არის ჩართული და კონსულტაციებით გვეხმარება.

**- როგორც წესი, ევროპის ჩემპიონატი ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა. წლეულს როგორი სიტუაციაა და რა შედეგზე გვექნება სწორება?**

- ევროპის გუნდური ჩემპიონატი მართლაც ძალიან ძლიერი ტურნირია - აქ უმაღლესი კლასის მოჭადრაკეთა განსაკუთრებული სიმრავლეა ხოლმე. ამჯერადაც ასეა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ საშუალო რეიტინგული მაჩვენებლით მეთორმეტე გუნდი ვართ. ამის გათვალისწინებით, ათეულში მოხვედრა წარმატებადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ უფრო მეტი გვსურს და ძალიან კმაყოფილები ვიქნებით, თუ ექვსეულში მოვხვდებით. ცხადია, სამეულზეც არ ვიტყოდით უარს , მაგრამ ამაზე ახლა საუბარი რთულია და ნაადრევიც.

**- გთხოვთ, მკითხველს ნაკრების შემადგენლობა გააცნოთ...**

- ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, დავით არუთინიანი და მერაბ გაგუნაშვილი. ოლონდ, ჯერ მხოლოდ პირველი ორი დაფა მაქვს გარკვეული - პირველზე ჯობავა ითამაშებს, მეორეზე - გელაშვილი. დანარჩენს უშუალოდ ტურნირის დაწყების წინ გავარკვევთ.

**ზვიად შათირიშვილი**

კარატე

# წარმატება მსოფლიო თასზე

## დავით ნამგალაური: ქართული კარატეს გამარჯვება, საქართველოს გამარჯვებაა!

## ქართველების მონაგარი: ხუთი ოქრო და ერთი ვერცხლი

ქართული კარატესთვის ეს შემოდგომაც საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა. 13-14 ოქტომბერს, ნისლიანი ალბიონის დედაქალაქ ლონდონში მსოფლიო თასი გათამაშდა ტრადიციულ კარატეში. პრესტიჟული თასისთვის ბრძოლაში 25 ქვეყნის კარატეს საუკეთესო გუნდი იბრძოდა. როგორც წესი, მონაწილე ქვეყნებსა და გუნდებს თავად მასპინძელი ქვეყანა და კარატეს მსოფლიო ორგანიზაცია არჩევს, შედეგების შესაბამისად.

ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს კარატეს ტატამზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინა - ოქროს ხუთი და ვერცხლის ერთი მედალი მოიპოვა. საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** აღნიშნა:

*"ამაყი ვარ ყველაზე ძალიან იმით, რომ, როცა ჩვენი გუნდი ასპარეზობდა, სხვა ქვეყნის სპორტსმენები და ნაკრების მწვრთნელები საქართველოს "ჯორჯია, ჯორჯიას" შეძახილებით გულშემატკივრობდნენ. მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი შედეგი უდიდესი წარმატებაა! ქართული კარატე ეხმარება საქართველოს იმაში, რომ ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი წარსულისა და აწმყო-მომავლის ქვეყანა უკეთესად გაიცნოს მსოფლიომ. ჩვენი გუნდი საუკეთესო იყო წლეულსაც. შეჯიბრების შემდეგ სხვადასხვა შემოთავაზებები და მიწვევაც მივიღეთ, სადაც მონაწილეობის უფლება მხოლოდ კარატეს ელიტას თუ ეძლევა".*

ლონდონში გვასახელა ქართული კარატეს ვეტერანმა, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნოდარ ხაჯიშვილმა,** რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. **დევი ხაჯიშვილი** კი, "კატაში", 18-წლამდელთა შორის ვერცხლს დაეუფლა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ასაკში ის საუკეთესოა. ცნობისთვის, დევი ხაჯიშვილმა წლეულს, ზაფხულში, ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მეორე დღეს მოასპარეზეთა შორის ლიდერობა საკუთარ თავზე ყველაზე ახალგაზრდა კარატისტმა, საქართველოს 16-17 წლამდელთა ნაკრების წევრმა **ოთარ ვადაჭკორიამ** აიღო და პირველი ოქროს მედალიც მოგვიტანა. 21-წლამდელებში საუკეთესო იყო **ბექა ხმალაძე,** რომელიც უკვე 2 წელიწადია ლონდონში სწავლობს და ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვარჯიშობს. აბსოლუტურში ოქრო **ირაკლი ტყებუჩავამ** მოიპოვა.

ლონდონში, იმავე საღამოს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** დაურეკა კახა ბასილიას და წარმატება ამ სიტყვებით მიულოცა: *"ქართული კარატეს გამარჯვება, საქართველოს გამარჯვებაა! გილოცავთ!!!"* მსოფლიო ჩემპიონებს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი **გიორგი ბარამიძეც** შეეხმიანა და მომავალი წარმატებები უსურვა. აქვე დავძენთ, რომ ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენს დელეგაციას სწორედ ბატონი გია ხელმძღვანელობდა.




ინგლისურ სპორტულ პრესაში ქართული კარატეს წარმატებაზე სტატია ასეთი სათაურით დაიბეჭდა: "პატარა ქვეყნის დიდი წარმატება". ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამართულ საზეიმო ბანკეტზე, ქართველების ასპარეზობით მოხიბლულმა მასპინძლებმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნიც კი ააჟღერეს.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან

# ვის ექძღვნება ნამიბიასთან გატანილი ლელო?





**საქართველოს ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი წლევანდელი სეზონის წინ საფრანგეთის მეორე დივიზიონის "ბეზიედან" ამავე დივიზიონში მოასპარეზე "მონ დე მარსანში" გადავიდა. ირაკლის საფრანგეთში დავუკავშირდით და საუბარი ახალი კლუბის ამბებით დავიწყეთ.**

-ძალიან გამიკვირდა, მაგრამ "ბეზიესგან" განსხვავებით "მონ დე მარსანი" ბევრად უფრო მეგობრული გუნდი აღმოჩნდა. გულთბილად დამხვდნენ ახალ კლუბში - პრეზენტაცია მომიწყვეს, მაისური გადმომცეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ილონეს, რომ თავი კარგად მეგრძნო. აქ მარტო მე არ ვარ უცხოელი - გუნდში ტონგელები, კანადელები და ერთი სამოელია, თუმცა, გარწმუნებთ ამას ყურადღებას არავინ აქცევს, ყველა ერთ მუშტადაა შეკრული.

**- ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ "მონ დე მარსანი" მეორე დივიზიონში ფავორიტად არასდროს მოიხსენიებოდა.**

- ეგ მართალია. პირველ დივიზიონში გადასვლის პრეტენზია არც ახლა აქვთ. როგორც ამბობენ, მიზანი სატურნირო ცხრილის შუაგულში დამკვიდრებაა. სხვა მხრივ, აქ არანაირი პრობლემა კლუბს არ აქვს. სრულყოფილადაა აწყობილი ინფრასტრუქტურა და ფინანსური პრობლემებიც მოგვარებულია.

**- კლუბები ჩემპიონატის დაწყებამდე საწვრთნელ შეხვედრებს თამაშობენ. თქვენს გუნდს ხომ არ უთამაშია ვინმესთან?**

- რაც გუნდს შევუერთდი, ერთი მატჩი გავმართეთ "მეტრო რასინგთან" და 27:13 მოვუგეთ. ეს გუნდი ამ სეზონის წინ მთლიანად გადახალისდა, მწვრთნელიც ახალი ჰყავთ, იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი პიერ ბერბიზიე. მიზნებიც სერიოზული აქვთ. მე მთლიანდ ვითამაშე მეორე ტაიმში. სამწუხაროდ, ფეხი ვიტკინე და ორი დღეა არ მივარჯიშია.

**- მართალია "მონ დე მარსანი" მეგობრული გუნდიაო, თქვით, მაგრამ ქართველი მხოლოდ თქვენ ხართ და არ გიჭირთ?**

- გუნდში მარტო მე კი ვარ ქართველი, მაგრამ აქვე, "დაქსში" თამაშობს ირაკლი გიორგაძე. დაქსი აქედან 40 კილომეტრშია. თითქმის ყოველდღე ერთად ვართ. ხან მე დავდივარ მასთან ვარჯიშზე და იქვე ვრჩები ხოლმე, ხან ის. ირაკლის მეუღლე ტყუპების გაჩენას ელოდება და ამჟამად ქუთაისშია, ასე რომ, ერთმანეთს ვპატრონობთ. თანაც, 10 ნოემბერს პორტუგალიასთან სათამაშოდ ვემზადებით. მართალია, მე სავიზო პრობლემა მაქვს, მაგრამ იმედია, ყველაფერი დროულად მოგვარდება და ჩამოსვლას შევძლებ.

**- მოდით, მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების გამოსვლა გავიხსენოთ. როგორ შეაფასებდით მიღწეულ შედეგს?**

- მიმაჩნია, რომ მსოფლიო თასზე ღირსეულად გამოვედით. ერთადერთი საფრანგეთთან თამაში დამრჩა გულში ხინჯად. მაგრამ მათთან მარცხს ობიექტური მიზეზები აქვს. ნამიბიასთან მატჩის შემდეგ სამ დღეში ძალების აღდგენა ვერ შევძელით. ამას დაერთო ხშირი ტრავმებიც. ფრანგები უფრო კარგად იყვნენ მომზადებული ამ შეხვედრისთვის. სხვა ყველაფერი, ვფიქრობ, ძალიან კარგად იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ ბიჭების, მთელი გუნდი ერთ მუშტად შეიკრა, შეჯიბრებისთვის კარგად მოემზადა, კარგ ფორმაში ვიყავით. აქაც ყველა აღნიშნავს რომ ქართულმა რაგბმა ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ჩვენი ქვეყნისათვის რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ.

**- ნამიბიასთან შეხვედრაში ლელო რომ გაიტანეთ, ხელით რაღაც ჟესტი გააკეთეთ. რას ნიშნავდა ეს?**

- ყველა ამას მეკითხება. ცხადია, ყველასათვის გასაგები არ იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ ერთი გოგო მომწონს. თამაშის დაწყების წინ, გასახდელში რომ შევედით, ზუსტად მაშინ დამირეკეს ჩემმა მეგობრებმა - ტელევიზორთან ვსხედვართ და აბა შენ იციო. ის გოგოც მათთან ერთად იყო. ლელო, რომ გავიტანე მაშინვე ეს გამახსენდა და იმ ჟესტით, ლელო სწორედ იმ გოგოს მივუძღვენი.

**- მსოფლიო თასზე ჩვენი გუნდის გამოსვლის შემდეგ ქვეყანაში რაგბისადმი დამიკიდებულება რადიკალურად იცვლება. ხელისუფლება, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასთან ერთად, რაგბის განვითარების პროგრამაზე მუშაობს. ამის შესახებ ალბათ თქვენც გსმენიათ.**

- რა თქმა უნდა და ძალიან გვიხარია, რომ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. მოხარული ვიქნებით, თუ მომავალ თაობას რაღაცას მაინც დავუტოვებთ. 5-6 წლის წინათ ვერც კი ვიოცნებებდით იმას, რასაც საფრანგეთის მსოფლიო თასზე მივაღწიეთ. თუ ყველაფერი, რასაც გვპირდებიან, შესრულებული იქნება, 5-6 წლის შემდეგ მომავალი თაობა, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს მიაღწევს. ვნახოთ, ყველაფერს საქმე გვიჩვენებს.

ბესიკ ჯანგავაძე

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## ბრინჯაოს ფინალი

**19 ოქტ. 23:00. სენ დენი**

მესამე ადგილისთვის

**საფრანგეთი-არგენტინა**

საფ: 15. კლემან პუატრენო 14. ორელიან რუჟერი 13. დავიდ მარტი 12. დავიდ სკრელა 11. ქრისტოფ დომინისი 10. ფრედერიკ მიშალაკი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი; 1. ჟან-ბატისტ პუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. ლიონელ ნალე 5. ჟერომ თიონი 6. იანიკ ნიონგა 7. ტიერი დუზოტუარი 8. იმანოლ არინორდოკი / 16. სებასტიან ბრუნო 17. ნიკოლა მასი 18. სებასტიან შაბალი 19. რემი მარტენი; 20. პიერ მინიონი 21. ლიონელ ბოსი 22. ვენსან კლერი

არგ: 15. იგნასიო კორლეტო 14. ფედერიკი მარტინ არამბურუ 13. მანუელ კონტეპომი 12. ფელიპე კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ხუან მარტინ ერნანდესი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. ალბერტო ვერნეტი 3. ომარ ჰასანი 4. რიმას ალვარესი 5. პატრისიო ალბასეტე 6. მარტინ დურანი 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. გონსალო ლონგო / 16. მარკოს აიერსა 17. ეუსებიო გინიასუ 18. ესტებან ლოსადა 19. ხუან-მანუელ ლეგისამონი; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ერნან სენილიოსა

მსაჯი: პოლ ჰონისი (ზელ)

დღეს მსოფლიო თასის ბოლოსწინა მატჩია. საფრანგეთი და არგენტინა ბრინჯაოს მედლების მფლობელის ვინაობას გაარკვევენ. გუშინ ორივე მწვრთნელს თითო იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა - ორივეს შუამარბი დაუშავდა. **დამიენ ტრაის** შეცვლის **დავიდ მარტი**, ხოლო **გონსალო ტიესის - მანუელ კონტეპომი**.

გუშინვე სამხრეთი აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა, **ჯეიკ ვაითმა** დაასახელა ფინალის შემადგენლობა. ბოლო თამაშის შემდეგ მასში ერთადერთი ცვლილებაა - სათადარიგო მესამეხაზელს, **ბობი სკინსტადს** ცვლის **ვიკუს ფანჰირდენი**.

ფანჰირდენი იმ მატჩში, როცა "ქურციკებმა" 36:0 გაანადგურეს ინგლისი, დისკვალიფიცირებული **სხალკ ბურხერის** ნაცვლად თამაშობდა გრძელ ფრთაზე, მეოთხედფინალში კი სკამზე იჯდა და **დანი როსუ** შეცვალა, თუმცა, ბურხერის ადგილი დაიკავა, ეს უკანასკნელი კი 8 ნომერზე გადავიდა. მოსალოდნელია, რომ ფინალშიც ასე მოხდება.

**ს. აფრიკა ფინალში**

15. პერსი მონტგომერი 14. ჯეიპი პიტერსენი 13. ჟაკ ფური 12. ფრანსუა შტაინი 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოზ დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ცეხა ფანდერლინდე 4. ბაკის ბოთა 5. ვიქტორ მეტფილდი 6. სხალკ ბურხერი 7. ჟუან სმითი 8. დანი როსუ / 16. ბისმარკ დუპლესი 17. იანი დუპლესი 18. იოჰანეს მულერი 19. ვიკუს ფანჰირდენი; 20. რუან პინარი 21. ანდრე პრეტორიუსი 22. ვინანდ ოლიფიე



# ქართული, სამბო, ძიუდო...

**ახლახან პრაღაში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონაზე საქართველოს ნაკრებმა ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა 19 წლის გორელი ფალავანი ზვიად ბაზანდარაშვილი, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია.**

- ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ბორის ფიცხელიანის ხელმძღვანელობით მზადება ბაკურიანში დავიწყეთ, დასკვნითი ეტაპი კი გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში გავიარეთ. შეკრება რომ ნაყოფიერი გამოდგა, ამაზე პრაღაში ჩვენი ნაკრების წევრთა კარგ ფორმაში ყოფნა მეტყველებს. პირადად მეც, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, საკმაოდ კარგად გახლდით მომზადებული და დიდი იმედი მქონდა ჩემპიონობის, თუმცა მხოლოდ ვერცხლის მედალს გამოვრჩი.

73 კგ წონით კატეგორიაში ფავორიტად ითვლებოდა გერმანელი ქრისტოფერ ვოლკი, რომლის შესაძლებლობათა გამოცდა მეც მომიწია მესამე წრეში. ყველაზე უფრო სწორედ მასთან გამიჭირდა მოგება, თუმცა ვაზარით მაინც ვძლიე.

**- ყველა დანარჩენი ბრძოლა, გარდა ფინალისა, იპონით მოიგე...**

-დიახ. პირველი შეხვედრა საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ვასილიოს კვაშილავასთან მქონდა, რომელსაც ჯერ ქულებით ვუგებდი, მერე იპონი დავუფიქსირე. მეორე მეტოქეს აკოშ ჰერედს (უნგრეთი) ორი იუკოთი ვამარცხებდი და ბოლოს იპონზე დავაგდე. მესამე იყო ზემოხსენებული ვოლკი. მეოთხე სერჰატ ისამელ კამბური (თურქეთი) და ისევ სუფთა გამარჯვება.

**-და ბოლოს, ფინალი რუს მიხაილ მაჩინთან, სადაც თავად დამარცხდი იპონით.**

- სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ, რუსის გამარჯვება საეჭვო იყო. ტატა--მზე გასვლისთანავე, ევროპის ძიუდოს ფედერაციის რუსმა პრეზიდენტმა სერგეი სოლოვეიჩიკმა ჟუსტიკულაციით გაამხნევა თავისი თანამემამულე. შერკინება ფინალისათვის დამახასიათებლად უშელავათო გამოდგა. მაჩინი ორთაბრძოლის მიწურულს კოკათი მიგებდა, 27 წამი რჩებოდა დამთავრებამდე როცა, ილეთი მეტოქემ წამოიწყო, მე კი კონტილეთი გავუკეთე - მსაჯებმა ითათბირეს და სუფთა გამარჯვება მაჩინს მიანიჭეს. არაუშავს, მე საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ და მომავალში შევეცდები ოქროსაც შევწვდე. ახლოეს მომავალში ტატამზე 1 ნოემბერს, საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზე გამოვალ.

ზვიად ბაზანდარაშვილის შესახებ მის მწვრთნელს **ანზორ თენაძესაც** გავესაუბრეთ: *„ზვიადი ქართული ჭიდაობიდან მოვიდა და ძიუდოსაც კარგად მოერგო. უშედეგოდ არც სამბოში ჭიდაობს. მასში დიდ პერსპექტივას ვხედავთ მწვრთნელები და მართალია, ამჯერად ცოტა დააკლდა ევროპულ ოქრომდე, მაგრამ იმედი მაქვს სამომავლოდ ამასაც შეძლებს. სხვათა შორის, საქართველოში ჩამოსვლისას ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლები ცალსახად აცხადებდნენ - ბაზანდარაშვილს მოგებული ფინალი წაართვესო."*

ვასილ ბალახაძე
გორიდან



ზვიად ბაზანდარაშვილი (მარცხნივ)

ჰოკეი

## ედმონტონმა სურეი დაკარგა

სერიოზული დანაკლისი განიცადა "ედმონტონ ოილერზმა". ამ გუნდის წამყვანი მცველი **შელდონ სურეი** 3-4 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. სწორედ ეს დრო დასჭირდება მხარის ტრავმის მკურნალობას, რომელიც ჰოკეისტმა "ვანკუვერთან" მატჩში მიიღო.

შარშან, სურეი "მონრეალში" თამაშობდა, წლეულს კი, "ედმონტონის" მაისურით ჩატარებულ 6 მატჩში ორი ქულა (1 გოლი+1 პასი) დააგროვა.

## ატლანტამ მწვრთნელი შეიცვალა

ახალ რეგულარულ ჩემპიონატში "ატლანტა ტრეშერზი" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც მწვრთნელი გაანთავისუფლა. კლუბის ხელმძღვანელობამ **ბობ ჰარტლის** სეზონის პირველ ექვს მატჩში ექვსი წაგება არ აპატია. "ატლანტა" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ ქულა არ აქვს მოპოვებული.

იქამდე, სანამ ახალ მთავარ მწვრთნელს იპოვნიან, დროებით ჰარტლის ფუნქციებს, "ატლანტას" გენერალური მენეჯერი **დონ უოდელი** შეასრულებს.

## ლეკავალიემ სამი მილიონი გაიღო

"ტამპა ბეი ლაითნინგის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ვენსან ლეკავალიემ** სამი მილიონი დოლარი შესწირა საქველმოქმედო ფონდს, რომელიც კიბოთი დაავადებული ბავშვებისთვის საავადმყოფოს აშენებს. ეს კლინიკა ამერიკის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში იქნება განთავსებული.

*"ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მეათე სეზონს ვატარებ. მინდა რაღაცით გამოვადგე საზოგადოებას, რომელიც ამდენი ხანი აქტიურად მიჭერს მხარს. გაჭირვებულთა დახმარება ყველა ჩვენთაგანის ვალია"*, - განაცხადა ლეკავალიემ.

## ტანგეის კოვალიოვში ცვლიან?

"მონრეალ კანადიენსი" და "კალგარი ფლეიმზი" წამყვანი ფორვარდების გაცვლას გეგმავენ. კერძოდ, შესაძლოა მონრეალელი **ალექსეი კოვალიოვი** კალგარელ **ალექს ტანგეიში** გაიცვალოს.

"ფლეიმზის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ კინენი** კოვალიოვთან ერთად "ნიუ იორკ რეინჯერსში" მუშაობდა და რუსი ჰოკეისტის მიმართ გარკვეული სიმპათიებიც გააჩნია. გარდა ამისა, შარშან კოვალიოვს კონფლიქტი ჰქონდა "კალგარის" მთავარ მწვრთნელთან და გენერალურ მენეჯერთან.

გაცვლის ალბათობას ისიც ზრდის, რომ ფორვარდებს დაახლოებით ერთნაირი ხელფასი აქვთ.

კალათბურთი

## მილუოკიმ უოკერი გაუშვა

ახალი სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, "მილუოკი ბაქსმა" უარი თქვა ფორვარდ **სამასი უოკერის** სამსახურზე.

31 წლის კალათბურთელმა "მილუოკისთან" კონტრაქტი სექტემბრის ბოლოს გააფორმა, მაგრამ დღემდე არ მიუღია მონაწილეობა არცერთ საკონტროლო შეხვედრაში. ახლა კი, კლუბმა ის ტრანსფერზე დააყენა.

## კლეიზამ ტრავმა მიიღო

"დენვერ ნაგეტსის" ლიტველმა ლეგიონერმა ლინას კლეიზამ "დეტროიტ პისტონზთან" საკონტროლო შეხვედრაში ფეხის ტრავმა მიიღო.

ეს გახლდავთ ფორვარდის ძველი ტრავმის რეციდივი და ექიმები ჯერჯერობით, ვერ ასახელებენ კლეიზას გამოჯანმრთელების ზუსტ დროს.

## პარკერი სპურსს შეუერთდა

"სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** ტრავმირებული ფეხი მოირჩინა და სავარჯიშო პროცესს დაუბრუნდა.

*"თავს კარგად ვგრძნობ და მიხარია, რომ კვლავ შემიძლია გუნდთან ერთად ვარჯიში"*, - აღნიშნა ფრანგმა კალათბურთელმა, რომელმაც წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამოაცხადა, რომ 2009 წლამდე აღარ ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში.

## კრსტიჩი მწყობრშია

"ნიუ ჯერსი ნეტსს" სერბი ცენტრალური თავდამსხმელი **ნენად კრსტიჩი** უბრუნდება. სავარაუდოდ, ეს კალათბურთელი "ნიუ იორკ ნიქსთან" უახლოეს საკონტროლო შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც ცნობილია, კრსტიჩმა მძიმე ტრავმის გამო, გასული სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა და მხოლოდ ახლა იწყებს სასურველი კონდიციების აკრეფას.

ჩოგბურთი

## დოკიჩი დაბრუნებას აპირებს

წარსულში ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **ელენა დოკიჩი** დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს. კერძოდ, WTA-ს რეიტინგის საუკეთესო ათეულის ყოფილი წევრი, გაისად ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლას გეგმავს. დოკიჩს იმედი აქვს, რომ "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან უაილდ-ქარდს მიიღებს.

*"ცოტა ვინმემ თუ შეძლო დიდ სპორტში წარმატებით დაბრუნება, რადგან ამისთვის შესაბამისი ავტორიტეტის ხელმეორედ მოპოვებაა საჭირო. იმედი მაქვს, რომ ეს გამომივა. ვთვლი, რომ ფიზიკურად და მორალურად მზად ვარ დიდი ტურნირებისთვის"*, - აცხადებს ელენა დოკიჩი.

ველოსპორტი

## კონტადორს ასტანაში არ უნდა

მიუხედავად აქტიური მოლაპარაკებებისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას 2007 წლის ტურ დე ფრანსის ჩემპიონის, ესპანელი **ალბერტო კონტადორის** "ასტანაში" ტრანსფერის საკითხი.

კონტადორი იძულებულია, ახალი სამუშაო ეძებოს, რადგან მისი ამჟამინდელი გუნდი - "დისქავერი ჩენელი" მომავალი სეზონიდან წყვეტს არსებობას. ესპანელის პერსონალური მენეჯერი, წარსულში ცნობილი შვეიცარიელი ველომრბოლი **ტონი რომინგერი** აცხადებს, რომ "ასტანასთან" კონტრაქტის გაფორმება სერიოზულად დააზარალებს კონტადორის იმიჯს, ვინაიდან წლეულს, ყაზახური ველოსაჯინიბო დოპინგთან დაკავშირებულ ხმაურიან სკანდალებში გაეხვა.

*"ამ მომენტისთვის ჩვენ სხვა ახალ ვარიანტებსაც განვიხილავთ, რომელთაგან ერთ-ერთის განხორციელება უფრო რეალურია, ვიდრე "ასტანასთან" კონტრაქტის გაფორმება"*, - მოჰყავს რომინგერის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

დოპინგი

## როგე WADA-ს ენდობა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** არ მოიწონა ევროპის ანტისადოპინგო სააგენტოს შექმნის იდეა. ამის შესახებ პრეზიდენტმა ბრიუსელში გააკეთა ოფიციალური განცხადება.

როგეს აზრით, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) ძალიან კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ამიტომაც, ის უნდა დარჩეს დოპინგთან ბრძოლის ერთადერთ ორგანიზაციად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# ჰემილტონი მენსელის პოზიციაში



ლუის ჰემილტონი

ფორმულა ერთის ახალბედა პილოტი, მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი და ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტი, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** სულ ერთი წლის იყო, როცა 1986 წლის სეზონის მიწურულს, ჩემპიონობისთვის სამი პილოტი იბრძოდა. ჰემილტონს შანსი აქვს, გახდეს ფორმულა ერთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, 1986 წელს მომხდარის განმეორება მის ინტერესებში სრულებითაც არ შედის.

მაშინაც ლიდერი ბრიტანელი პილოტი - **ნაიჯელ მენსელი** იყო, ვინც "უილიამს-ჰონდას" ბოლიდით ასპარეზობდა. მასაც უმთავრესი მეტოქე საკუთარი თანაგუნდელი, ასევე ლათინოსი, ბრაზილიელი **ნელსონ პიკე** ჰყავდა, ვისაც წინა სეზონებში ორჯერ მოესწრო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ესპანელი **ფერნანდო ალონსოსი** არ იყოს, პიკეც, როგორც ორგზის ჩემპიონი, პირველი პილოტის სტატუსსა და თანაგუნდელზე მაღალ ხელფასს მოითხოვდა და ხშირად ამბობდა, რომ ბრიტანული გუნდის ფავორიტი ბრიტანელი პილოტი იყო.

ჩემპიონატის ბოლო ეტაპის (ავსტრალია, ადელაიდა) წინ, მესამე ადგილი ფრანგ **ალენ პროსტს** (მაკლარენ-პორშე) ეკავა, ვინც ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება. ამჯერად მესამეზე მყოფი ფინელი **კიმი რაიკონენი** ლიდერს 7 ქულით ჩამორჩება. ეგაა, იმ დროისთვის პროსტი ერთხელ უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ფინელ პილოტს კი ტიტული ჯერ არ მოუპოვებია. სამაგიეროდ, მას ჩემპიონატში ყველაზე მეტი რბოლა აქვს მოგებული, როცა მაშინ ამ მხრივ მენსელი გამოირჩეოდა.

მოკლედ, მენსელს მესამე ადგილიც ჰყოფნიდა საჩემპიონოდ. რბოლის დასრულებამდე 18 წრე რომ რჩებოდა, ბრიტანელ პილოტს პელოტონში სწორედ მესამე პოზიცია ეკავა. მაგრამ ერთ-ერთ სწორ მონაკვეთზე, როცა მისი ტურბოძრავიანი "უილიამსი" 300 კმ/სთ-მდე აჩქარდა, უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა. მენსელისთვის რბოლაც და ჩემპიონატიც იქვე დასრულდა.

*"ახლაც არ მჯერა, რომ იმ ჩემპიონატში ტიტული სულელური შეცდომის გამო წავაგე. გუნდმა საშინელი შეცდომა დაუშვა, როცა საბურავის გამოსაცვლელად ბოქსში შესვლის უფლება არ მომცა. პიტ სტოპი მოვითხოვე, მაგრამ რადიოთი მითხრეს, რომ ეს საჭირო არ იყო. მერე კი, როცა აფეთქებული საბურავის გამო, მანქანის გზის მიღმა გაჩერება მომიხდა, გაცეცხლებული ვიყავი. აბა, რა იქნებოდა, როცა ჩემპიონობამდე სულ რაღაც 70 კილომეტრიღა მქონდა გასავლელი. განადგურებული ვიყავი. ბოქსში რომ დავბრუნდი, მუცელში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. რა თქმა უნდა, ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო"*, - მის მიერ 1995 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიაში იგონებს მენსელი.

მენსელის ინციდენტის შემდეგ, "უილიამსმა" ბოქსებში პიკეს უხმო, ვინც იმ მომენტში რბოლას ლიდერობდა. პიკეს რომ რბოლა მოეგო, ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ ამჯერად, **ფრენკ უილიამსმა** სიფრთხილე გამოიჩინა და წაგებულიც დარჩა. მასზე მეტად წაგებულები კი მისი გუნდის პილოტები დარჩნენ, რადგან ჩემპიონი (ზედიზედ მეორედ) პროსტი გახდა.

1986 წლის ბოლო რბოლაში მომხდარი ინციდენტი ბრიტანული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა. ეს ის დროა, როცა ბრიტანეთი ათი წელიწადი ელოდა ფორმულა ერთში თავის ჩემპიონს. იმ დროისთვის, ბოლო ალბიონელი ჩემპიონი **ჯეიმს ჰანტი** იყო, ვინც 1976 წელს მაკლარენის ბოლიდით, ავსტრიელ **ნიკი ლაუდასთან** პაექრობაში გახდა ჩემპიონი.

ბრიტანელებს ახლაც ათი წელიწადია (უფრო სწორად, 11), ჩემპიონი არ ჰყოლიათ და ამ მხრითაც, ამ სეზონის ბოლო 1986 წლისას ჰგავს. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელთაგან ბოლომ ჩემპიონის წოდება **დეიმონ ჰილმა** 1996 წელს მოიპოვა.

თუმცა, ჰემილტონს დამამშვიდებელი გარემოებაც აქვს. საქმე ისაა, რომ მენსელისგან განსხვავებით, მას ჩემპიონობის განაღდება წინა ეტაპზევე შეეძლო. მაგრამ ჩინეთის რბოლა ვერ დაასრულა და ბუნებრივია, ვერც ქულა ჩაიწერა. ამგვარად, "მენსელის ეფექტი" შანხაიში დატოვა. მენსელის ეფექტი იმიტომ, რომ შანხაიში მასაც საბურავი გაუსკდა, თანაც იმიტომ, რომ გუნდმა დროულად არ უხმო პიტ სტოპზე.

იმ შეცდომის გამო, ჰემილტონის 12-ქულიანი უპირატესობა ოთხამდე შემცირდა და სწორედ ამის გამოა, რომ ახლა ტიტულის მოპოვების შანსი სამ პილოტს აქვს. თავად ჰემილტონი კი ამბობს, ჩინური გაკვეთილი მომავალში გამომადგებაო, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ სან პაულუში ამგვარი გაკვეთილი მას არ სჭირდება.

თუ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჰემილტონს სურს და ის და ალონსო ერთდროულად ავლენ კვარცხლბეკზე, საინტერესოა, როგორ მოიქცევა ესპანელი. 1992 წელს, ანალოგიურ სიტუაციაში, როცა მენსელი, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონი გახდა, მის მიერ ძლეულ ბრაზილიელ **აირტონ სენას** მისთვის შემდეგი უთქვამს (მენსელი იხსენებს):

*"მან ხელი გადამხვია და ყურში ჩამჩურჩულა: გილოცავ ნაიჯელ. შეუდარებელი გრძნობაა, არა? ახლა ხომ ხვდები, რატომაც ვარ ასეთი არამზადა. არ მინდა, ამ გრძნობის ოდესმე დაკარგვა, ან ვინმესთვის გაზიარება"*!

**მერაბ ლორთქიფანიძე**



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-დალასი 2:3 (ბ)**

1:1, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ნეში-3 (ჟერდიოვი-4), 1:1 ი. იოკინენი-2 (ბარნსი-2, ვინჩესტერი-1), 2:1 ნოვოტნი-1 (ნეში-3, ჟერდიოვი-4), 2:2 მოროუ-3 (რიბეირო-3, ბუშე-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (დალასი).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 4:5**

2:2, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პანდოლფო-2 (კლარკსონი-2, მადენი-2), 0:2 მადენი-4 (კლარკსონი-3, პანდოლფო-2), 1:2 ტელბოტი-4 (რაიან უიტნი-1, გ. რობერტსი-4), 2:2 გ. რობერტსი-1 (გონჩარი-3, სიკორა-3), 3:2 გონჩარი-1 (კროსბი-3, მალკინი-5), 3:3 ზაიაცი-2 (პარიზე-6, მარტინი-4), 3:4 ზაიაცი-3 (ჯონტა-2, პარიზე-7), 4:4 მალკინი-2 (კროსბი-4, გონჩარი-4), 4:5 ეშემი-2 (პარიზე-8, ელიაში-3).

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 1:3**

1:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კარია-1 (ბოიესი-1, ტკაჩუკი-3), 0:2 სალვადორი-1 (რუჩინსკი-3, უეიტი-2), 1:2 ჯეისონ უილიამსი-2 (შარპი-1, ტოევზი-3), 1:3 ტკაჩუკი-3 (სტემპნიაკი-4, ბოიესი-2).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 3:1**

1:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 პერი-5 (კუნიტცი-3, გეტცლაფი-6), 1:1 სატერი-1 (რადულოვი-3, ლეგვანდი-2), 2:1 ვირტანენი-1 (პაროსი-1, ჰასკინსი-3), 3:1 მილერი-1 (ე. მაკდონალდი-4, დიპენტა-3).

**ტურის მიმოხილვა**

- "კოლამბუსის" მორიგ საშინაო შეხვედრას, კლუბის ისტორიაში ყველაზე ცოტა მაყურებელი დაესწრო - 11 820.

- "დალასმა" ამ სეზონში პირველად მოიგო გასვლითი შეხვედრა.

■ ■ ■

- "ნიუ ჯერსიმ" ბოლო ორ თამაშში 11 გოლი გაიტანა, არადა, წინა ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 7 შაიბა ჰქონდა გატანილი.

- "პიტსბურგს" მეორე პერიოდში 10-ჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა.

- "პინგვინზის" რუსი ლეგიონერი **ევგენი მალკინი** ზედიზედ ხუთი მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს. შარშან, ამ ჰოკეისტს მისთვის სასტარტო ექვს შეხვედრაში გაჰქონდა მინიმუმ ერთი გოლი.

■ ■ ■

- "სენტ ლუის ბლუზმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- "ბლუზმენებმა" სამიდან ორჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, თუმცა წინა მატჩებში, 21 ანალოგიური შანსიდან მხოლოდ 2 გოლი ჰქონდათ გატანილი.

- "ჩიკაგოს" რიგებში კვლავ არ თამაშობდა ჩეხი ფორვარდი **მარტინ ჰავლატი**, რომელმაც სეზონის გახსნის მატჩში მიიღო ტრავმა. კლუბის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ჰავლატი კიდევ ოთხი-ექვსი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

■ ■ ■

- "ანაჰაიმის" რიგებში ერთი გოლი დებიუტანტმა **პეტერი ვირტანენმა** გაიტანა, რომელიც კლუბმა სამი დღის წინათ იხმო ფარმ-კლუბიდან. ვირტანენი "დაქსის" ისტორიაში მეცხრე მოთამაშეა, ვინც სადებიუტო მატჩში გამოიჩინა თავი.

- "ნეშვილმა" ანაჰაიმში ბოლო 12 მატჩიდან მეათედ წააგო.



ნიუ ჯერსიმ პიტსბურგს მოუგო

ტურნირები

# ფედერერი მეოთხედფინალში



ნოვაკ ჯოკოვიჩმა ფერერო სამ სეტში დაამარცხა

მადრიდის მასტერსის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ვინც მესამე წრის შეხვედრაში ადვილად გაუმკლავდა მისთვის ამ სეზონში ყველაზე უხერხულ მეტოქეს, არგენტინელ **გილერმო კანიასს**.

ფედერერს კანიასთან ამ სეზონში მასტერსის სერიის ორ ტურნირზე აქვს წაგება. მაგრამ ამჯერად თავიდანვე აგრესიულად ითამაშა და პირველი სეტი ისე მოიგო, ერთი გეიმიც არ დაუთმია. მეორეში სხვა დროს კერკეტმა არგენტინელმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ მხოლოდ სამი გეიმის მოგება შეძლო.

ფედერერამდე, მეოთხედფინალში თამაშის უფლება სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მოიპოვა, რომელსაც ტურნირის ყოფილი ჩემპიონის, ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროს** დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა. სერბმა, ვის ანგარიშზეც ამ სეზონში ხუთი ტიტულია, მათგან ორი კი მასტერსის სერიისაა, თამაში კარგად დაიწყო და პირველი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო.

მაგრამ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ვინც ბოლო ტურნირი ოთხი წლის წინათ, სწორედ მადრიდში მოიგო, ბრძოლის გარეშე დანებება არ ისურვა. პირველივე გეიმში მან ხუთი ბრეიკ პოინტი მოიგერია, შემდეგ კი, მომდევნო გეიმში თავად შეძლო მეტოქის სერვის გეიმის მოგება, შემდეგ კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

მაგრამ ამით თამაში მაინც ვერ გადაარჩინა. ჯოკოვიჩმა გადამწყვეტ სეტშიც პირველივე გეიმში შეუტია მეტოქეს და ამჯერად მიზანს მიაღწია. ფერეროს ბევრი მცდელობის მიუხედავად, მან საპასუხო ბრეიკის აღება ველარ შეძლო. მეოთხედფინალში ჯოკოვიჩს ხორვატ **მარიო ანჩიჩთან** მოუწევს თამაში, ვინც ტურნირს ფრანგი **პოლ-ანრი მატიე** გამოთიშა.

მეოთხედფინალში გავიდა მადრიდის ტურნირის შარშანდელი ფინალისტი, ჩილელი **ფერნანდო გონსალესიც**, ვისაც ორი სეტი დასჭირდა არგენტინელი **ხუან მონაკოს** დასამარცხებლად. მეოთხედფინალის საგზურის მოპოვების გარდა, ამ მოგებით გონსალესს სეზონის დამასრულებელ ტურნირზე, მასტერსის თასზე მოხვედრის შანსიც გაეზარდა.

პარალელურად, ციურიხში მიმდინარე პირველი კატეგორიის ტურნირს უკვე გამოეთიშა ორი სერბი ფავორიტი - **ელენა იანკოვიჩი** და **ანა ივანოვიჩი**. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა იანკოვიჩმა ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვასთან** წააგო, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს ივანოვიჩს კი ფრანგმა **ტატიანა გოლოვინმა** მოუგო. ორივე სერბისთვის მეორე წრის ეს შეხვედრები ტურნირზე პირველი გამოსვლა იყო. მათ გარდა, ტურნირს მეორე წრეში კიდევ ერთი ფავორიტი, ფრანგი **ამელი მორესმო** გამოეთიშა, ვინც სამ სეტში დანებდა უკრაინელ **ალონა ბონდარენკოს**. მოკლედ, პირველი ორი წრის შემდეგ, ციურიხის ტურნირმა რვა განთესილი მეჩოგნე დაკარგა.

სამაგიეროდ, ციურიხში გამოსვლა მოგებით დაიწყო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**, ვისაც ორი სეტი დასჭირდა **ვერა ზვონარევას** დასამარცხებლად. ჟუსტინი, ვისაც ამ სეზონში რვა ტურნირი აქვს მოგებული, თავიდან გაუბედავად დაიწყო თამაში - მეტოქის პირველ ორ სერვის გეიმში რამდენიმე ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა. მაგრამ მეხუთე გეიმში ბელგიელმა მაინც შეძლო მეტოქის გატეხვა და აქედან მოყოლებული, რუსისგან წინააღმდეგობა, პრაქტიკულად, აღარც შეხვედრია. ჟუსტინის მომდევნო მეტოქე პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკაა**, რომელმაც ორი სეტი იმყოფინა სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** დასამარცხებლად.

**ATP**

**მადრიდის მასტერსი**

მადრიდი (ესპანეთი). მწვანე ხალიჩა
**საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო**

**მეორე წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:7(7), 6:3, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 5)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 7:6(11), 7:5; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 7) 7:6(3), 7:5; **ხუან მარტინ დელ პორტო (არგ)**-ტომი რობრედო (ესპ, 8) 6:7(4), 6:4, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 9) 4:6, 6:4, 7:6(2); **პოლ-ანრი მატიე (საფ)**-რიშარ გასკე (საფ, 10) 7:6(8), 7:5; **შტეფან კუბეკი (ავსტ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 12) 6:3, 6:7(2), 7:5; **გილერმო კანიასი (არგ, 13)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 3:6, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-კარლოს მოია (ესპ, 14) 7:6(2), 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 16) 6:1, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:5, 6:2

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-გილრმო კანიასი (არგ, 13) 6:0, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:3, 2:6, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 5)**-ხუან მონაკო (არგ) 6:4, 6:2; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-პოლ-ანრი მატიე (საფ) 6:4, 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 7:6(5), 7:6(3); **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ხუან მარტინ დელ პორტო (არგ) 6:2, 6:4

**WTA**

**ციურიხის ლიგა**

ციურიხი (შვეიცარია). ჭერქვეშა ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

**პირველი წრე**

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-ელენა დემენტიევა (რუს) 4:6, 6:1, 4:2 (დემენტიევას ტრავმა)

**მეორე წრე**

**ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)**-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 6:4; **ტატიანა გოლოვინი (საფ)**-ანა ივანოვიჩი (სერბ, 5) 6:3, 6:1; **ალონა ბონდარენკო (უკრ)**-ამელი მორესმო (საფ, 8) 2:6, 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-მიხაელა კრაიჩეკი (პოლ) 6:4, 6:1

**გუშინდელი შეხვედრები**

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ვერა ზვონარევა (რუს) 6:3, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 7) 6:3, 6:3

თხილამურები

## გუნდე სვანს ნაკრები ჩააბარეს

ლეგენდარული შვედი მოთხილამურე, 45 წლის **გუნდე სვანი** შვედეთის ნაკრების მენეჯერად დაინიშნა. 4-გზის ოლიმპიური და 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი ამ სეზონიდან დაიწყებს ახალი მოვალეობების შესრულებას.

როგორც შვედური პრესა იტყობინება, გუნდე სვანი კურირებას გაუწევს მამაკაცთა, ქალთა და იუნიორთა ნაკრებების მომზადებას.

ფრენბურთი

## ანასტაზიმ ესპანეთი იტალიაზე გაცვალა

ესპანეთის მამაკაც ფრენბურთელთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ **ანდრეა ანასტაზიმ** ეს გუნდი სექტემბერში ევროპის ჩემპიონი გახადა, ამ სპეციალისტმა მაინც გადაწყვიტა ნაკრების დატოვება. ესპანელი ფრენბურთელების ახალი დამრიგებელი 42 წლის არგენტინელი **მარსელო მენდესი** იქნება, რომელიც ესპანეთის მოქმედ ჩემპიონს, პალმა-დე-მალიორკას "პორტოლს" უდგას სათავეში.

ანასტაზიმ თავად არ მოისურვა ესპანეთის ფრენბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელება და სავარაუდოდ, ის სულ მალე იტალიაში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ჯანპაოლო მონტალის** შეცვლის.

კრივი

## დონ კინგი პიტერსა და მასკაევს აჩხუბებს

პრომოუტერულმა კომპანია Don King Productions-მა საინტერესო ბრძოლას გაუკეთა ორგანიზება. WBC-ის დროებითი ჩემპიონი, ნიგერიელი **სამუელ პიტერი** ამავე ვერსიით ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, რუს მძიმეწონოსან **ოლეგ მასკაევს** შეხვდება. ბრძოლის თარიღად 2008 წლის 2 თებერვალი გამოცხადდა. პიტერი და მასკაევი ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" იჩხუბებენ.

ბრძოლის საპრიზო ფონდი 3 მილიონ 107 ათას დოლარს შეადგენს. წინასწარ არის ცნობილი, რომ ამ თანხის 55 პროცენტს მასკაევი მიიღებს, დანარჩენი 45 პროცენტი კი, ნიგერიელს ერგება.

ამ ბრძოლაში გამარჯვებული, მოგვიანებით აუცილებლად უნდა შეხვდეს იმავე WBC-ის ვერსიით საპატიო ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს**.

# TV სპორტი

**19 ოქტომბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 საფეხბურთო კლუბი.
17:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-საბერძნეთი.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 ჩვენი ფეხბურთი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-დუისბურგი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 რუსეთის ჩემპიონატი.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

06:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-დეტროიტი (LIVE).
09:07 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:19 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
10:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ნიუ ჯერსი.
12:47 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ჩელსი.
15:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მეცი. საფრანგეთი.
17:15 ფეხბურთი. Barca TV.
17:27 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი.
19:14 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
19:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:00 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სამხრეთ აფრიკა (LIVE).
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-დეტროიტი.
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:02 კრივი. რინგ-საიდი.
02:05 ფეხბურთი. Barca TV.
02:14 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
03:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ჩელსი.
05:07 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
05:37 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-ლოს ანჯელესი (LIVE).

**EUROSPORT**

09:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ციურიხი. შვეიცარია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
17:45 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/4 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
20:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
21:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/4 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალური ტურნირის წილისყრა. განა.
01:45 ექსტრემალური სპორტი.
02:15 რესტლინგი.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი).
14:00 ახალი ამბები.
16:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. პრაქტიკა.
17:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
21:15 მულტისპორტი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
23:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2010**

| | |
|---|---|
| **აზია** | |
| ყირგიზეთი-იორდანია | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| სტივენეიჯი-ბარტონი | 3:3 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-გრანადა | 72:71 |
| ფუენლაბრადა-ტაუგრესი | 67:73 |
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 94:73 |
| გრან კანარია-ლეონი | 83:67 |
| მანრესა-კახასოლი | 87:81 |
| ესტუდიანტესი-რეალი | 77:88 |
| **იტალია** | |
| ბიელა-სკავოლინი | 83:81 |
| ვირტუსი-ბენეტონი | 97:85 |
| კანტუ-აველინო | 68:94 |
| მილანი-ვ'ორლანდო | 75:84 |
| მონტეგრანარო-რიეტი | 94:72 |
| ნაპოლი-მონტეპასკი | 54:81 |
| სნაიდერო-კლიმამიო | 70:61 |
| ტერამო-ვარეზე | 91:78 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| სევერსტალი-ავანგარდი | 2:2 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 2:3 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 1:0 |
| ნეფტეხიმიკი-სიბირი | 3:1 |
| სკა-ვიტიაზი | 7:4 |
| ტორპედო-დინამო | 2:2 |
| ხიმიკი-ამური | 0:1 |
| **გერმანია** | |
| დუისბურგი-კრეფელდი | 2:6 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტაპარა | 5:4 |
| პელიკანსი-საიპა | 1:1 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვანი-ლიტვინოვი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-სკელეფტე | 4:4 |
| ფროლუნდა-ტიმრე | 2:3 |
| იურგორდენი-ლულეა | 6:1 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მადრიდი** | |
| გონსალესი-მონაკო | 6:4, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-ფერერო | 6:3, 2:6, 6:4 |
| ანჩიჩი-მატიო | 6:4, 6:3 |
| ფედერერი-კანიასი | 6:0, 6:3 |
| კარლოვიჩი-**კიფერი** | 6:7, 6:7 |
| ნალბანდიანი-დელ პოტრო | 6:2, 6:4 |
| ნადალი-მიურეი | 7:6, 6:4 |
| ფ. ლოპესი-კუბეკი | 7:6, 6:1 |
| **WTA. ბანგკოკი** | |
| ჰანტუხოვა-**ა. რადვანსკა** | 3:6, 3:6 |
| შნიდერი-**სკიავონე** | 6:2, 3:6, 4:6 |
| ანენი-ზვონარევა | 6:3, 6:1 |
| კუზნეცოვა-ბამერი | 2:6, 6:4, 7:5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გერმანელ პროფესორ ვერნერ ფრანკესთან

# არის თუ არა ქუს სისხლი დოპინგი?

**წლევანდელ ტურ დე ფრანსზე კვლავ ნათლად წარმოჩინდა დოპინგთან დაკავშირებული პრობლემები. ვინოკუროვისა და რასმუსენის ხმაურიანი სკანდალების შემდეგ, მორიგი სენსაციის ავტორი გახდა გერმანელი პროფესორი ვერნერ ფრანკე, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა, რომ ტურის ტრიუმფატორ, ესპანელ ალბერტო კონტადორს ტიტული უნდა ჩამორთმეოდა, რადგან თავის დროზე, ეს ველომრბოლი საქვეყნოდ ცნობილი ექიმის, ეუფემიანო ფუენტესის პაციენტთა სიაში შედიოდა...**

**პროფესორი ვერნერ ფრანკე ძალიან ცნობილი გერმანელი მეცნიერია, ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბიოლოგიის ევროპულ ორგანიზაციას, დღეს კი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან არსებულ კიბოს დაავადებათა კვლევის ცენტრს უდგას სათავეში. მაგრამ ამასთან ერთად, ფრანკე ცნობილია, როგორც სუფთა სპორტისთვის აქტიური მებრძოლი. საინტერესო დეტალი: 2004 წელს, მან მეუღლე ბრიგიტ ბერენდონკთან (გდრ-ს ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში, რომელიც გფრ-ში გაიქცა და 1968 და 1972 წლების ოლიმპიადებზე გამოდიოდა) ერთად გერმანიის უმაღლესი ჯილდო მიიღო. ასე აღინიშნა ფრანკეს წვლილი დოპინგთან ბრძოლაში. როდესაც ფრანკემ კონტადორის დასჯა მოითხოვა, მან სპორტსმენის ბრალეულობის დამამტკიცებელი საბუთებიც წარმოადგინა, რასაც ქვემოთ თქვენც გაეცნობით და ამას გარდა, კიდევ ბევრ საინტერესოს გაიგებთ თანამედროვე სპორტის მთავარი სენის - დოპინგის შესახებ.**

## A. C. ანუ კონტადორი

**- მთელი სამყარო ველოსპორტში არსებულ დოპინგზე საუბრობს. იქნებ განგვიმარტოთ, რა ხდება სინამდვილეში...**

- სინამდვილეში, ეს ყველაფერი დიდი ხნით ადრე დაიწყო - 30 წლის წინათ. შედით ინტერნეტში: იქ თქვენ იპოვნით დაუჯერებელ ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ ილებდნენ სპორტსმენები დოპინგს, მიუხედავად იმისა, რომ მათზე კონტროლი იყო დაწესებული. აღწერილია რთული სამედიცინო შემთხვევები და სიკვდილის ფაქტებიც კი. და ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ხშირია.

**- მოდით, წლევანდელი ტურ დე ფრანსითა და კონტადორით დავიწყოთ. რატომ ფიქრობთ, რომ Discovery Channel-ის ველომრბოლმა უსამართლოდ მოიგო ლეგენდარული ველორბოლა?**

- იმიტომ, რომ ამაზე დოკუმენტები მეტყველებენ. თანაც, ხაზი უნდა გავუსვა - ეს არის ესპანეთის პოლიციის დოკუმენტები და ზოგიერთი მათგანი მეც ჩამივარდა ხელთ. კერძოდ, დოქტორ ფუენტესის ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 2005 წელს, გუნდ Liberty Seguros-ს ეხებოდა, ფიგურირებს ვინმე A. C. (ალბერტო კონტადორის ინიციალები - რედ.) და მითითებულია იმ მედიკამენტების სია, რომელიც მას უნდა მიეღო.

მაშინ, კონტადორთან ერთ გუნდში გერმანელი იორგ იაკშე გამოდიოდა. მისი ინიციალები - J. J. ასევე ფიგურირებს იმავე დოკუმენტებში. იაკშემ ცოტა ხნის წინათ, გერმანულ პოლიციასთან ყველაფერი აღიარა და ამით ძალიან დამეხმარა: მისმა აღიარებამ 70 გვერდი შეადგინა. იაკშემ განაცხადა: "დიახ, მე ვიცი, რომ A. C. - ეს ალბერტო კონტადორია, ის ფიგურირებდა იმავე სიაში და იგივე მედიკამენტებს ილებდა, რომელსაც მე".

ხელთ მაქვს იმ სიის ასლი, რომელიც ექიმ ეუფემანიო ფუენტესის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას იპოვნეს. მოგვიანებით, ეს დოკუმენტი ესპანეთის პოლიციამ იქაურ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარდგენილ ანგარიშს დაურთო.

თქვენს წინ არის 2005 წელს, გუნდ Liberty Seguros მრბოლელთათვის დანიშნული აკრძალული პრეპარატების გეგმა. შემოკლებები I-3, I-2, 6ს, TGN - ეს არის ინსულინისა და ჰორმონალური მედიკამენტების სხვადასხვა სახეობები.

ესპანეთის პოლიციის ცნობით, მარცხენა სვეტში ჩამოყოლებული ინიციალები ნიშნავს - R. H. - რობერტო ერასი, M. S. - მარკოს სერანო, J. B. - ხოსება ბელოკი, I. G. - იგორ გონსალეს დე გალდეანო, A. V. - ანხელ ვიციოზო, J. J. - იორგ იაკშე, A. D. - ალან დევისი, L. L. - ლუის ლეონი და A. C. - ალბერტო კონტადორი.

კონტადორის გასწვრივ წერია: "Nada r igual a J. J." - "არაფერი ან იგივე მედიკამენტები, რაც J. J.". ეს ნიშნავს, რომ კონტადორი გარკვეულ დღეებში არანაირ მედიკამენტს არ ილებდა, სხვა დროს კი, იმას, რასაც იორგ იაკშე.

თეორიულად, ინიციალები A. C. შეიძლება არ ეკუთვნოდეს კონტადორს. მაგრამ, ჯერ ერთი, იორგი არ მოატყუებდა გერმანულ პოლიციას. გარდა ამისა, ესპანეთის პოლიციის მიერ მომზადებულ ანგარიშში შავით თეთრზე წერია, რომ A. C. - ეს ალბერტო კონტადორია. ანუ ეს თავად ესპანელებმა აღიარეს. მეტი რა დამამტკიცებელი საბუთებია საჭირო?!

**- თუ სწორად გავიგე, თქვენს ხელთ მოხვდა სახელგანთქმული დოქტორი ფუენტესის ერთ-ერთი სია?**

- სინამდვილეში, ფუენტესის სრული სია გამაჩნია. სხვათა შორის, ამის გამო დიდი იურიდიული გართულებები წარმოიშვა. ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, იან ულრიხმა საკუთარი სამედიცინო უზრუნველყოფისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, 35 ათასი ევრო დახარჯა. და ამის შესახებ ვუყვები შესაბამის ორგანოებს. შემდეგ კი, ჰამბურგის სასამართლოდან ვილებ შეტყობინებას, რომ თურმე მე ამის შესახებ საუბრის უფლება არ მაქვს. ზუსტად ისეა, როგორც შტაზის დროს... ბოდიში, მაგრამ, სად ვართ ჩვენ? გდრ-ში თუ ყოფილ სსრკ-ში? მაგრამ არა უშავს, დანებებას არ ვაპირებ.

**- თუ საიდუმლო არ არის, როგორ ჩაგივარდათ ხელში დოქტორ ფუენტესის სია?**

- საქმე ასე იყო. ჩემს ადვოკატ მიხაელ ლენერთან ერთად მადრიდში მივფრინავდი. ესპანეთის პოლიციის წარმომადგენლებმა სამეცნიერო ხასიათის რამდენიმე კითხვა დამისვეს და მათ ბევრი რამ გავაგებინე. რაც შეეხება ფუენტესის სახლის ჩხრეკისას ამოღებულ ოქმს... ვიღაცამ ის ჩემი ნივთების გვერდით დადო. საღამოს უკან გამოვფრინდით და უკვე მეორე დღეს, ეს დოკუმენტები გერმანიის კრიმინალურ პოლიციას გადავეცი. და იქ, დიდი არეულობა დაიწყო.

## პანტანის თავი არ მოუკლავს

**- რა ელის მომავალში კონტადორს? რატომ არ აძლევენ მას დისკვალიფიკაციას?**

- იმიტომ, რომ ეს დიდი პოლიტიკის საკითხია. აი, კიდევ ერთი სახელი - ალეხანდრო ვალვერდე. ის ასევე ფიგურირებს ესპანური პოლიციის დოკუმენტებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც მისცეს შარშან მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, სადაც მესამე ადგილი დაიკავა. და მეექვსე იყო წლევანდელ ტურ დე ფრანსზე. ვალვერდე აშკარად დამნაშავეა, მაგრამ ველომრბოლთა საერთაშორისო საბჭო (UCI) და ესპანეთის მთავრობა, შეიძლება ითქვას, მორიგდნენ. და ახლა ორივე მხარე აცხადებს, რომ თითქოს არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. მაგრამ ამ ხალხმა ეტყობა არ იცის: მე მაქვს ასეთი დოკუმენტები.

**- ალექსანდრ ვინოკუროვის ისტორიაზე რას იტყოდით?**

- ვინოკუროვს პრობლემები იმის გამო შეექმნა, რომ ის ჰემოტრანსფუზიას იყენებდა - მას სხვის სისხლს უსხამდნენ. მაგრამ ამის გამოვლენა შეიძლება: ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი წლის წინათ, ერთმა ავსტრალიელმა მეცნიერმა ტესტირების სპეციალური სახეობა შექმნა. სისხლის წითელი უჯრედები სპეციალურად ხარისხდება, რის შემდეგაც შეიძლება მისი ორი სახეობის შემჩნევა. ასეთი დოპინგის მიღების პირველი ცნობილი შემთხვევა ათენის ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ ტაილერ ჰემილტონს უკავშირდება. ვინოკუროვსაც აბსოლუტურად იგივე დაემართა.



ვერნერ ფრანკე დოპინგის დაუძინებელი მტერია

**- მიკაელ რასმუსენზე რას ფიქრობთ?**

- ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, ის საკუთარ ტყუილს ემსხვერპლა. ემალებოდა დოპინგ-კონტროლს, თავის გუნდს Rabobank-ს ატყობინებდა, რომ მექსიკაში იყო, თავად კი, იტალიაში იმყოფებოდა. ბოლოს და ბოლოს, გუნდის შეფმა განაცხადა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ველომრბოლი ტურ დე ფრანსიდან შინ გაუშვეს.

**- არ გეჩვენებათ, რომ მუდმივმა კონტროლმა და ხანდახან ველომრბოლებზე აშკარა თვალთვალმა, შეიძლება გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. კერძოდ, დღეს ბევრნი კამათობენ მარკო პანტანის თვითმკვლელობის მიზეზებზე...**

- ეს არ იყო თვითმკვლელობა. პანტანი წლების განმავლობაში ილებდა დოპინგს და ყველანაირ ნარკოტიკს - მათ შორის კოკაინს. ერთხელ, მან კოკაინის ძალიან დიდი დოზა მიიღო... მაგრამ სინამდვილეში, ამ ნარკოტიკის დიდი დოზისგან ადამიანი იშვიათად კვდება. თუ კაცს თავის მოკვლა სურს, სულ სხვა საშუალებები უნდა გადაყლაპოს. შეიძლება ითქვას, რომ პანტანისთან დაკავშირებით უბედურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. ნარკოტიკებს კი, ის მუდმივად ილებდა...

**- ევროპული ქვეყნების პრესაში სულ უფრო ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ ლენს არმსტრონგი, ფლოიდ ლენდისი, იან ულრიხი და ველოსპორტის სხვა ვარსკვლავები დოპინგს ილებდნენ. მაგრამ ამ პუბლიკაციების გაცნობისას ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ სინამდვილეში, სპორტსმენის ბრალეულობის დამტკიცება შეუძლებელია.**

- არა, რატომ? ჯერ ერთი, არსებობს ესპანეთის პოლიციის ანგარიშები. მეორე ისაა, რომ იმავე ესპანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, ფუენტესის სამიდან ერთ-ერთ სახლში, დიდ მაცივარში იპოვნეს სამედიცინო პაკეტები კონსერვირებული სისხლით. რამდენიმე შემთხვევაში, მაგალითად იან ულრიხთან მიმართებაში, მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია. ულრიხს ცხრა პაკეტი ეკუთვნის! ყოველი მომდევნო რბოლის წინათ, სპორტსმენებს თავიანთივე სუფთა სისხლს უსხამდნენ. სულ ცოტა ხნის წინათ, ეს ყველაფერი ზუსტად აღმიწერა იორგ იაკშემ.

სხვათა შორის, მსგავსი "პროცედურები" არა მარტო ესპანეთში ტარდებოდა. ფუენტესის მითითებით, იგივეს აკეთებდა გერმანელი ექიმი მარკუს ჩოინა. ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გერმანულ პრესაში შეიძლება. ჩოინა ქალაქ ბლიაიჰეროდში "ჰელიოსკლინიკის" თანამშრომელია, მისი მეუღლე კი, აფთიაქში მუშაობს... იაკშე მიყვებოდა, რომ ის ბლიაიჰეროდში მიემგზავრებოდა, სისხლს აბარებდა, ხოლო შემდეგ საჭირო მომენტში მას უკან უსხამდნენ... არსებობს დოკუმენტები და სატელეფონო ჩანაწერები, ყველაფერი იდეალურად არის მზად სასამართლოსთვის. ყველაფერში ფულს იხდიდნენ, საბანკო ანგარიშებიც ცნობილია. სხვათა შორის, არსებობს ფუენტესის საბუღალტრო სიაც, რომელშიც მითითებულია, რამდენს ილებდა ის ბასოსგან, ულრიხისგან...

*გაგრძელება იქნება*




ნამდვილია თუ არა კონტადორის ჩემპიონობა?

რეკლამა-განცხადებების გამოქვეყნებაზე ნებისმიერი შეკვეთების მიღება რეგიონებიდან შესაძლებელია რედაქციასთან სატელეფონო შეთანხმებით.

საკონტაქტო ტელეფონებია: 46 32 62; 899 55 48 97. "ლელოს" საბანკო რეკვიზიტებია: შპს "გაზეთი ლელო", "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილიალი. ანგარიშის ნომერი: 016467589; საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ბანკის კოდი: 220101666; მფო 520289.

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10[а],
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა